გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№280 (339) 5-12 აგვისტო 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი




ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული — აკაკი შანიძე

# მონოპოლიის ავბედითი აჩრდილი მძიმე სენია!..

**მონოპოლია (ბერძნ.) — 1. რისამე წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებული უფლება, რაც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა ჯგუფს ან სახელმწიფოს;**

**2. (გადატანითი მნიშვნელობით) უპირატესობა, პირველობა რაიმე საქმეში;**

**3. მსხვილი კაპიტალისტური გაერთიანება, რომელიც წარმოიშვება წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე მეურნეობის რომელიმე დარგში გაბატონებისა და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით — (უცხო სიტყვათა ლექსიკონი).**

ამ განმარტების შესაბამისად, ძირითადად არსებობს მონოპოლიის ორი სახე — ბუნებრივი და ხელოვნური, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ორი სახეობა იმდენადაა ჩახლართული ერთმანეთში, რომ მათი განცალკევება არ ხერხდება. მონოპოლია შეიძლება წარმოიქმნას როგორც ერთეული კაპიტალისტის ძალისხმევით, რომელმაც ამა თუ იმ დარგში ჩადო დიდი ინვესტიცია და ასე მიიღო დარგზე სრული კონტროლის უფლება, ან, პირიქით, ამა თუ იმ კაპიტალისტმა მხოლოდ სახელმწიფო შეკვეთების **"დათრევით"** შესძლო დარგზე კონტროლის სრული უფლების მოპოვება. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ორივე ამ სიბოროტეს მაინც ქვეყნის მმართველ ძალასთან, ესე იგი სახელმწიფოსთან მივყავართ, რომელსაც ევალება მონოპოლისტური კარტელების წარმოქმნის ნებისმიერ ეტაპზე ებრძოლოს ამ სიბოროტეს!

მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებამ არაერთგზის დაგვარწმუნა, რომ ეს ასე არ არის და მუქთა შემოსავლის ხიბლი ობიექტურ გარემოებებზე ბევრად უფრო ძლიერია!

საქართველოში მონოპოლიური გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესებმა სათავე აიღეს შევარდნაძის მმართველობის ჟამს, როცა ამერიკამ და ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს გარკვეული სესხებისა და ინვესტიციების შემოტანა საქართველოს ეკონომიკის ფეხზე წამოსაყენებლად. შევარდნაძეს ეს საკუთარ დამსახურებად მიაჩნდა და ამიტომაც არ ჰქონდა სურვილი, რომ შემოსული თანხები ობიექტურად გაენაწილებინა მეწარმეებს შორის. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ საქართველოს ეკონომიკის ცისკიდურზე ყველაზე **"ენერგიული და ნიჭიერი"** ბიზნესმენები — შევარდნაძის ძმისწული ნუგზარ შევარდნაძე, ასევე შევარდნაძის ახლობელი ვანო ჩხარტიშვილი და სხვა ახლობლები, რომელთაც მოკლე ხანში მოუყარეს თავი დიდძალ ფინანსებს.

რუსები ამბობენ: **"ხიწვი ხიწვით უნდა ამოაგდო"-ო,** მაგრამ მონოპოლიასთან ბრძოლის იარაღად ეს თეზა არ გამოდგება, რადგან **"ძველი"** მონოპოლიის წინააღმდეგ სხვა, ხელისუფლების მხარდამჭერი **"ახალი"** მონოპოლისტური გაერთიანების შექმნით ბრძოლა საზოგადოებისათვის ხელსაყრელი ვერ გახდება, რადგან ხალხისათვის სულ ერთია, ვინ გაყვლიფავს მას, **"მტერი თუ მოყვარე"**. მთავარი ისაა, რომ ახლადშექმნილი მონოპოლისტური გაერთიანება, ჩაანაცვლებს თუ არა ძველს, მოხვეჭის ფსიქოლოგია თავის საქმეს გააკეთებს და იგიც ჩვეული ენერგიით შეუდგება ამა თუ იმ საქონელზე ფასების **"დარეგულირებას"**, რა თქმა უნდა, საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ. შევარდნაძის ახლობელ-ნათესავების გავლენა ძირითადად ვრცელდებოდა ყველაზე სარფიან დარგზე — ენერგომატარებლებზე (ბენზინზე, დიზელის საწვავზე და სხვა) და ვაი მისი ბრალი, ვინც გაბედავდა და სარეალიზაციოდ თუნდაც ერთ **"კანისტრა"** ბენზინს შემოიტანდა ქვეყნის ფარგლებს გარედან — ციხეს თუ არა, დიდ ფინანსურ ჯარიმას მაინც **"გაუჩალიჩებდნენ"**.

ასე იშოვნა შევარდნაძის ოჯახმა დამატებითი მილიარდები, რომელიც ისედაც გაღატაკებული და უმწეო მოსახლეობის ჯიბიდან **"ამოვიდა"**. ფარისევლობის დიდოსტატმა ედუარდ შევარდნაძემ კი **"მკაცრად"** დაიცვა ევროსტანდარტები და შექმნა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ფორმალურად კი ებრძოდა ქვეყანაში მონოპოლისტურ კარტელთა დამკვიდრების საქმეს, რეალურად კი ისევე **"სუფთად და ობიექტურად"** მუშაობდა, როგორც შევარდნაძისდროინდელი სამართალდამცავი სისტემა.

გავიდა დრო და წავიდა ედუარდ შევარდნაძეც, რომელიც ფულზე არანაკლებ დახარბებულმა სომხურმა დაშნაკურმა ბანდამ ჩაანაცვლა, მთავარი დაშნაკის მიხეილ სააკიანცის თავკაცობით. ამ მართლაც ფულის მონამ ყოველგვარი წინააღმდეგობები ააცილა თავიდან საკუთარ ფავორიტ ფირმებს და საერთოდ გააუქმა საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური, რამაც კიდევ უფრო გაალაღა ისედაც გათავხედებული მონოპოლისტი კომპანიები. აქამდე არნახულ ნიშნულს მიაღწია ფასებმა კვების საკმაოდ უხარისხო და გენმოდიფიცირებულ პროდუქტებზე, სასკოლო სახელმძღვანელოებზე, ენერგომატარებლებზე, ბენზინზე და დიზელის საწვავზე, ავტოპარკინგზე, სამეურნეო საქონელზე, კომუნალურ გადასახადებზე, სამკურნალო პრეპარატებზე, რითაც ძირითადად პენსიონერები სარგებლობენ... (ამ საკითხს არაერთი მამხილებელი წერილი მიუძღვნა ჩვენი გაზეთის ერთ-ერთმა აქტიურმა ავტორმა, მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ეკონომისტმა ბატონმა ლეონტი ბიწაძემ, მაგრამ, როგორც იტყვიან: **"შეაყარე კედელს ცერცვი!"**, ხალხის ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა).




საკმაოდ გვიან მივხვდით, რომ შევარდნაძეს და სააკაშვილს ჰქონდათ ქართველი ერის განადგურების ევროამერიკელების მიერ საგულდაგულოდ შემუშავებული კონკრეტული გეგმა, რის გამოც 2014 წლის პირველ ოქტომბერს სააკაშვილს და მის დაშნაკურ ბანდას ქართველმა ხალხმა მტკიცე უარი განუცხადა და ქვეყნის ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალა — **"ქართული ოცნება"** მოიყვანა.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, გავაკეთეთ კი ოპტიმალური არჩევანი?

მოდით, ამაზე ვისაუბროთ...

უკვე მეორე წელი ილევა, რაც **"ქართულ ოცნებას"** ქვეყნის მართვის სადავეები უპყრია ხელთ, მაგრამ, რატომღაც, ჯერ ვერ ვგრძნობთ, რომ ნაციონალებისდროინდელი მონოპოლიური კომპანიები რაიმეთი იყვნენ შეზღუდულები. ერთადერთი, რისგანაც ხალხი განთავისუფლდა, არის სახელმძღვანელოებზე მონოპოლია, რომელთა ავტორები და გამომცემელი პოლიგრაფიული საწარმოები (რა თქმა უნდა — **"ნაცთა"** ფავორიტები) წურბელებად ასხდნენ მოსწავლეთა მშობლებს და სისხლს სწოვდნენ. რაც მთავარია, ხელისუფლებამ მიიღო ხალხისათვის უაღრესად სასარგებლო გადაწყვეტილება და ახლა მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ ურიგდებათ. ყოფილი მონოპოლისტი პოლიგრაფების ნარჩენები კი იმაზე წუწუნებენ, რომ დიდი ზარალი ნახეს, იმაზე კი არ საუბრობენ, რომ **"ნაცთა"** ზეობის ჟამს მათი ზომასგადასული მადის წყალობით მილიონები იშოვნეს და უზომოდ დააზარალეს ქართველი ხალხი. მაგრამ ახლა თავი იჩინა ახალმა საფრთხემ — **"ოცნების"** ხელისუფლებამ ძველი მონოპოლისტები კი დასტოვა პირში ჩალაგამოვლებული, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფო შეკვეთებს უკვე დაეპატრონენ ახალი ხელისუფლების ფავორიტი კომპანიები, რაც, არავინ იცის, როდის შემოგვიბრუნდება ახალ უბედურებად.

ყველაზე უფრო გაუგებარი სურათი გვაქვს ბენზინისა და დიზელის საწვავით ვაჭრობის საქმეში, სადაც არავითარი კომერციული ლოგიკა აღარ მოქმედებს. აღარაფერს ვამბობ სამკურნალო პრეპარატებისა და კვების პროდუქტების ფასებზე, რომელიც ჩვეული სიჯიუტით მიიწევს მაღლა!

აქამე **"ოცნებისტები"** იმაზე წუწუნებდნენ, რომ ნაციონალთა საბოტაჟის გამო ვერ ახერხებდნენ ქვეყანაში გამეფებულ მონოპოლიასთან სრულფასოვან ბრძოლას. აქ უკვე ერთი უხერხული ქართული თქმა უნდა გამოვიყენო (რაც შეიძლება მორიდებულად ვიტყვი): **"ცუდ მოცეკვავეს ხელს მამაკაცური ატრიბუტები უშლიდაო"**. ახლა, როცა ამ ატრიბუტად ქცეული ნაციონალების მხოლოდ მცირე ჯგუფია წამოდგენილი პარლამენტში და მათ საერთოდ დაჰკარგეს ეკონომიკის დარგების თუნდაც არალეგალურად მართვის ბერკეტები, **"ოცნებისტებს"** რატომღაც ვერ ვამჩნევ **"ცეკვის"** სურვილს, მონოპოლისტები კი, მიუხედავად ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენისა, ძველებურად ცეკვავენ საკუთარ დაკრულზე და არნახულად დიდი მოგებით იგრილებენ ზაფხულის სიცხისაგან გადახურებულ გულ-გვამს!

ჩვენ დავპირდით საზოგადოებას რომ **"ქართული ოცნების"** ხელისუფლებას არ გავაკრიტიკებდით მანამ, ვიდრე ნაციონალებს ჯერ კიდევ მყარი პოზიციები ეკავათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, რათა არ შეგვესუსტებინა **"ოცნებისტთა"** საბრძოლო სულისკვეთება. მაგრამ ახლა, როცა ავადსახსენებელი ნაცები ყოვლად უსარგებლო (ასეთები იყვნენ ისინი ყოველთვის) პოლიტიკურ ძალად იქცნენ და მხოლოდ პარლამენტში **"გაჩმახებით"** ინარჩუნებენ სუსტ პოზიციებს, იძულებული ვართ ხალხის პრობლემებისადმი ოცნებისტთა საკმაოდ ინდეფერენტული დამოკიდებულება საჯარო განხილვის საგნად ვაქციოთ, რათა **"ქართული ოცნება"** მორიგ **"ქართულ ოინად"** არ გვექცეს!

არადა, ამის წინაპირობა, სამწუხაროდ, უკვე იკვეთება!

სხვადასხვა სახის კარტელური გარიგებების წახალისება და ეკონომიკის გარკვეულ სეგმენტებზე მონოპოლიის დაწესება რომ იოლი ფულის საჭრელი მანქანა გახლავთ, ამაზე უკვე აღარავინ დაობს. იქნებ სწორედ ამიტომაც არ ჩქარობენ **"ოცნების"** მესვეურები მონოპოლისტურ კომპანიებზე იერიშის მიტანას, რადგან, როგორც იცით, ზედმეტი ფული არც მილიარდერებს უფუჭებს ბიზნესოცნებას. თანაც, როგორც ამბობენ, მადა ხომ ჭამაში მოდის! არ მინდა, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ, როგორც ამბობენ, ფიცისა გვწამს, ბოლო კი ნამდვილად გვაოცებს!

ჩვენ გაზეთის ადრეულ ნომერში განვმარტეთ, თუ რას ნიშნავს ნომინალური და რეალური ხელფასი. ვიმეორებთ: ნომინალური ხელფასი ეს გახლავთ ჩვენს მიერ მიღებული ხელფასის, პენსიის თუ სხვა სახის სოციალური დახმარების ფულადი ოდენობა. რეალური ხელფასი კი გახლავთ ამ თანხის ყიდვისუნარიანობა. ავიღოთ პენსიონერთა მაგალითი — მართალია **"ქართული ოცნების"** ხელისუფლებამ მოსვლისთანავე ნომინალურად მოგვიმატა პენსიაზე 25 ლარი და 150 ლარი გაგვიხადა, მაგრამ მას შემდეგ იმდენად მოიმატეს ფასებმა ენერგომატარებლებზე, კვების პროდუქტებსა თუ სამკურნალო პრეპარატებზე, რომ დღევანდელი 150 ლარის ყიდვისუნარიანობა იმაზე ბევრად ნაკლებია, ვიდრე მაშინ, როცა პენსია 125 ლარი გვქონდა.

ესე იგი, გამოდის, რომ ჩვენი რეალური ხელფასი კი არ გაიზარდა 25 ლარით, არამედ ფაქტიურად შემცირდა 20 ლარით და დღეს 105 ლარს შეადგენს! ასე რომ, მთავარია არა ჩვენი მომარაგება ქაღალდის ფულით, არამედ მონოპოლიური წარმონაქმნების ლიკვიდაცია და ფასების დარეგულირება, რაც თავისთავად გაზრდის თითოეული ადამიანის რეალურ შემოსავალს!

ნუთუ ამაში რამე არის გაუგებარი?

ხოლო თუ ხელისუფლებამ ეს არ იცის, იგი მართლაც უუნარო და არაკომპეტენტურია, მაგრამ, უფრო უარესია, თუ იცის და არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, რაც იგივე **"ნაციონალური"** შეთქმულებაა ქართველი ხალხის წინააღმდეგ!

**P.S. შესანიშნავ ქართველ მწერალსა და მეცნიერ-გერმანისტს, აწგანსვენებულ მიხეილ კვესელავას თავის წიგნში "ას ერგასის დღე", მოყვანილი აქვს ასეთი შესანიშნავი პასაჟი — როცა საბჭოთა ჯარებმა ბერლინი აიღეს და ერთ-ერთ სატელეფონო სადგურში შევიდნენ, რომელიც იმ დროისათვის მართლაც სასწაულებრივი ტექნიკით იყო აღჭურვილი, გერმანელის მიერ გაკეთებულ ასეთ წარწერას წააწყდნენ: русскпй солдат, не порчайте, это хороший Вам подарок! (რუსო ჯარისკაცო, ნუ გააფუჭებ, ეს კარგი საჩუქარია თქვენთვისო). ვეჭვობ, რომ ასეთი წარწერა დაუტოვეს "ნაციონალებმა" ოცნებისტებს მონოპოლიურ სქემაზე, რადგან ამ უკანასკნელთ მონოპოლიურ სიბოროტესთან ბრძოლის ჟინს აშკარად ვერ ვამჩნევთ!**


როლანდ ჯალაღანია,
"აია"ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი

# მცხეთა-მთიანეთის ექსგუბერნატორმა მამამარჩენალი ჩაუშვა

## რა მოხდა 2007 წლის 4 ნოემბერს შსს-ში?

*ვასილ მაღლაფერიძემ, რომელიც 2007 წლის ნოემბერში მცხეთა-თიანეთის გუბერნატორად მუშაობდა, «ლიბერალს» 2007 წლის 5 ნოემბერს გაკეთებული ჩანაწერი მიაწოდა. 4-გვერდიან ტექსტში მაღლაფერიძე იხსენებს წინა დღეს, 4 ნოემბერს, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, კაბინეტში გამართული თათბირის დეტალებს.*

*ეს თათბირი პროკურატურის მიერ მიხეილ სააკაშვილისათვის ბრალდების წაყენების დოკუმენტში მოხვდა. თავად ვასილ მაღლაფერიძე პროკურატურამ 2 კვირის წინათ დაკითხა. მისი ინფორმაციით, შეკითხვები სწორედ 2007 წლის 4 ნოემბერს შეეხებოდა.*

*მაღლაფერიძემ «ლიბერალს» უთხრა, რომ ტექსტის წერისას არ იცოდა, კონკრეტულად ვისთვის აპირებდა მის მიწოდებას. აცხადებს, რომ მაშინდელი სახალხო დამცველისთვის, სოზარ სუბარისთვის, ჩანაწერების მიწოდება მაშინ გადაწყვიტა, როცა დარწმუნდა, რომ ის ერთადერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი იყო, რომელიც ჩანაწერებს ადეკვატურად გამოიყენებდა.*

*თავად სოზარ სუბარი, უფლებამოსილების ამოწურვამდე, ამ დღის დეტალების გასარკვევად პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა.*

*მაღლაფერიძისავე ინფორმაციით, ეს ტექსტი ითარგმნა და თომას ჰამერბერგსა და პიტერ სემნებს გასაცნობად გაეგზავნა.*

*ავტორის თხოვნით, ჩანაწერს «ლიბერალი» უცვლელად გთავაზობთ. ჩვენ ტექსტში მოხსენიებულ პიროვნებებთან დეტალების გადამოწმებასაც შევეცდებით.*

დღეს 2007 წლის 5 ნოემბრის საღამოა, გადავწყვიტე, ქაღალდზე გადავიტანო ის, რის შემსწრეც გავხდი გუშინ და რაზეც, უკვე თითქმის ოცდაოთხი საათია, განუწყვეტლივ ვფიქრობ. ამ თემაზე კიდევ დიდხანს ვიფიქრებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ვალდებული ვარ, სხვასაც მივცე ამ თემაზე დაფიქრების საშუალება. ამისთვის კი მოვყვები მხოლოდ იმას, რაც ვნახე და მოვისმინე.

### მხოლოდ ფაქტი

გუშინ, 4 ნოემბერს, კვირას, დაახლოებით დილის 11 საათზე, მობილურ ტელეფონზე დამირეკეს სამთავრობო ოთხნიშნა ნომრიდან. ავიღე, ქალბატონმა მითხრა, ელაპარაკეთ შს მინისტრის თანაშემწესო. ახალგაზრდა კაცი წარმომიდგა, ესა და ეს ვარო, გვარ-სახელი არ მახსოვს, პირველად გავიგე და არც მნიშვნელობა მიმინიჭებია. ძალიან ზრდილობიანად მაცნობა, დღეს, საღამოს ცხრა საათზე მინისტრმა გთხოვათ გუბერნატორებს მოსვლა და ხომ შეძლებთო? დავეთანხმე, მადლობა გადამიხადა და გავთიშეთ ტელეფონები.

გადავურეკე ჩემს მძღოლს, ვუთხარი, მოსულიყო 20:15 წუთზე, ვიფიქრე მიტინგის გამო გზებზე საცობებს არ შეეშალა ხელი, თუმცა, უპრობლემოდ მივედით და დაახლოებით ნახევარი საათი **შსს**-ს შენობის პირდაპირ, გზის გადაღმა მანქანაში ვიჯექი. დრო რომ მოვიდა, შევედი შენობაში, ლიფტთან შემხვდნენ მეორე შესასვლელიდან შემოსული დავით კირკიტაძე და ზაზა გოროზია. მეხუთე სართულზე ავედით და პირდაპირ შევედით ვანო მერაბიშვილის კაბინეტში. იქ დაგვხვდნენ ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, **კუდ**-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია, კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, ამირან მესხელი(?) – (ტანმორჩილი ახალგაზრდა, რომელსაც ამირანს ეძახდა ვანო და ვიფიქრე, მესხელი თუ არის-მეთქი), რომლის თანამდებობაც არ ვიცი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე, იმერეთის გუბერნატორი კაკო ბობოხიძე, შიდა ქართლის გუბერნატორი, რომელიც მეორედ ვნახე, და გვარი არ მახსოვს, ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი.

ვანო ჩქარობდა, დავიწყოთო.

ვიღაცამ თქვა, საცაა მიხოც მოვაო და, მართლაც, ორ წუთში გურიის გუბერნატორი მიხო სიმონიშვილიც მოვიდა. აი, ოქრუაშვილის კიდევ ერთი კადრიც მოვიდაო, იხუმრა ვიღაცამ, ეგ, აუცილებლად, გენერალური პროკურორის გვერდით დასვითო (გარკვეული პერიოდის წინ, ივლის-აგვისტოში, მიხოზე საუბრები მიდიოდა და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ შეიძლება ოქრუაშვილთან სიახლოვის გამო პრობლემები შეექმნასო. პროკურატურამაც დაუწყო ერთ პერიოდში ჩიჩქნა). მიხომ უხერხულად გაიცინა და მართლაც ადეიშვილის გვერდით დაჯდა.

მელიქიშვილმა თქვა, გია ნაცვლიშვილმა (კახეთის გუბერნატორი) დამირეკა, სართიჭალას გამოვცდიო. კირკიტაძე ეხუმრა, შენ რას გირეკავს, ვიზას ხომ არ გთხოვს, შენს ტერიტორიაზე გამოვლისთვისო. კაკომ საიდანღაც იაპონური ხმალი აიღო, აქეთ-იქით იქნევდა და, როგორც ყოველთვის, ხმაურობდა. ვიღაცამ უთხრა, დადე, ეგ ხმალი ხომ არ გგონია, ხარაკირის ხანჯალიაო. მაშინ სიცილით ჩემსკენ გამოაცურა მაგიდაზე, მაშინ ეს ვასიკოსთვის დამითმიაო, ჩემმა ყოფილმა მოადგილემ ორი-სამი კვირის წინათ მწვავე განცხადებები გააკეთა პრეზიდენტის ოჯახის წინააღმდეგ და ოპოზიციას შეუერთდა და ამაზე მეხუმრებოდა. მანამდეც გამეხუმრნენ ამ თემაზე ერთი-ორჯერ, ვერ ვიტყვი ბოროტად, თუმცა, ორაზროვნად, (როგორც ეს საერთოდ ხელისუფლებაშია მიღებული). ვანომ გაიცინა, მართალი არ გეგონოს, არ შეშინდეო. არც მეშინია, ჩემგან ერთი გადავიდა და რაც მთავრობიდან და უმრავლესობიდან ხალხი გადავიდა ოპოზიციაში, ჩემამდე იმდენს აქვს ხარაკირი გასაკეთებელი, ჩემამდე ვერც მოაღწევს ეს ხანჯალი-მეთქი, ვეხუმრე მეც. ასეთი ორაზროვანი სიამტკბილობით ვიწყებდით თათბირს.

ვანომ, გვეჩქარება, ვეღარავის დაველოდებით, დავიწყოთო. თან უგულავას უთხრა შეთამაშებული ხუმრობით: ზედმეტებმა დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლი, ოტიაშვილთან (თუ უტიაშვილთან – კარგად ვერ გავიგე) გადიო. გიგი ოთახში წინ და უკან დადიოდა და ღლაბუცობდა, ნუ არღვევ ადამიანის უფლებებსო და სვიტრს ვეძებო თუ რაღაც ესეთი. ეს ერთი სვიტრიც რომ შენ დაგიტოვო, შეირჩენ და მე რაღა ვქნაო. მერე მართლაც იპოვა სავარძელზე მიგდებული სვიტრი და გავიდა. გუშინ არ მიფიქრია, დღეს შთაბეჭდილება მრჩება, წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ, რომ იგი ამ ლაპარაკს არ უნდა დასწრებოდა. ვანომ კიდევ იხუმრასავით (საერთოდ მთელი თათბირი სულ სიცილ-ხითხითით მიმდინარეობდა. ოღონდ მეორე ნაწილში, რომელიც ახლა იწყება, ბევრ გუბერნატორს აღარ გვეღიმებოდა), კიდევ ვინმე ხომ არ არის ზედმეტიო, მერე გოკას შეხედა და, აი, კიდევ ერთი ზედმეტი, მაგრამ რადგან დარჩი, იყავიო. ახლა ამ ეპიზოდს რომ ვიხსენებ, მგონია, რომ გოკა ვერ მიხვდა, რომ უნდა გასულიყო და მას არ მართებდა იქ დარჩენა, რათა უგულავასავით ფორმალურად **«თეთრი ხელთათმანებით»** დარჩენილიყო.

ცხადია, მათ ვიწრო წრეში მოლაპარაკებული და დალაგებული ჰქონდათ, რაც შემდგომ გვითხრეს, მაგრამ ამდენ ხალხში, ასეთ საჩოთირო თემასთან დაკავშირებით ზედმეტ მოწმედ ყოფნა არაფერში სჭირდებოდა, თუმცა, ვიმეორებ, ეს აზრი შემდგომ გამიჩნდა, მაშინ კი, სხვა რამ მაინტერესებდა, ჩემი გუბერნატორობის ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში არ მომხდარა, ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი ერთად შეგვხვედროდა გუბერნატორებს, მეტიც, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოვახერხე, ტელეფონით დავკავშირებოდი გენერალურ პროკურორს, რომელთანაც საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა, სანამ ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ძალოვანთა მხრიდან ამგვარი ყურადღება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანთან რომ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, მაგრამ ოდნავ მაბნევდა კულტურის მინისტრის იქ ყოფნა. ძალოვნების და კულტურის მინისტრის ამგვარი სიმბიოზი საკმაოდ უცნაურად ჩანდა. ზოგადად ვვარაუდობდი, რომ საუბარი იქნებოდა რუსთაველზე მიმდინარე აქციის რაიმე პიარკამპანიით გადაფარვაზე.

მერაბიშვილის სამუშაო მაგიდის მარჯვნივ მართკუთხა მაგიდის ერთ თავში იჯდა ზურაბ ადეიშვილი; მისგან მარცხნივ, კედლის მხარეს – ზურაბ მელიქიშვილი, ოთარ სირაძე (რაჭის გუბერნატორი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლისას გამომრჩა), შიდა ქართლის გუბერნატორი, ამირანი მესხელი (?) და თვითონ ვანო. მაგიდის მეორე თავში ისხდნენ დავით კეზერაშვილი და დათა ახალაია; მეორე მხარეს – დავით კირკიტაძე, აკაკი ბობოხიძე, გოგა ხაჩიძე, მე – ვასილ მაღლაფერიძე (მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი) და გოკა გაბაშვილი. ჩვენს უკან სკამზე იჯდა ახალგაზრდა ბიჭი, ალბათ, ვანოს თანაშემწე.

დაიწყო ვანომ, ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ეს მხიარული (ზუსტად ეს სიტყვა გამოიყენა!) ნაწილია იმისა, რაც უნდა გითხრათ, ახლა კი სერიოზულ ნაწილზე გადავიდეთო და მონოლოგის სახით გვითხრა ის, რაზეც თავშიც ვთქვი, რომ ორი დღეა, ვფიქრობ.

**“ეს ნაძირლები ძალიან გაბლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. მართალია, დიდი არაფერი ძალა არა აქვთ, მაგრამ აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ხალხი, მაგრამ, ვინც ჩამოვიდა ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა. უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოთ ამ პროცესში, შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. არა სახალხოდ, სათითაოდ. მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსულ ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმელებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას”** (სიცილით!).

– მე არაფერი გამიგია, ჩუმად ვარ და, რომ მორჩება ყველაფერი, მერე გეტყვით, რას ვფიქრობ, – ეს იყო ერთადერთი და ღიმილით წარმოთქმული რეპლიკა, რომელიც ადეიშვილმა ჩემს იქ ყოფნაში თქვა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიგადაშიგ ორიოდე წამოძახილს: **«დავიჭიროთ», «დედა მოვუ..ნათ»**).

**«მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად, თირკმელებში, მუცელში, ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან».**

ჩემგან მარჯვნიდან, კეზერაშვილისგან ან ახალაიასგან (ბობოხიძე და კირკიტაძე ნამდვილად არ იყვნენ, მათ ხმას კარგად ვცნობ) ისმის სიცილნარევი რეპლიკა: **«განსაკუთრებულ შემთხვევაში სახეშიც შეიძლება!»**

ვანომ განაგრძო: **«განსაკუთრებულში აუცილებელიც კია, ოღონდ განსაკუთრებულში, ასეთებიც ბევრი ვიცით (იცინის!). ვინც ცოტა «მოშავოა», ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში ნარკოტიკი და ბაჩოსთან. გარეთ ერთი ახალაია მოუვლით, შიგნით მეორე ახალაია დახვდებათ».** საკუთარ ამ ხუმრობაზე საკმაოდ იცინა.

შემდეგ გააგრძელა: **«ცემა არის აუცილებელი იმიტომ, რომ რაიონებში ჩადიან მიტინგებზე ნამყოფი ადამიანები და იწყებენ იქ ბლატაობას და ხალხის შემოკრებას, გალახული კაცი კიდე არის ჩმორი საქართველოში და კარგავს ეგრევე გავლენას».**

– ეს თვითონაც კარგად იციან და იმიტომ უნდოდათ ჩხორუწყუს გამგებლის გალახვა და არ დავანებეთ, – წამოიძახა გოროზიამ.

– არ დაანებე კი არა ისა, თუ რამის თავი გქონდა, ზუგდიდში გექნა, ახალაია რომ არა, მოდიოდნენ ბედნიერად იქიდან, – ჩემგან მარჯვნიდან იყო ვიღაცის რეპლიკა. გოროზიამ ჩაიბურდღუნა რაღაც და გაჩუმდა.

გოგა ხაჩიძემ ითხოვა, რაღაცის თქმა მინდაო.

ვანომ, გისმენთო.

**«მე ბევრი ვიფიქრე შექმნილ ვითარებაზე და მგონი, არ იქნება ცუდი, თუ გავუშვებთ კლიპებს, სადაც მითითებული იქნება, თუ ოპოზიციის კონკრეტული გამონათქვამები კანონის რომელ მუხლს არღვევს».**

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვანომ გააწყვეტინა: **“არ არის ახლა ამ სისულელეების დრო, ახლა თეორიების და ჰაერში ფრენის დრო არ არის, ლაპარაკია ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...აზე. შექმნით ჯგუფებს, პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გააჩერებთ. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება, ბოზები იტ......ან და ჩვენი რიგები მტკიცდება. არ შეიძლება, ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვეჭვიანობდეთ, ასე გადავჭამთ ერთმანეთს. ამიტომ, ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოს. თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს. ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, რომლებიც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ, მოისყიდეთ, ოღონდ ფული არ მომთხოვოთ (იცინის). ამაზე გამახსენდა, ონაშვილზე რა ქენით”?**

– ჩემთან მყავდა და მივხედე, ყველაფერი წესრიგშია, – უპასუხა ახალაიამ.

**«აი, ასე სხვებთანაც. ეს სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებებია, დანარჩენს მერე მოვ....ავთ დედებს, ერთი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. მთავარია, მიტინგზე წასვლის შეეშინდეთ, ცემა არის ამის წამალი. გაიგეთ, ვინ არიან მათი ნათესავები, მამა, ბიძაშვილი, ზოგზე ასე ვიმოქმედებთ, ზოგზე – ისე, ზოგი გაილახება, ზოგთან ფინანსური შევა, ზოგს – ჯიბეში ნარკოტიკი. ყოფილი პოლიციელები გამოსულან მიტინგზე, დედებს მოვ.....ვთ, უკვე მოვნახეთ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატიმრები, რომლებიც დაწერენ, როგორ აწამებდნენ ის პოლიციელები თავის დროზე. ამათ გავუნახევრებთ, იმათ შევყრით. ახლა არის გადამწყვეტი მომენტი და მთავარია სიმტკიცე. დალაქიშვილს ყოფა აქვს სატირებელი «დვურუშნიკობისთვის». დაურეკეს და ბლოკების დალაგება უთხრეს, ვითომ დაალაგა. ჯერ ერთი, თუ დებ, ისეთი დადე, ხელით ვერ გაწიონ, თან ორმოცდაათ ადგილას დარეკა და ატეხა პანიკა. ეს არის ჩათლახობა».**

მერე ისევ სიცილით გააგრძელა:

**«სულ წუხდა ბობოხიძე და დანარჩენებიც, გუბერნატორებს ფუნქცია და უფლებები არ გვაქვსო. აჰა, უფლებებიც გაქვთ და ფუნქციაც, გამოიყენეთ. რა დრო დაგვიდგა, კაკო, შენი დახმარება რომ გვჭირდება?»**

**«კაკო»** სიტყვის მასალად თქვა, ადრესატი ყველა გუბერნატორი იყო. **«ხვალიდანვე შეუდექით საქმეს, დაუძახეთ კონსტიტუციურს, პოლიციის უფროსებს და გააკეთეთ შტაბები. თბილისს ჩვენ მივხედავთ. ახლა მოვრჩით, სხვა საქმეები გვაქვს».**

შეხვედრის დასარულს, შემოვიდა უგულავაც, მაგიდასთან არ მოსულა, ვანოს მაგიდასთან იჯდა და იქიდან გვისმენდა. უკვე ვიშლებოდით, როცა მოვიდა გია ნაცვლიშვილი და იკითხა, რაზე საუბრობდითო. ახლა შენი გულისთვის თავიდან ვერ დავიწყებ, დარჩი და მიხვდებიო.

წამოვედით, დარჩნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა, კეზერაშვილი, ახალაია, გაბაშვილი, კირკიტაძე, ნაცვლიშვილი, შეიძლება ვინმე სხვაც.

2007 წლის 5 ნოემბერი
Liberali.ge
2014 წლის 29 ივლისი

**გაზ. “ილორი”: ამ საკითხზე საქართველოს პროკურატურის განცხადება იხილეთ გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-4 გვერდზე, სპეციალური წერილი კი – მე-6 გვერდზე.**

# ვეხმაურებით სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის მიერ 18 ივლისს რადიო "თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუს

18 ივლისს, ღამის 12 საათზე, რადიო **"თავისუფლებასთან"** ბატონი პაატას ინტერვიუს დიდი სიხარულით შეხვდნენ აფხაზეთთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირისა და მასთან არსებული ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) წევრები. დარწმუნებულნი ვართ, ვინც ეს ინტერვიუ მოისმინა, განურჩევლად ეროვნებისა, დიდად გაუხარდა, რადგან ეს არის მთავრობის სწორი გადაწყვეტილება – დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისა და ახლობლების და შემდგომში აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებისათვის გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯი, რომლის გამოც ჩვენ უკვე მერამდენე წელია ვიბრძვით.

მინდა მოგახსენოთ (თუმცა ამის შესახებ ბევრი დაიწერა ჩვენს მიერ, – გამოვდიოდით და გამოვდივართ ტელეეკრანებზე), რომ 2008 წელს ჩამოყალიბდა აფხაზეთთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირი და მასთან არსებული ქართველ უხუცესთა საბჭო (აფხაზეთიდან), შემუშავდა 12 წინადადება-პროექტი, რომელთა განხორციელება დიდი ნაბიჯი იქნებოდა აფხაზ და ოს ხალხებთან ნდობის აღდგენის საკითხთა მოგვარების საქმეში, მაგრამ, მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, დღემდე ეს ღონისძიებები განუხორციელებელი დარჩა.

2008 წლიდან მრავალჯერ გამოვედით ტელეეთერში, დაიწერა ბევრი წერილი გაზეთებში, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტის მხრივ პასუხი არ მიგვიღია – (მის სახელზე წერილიც იყო დაწერილი, არ გამოგვეხმაურა).

როგორც კი გაიმარჯვა ახალმა მთავრობამ – **"ქართულმა ოცნებამ"** და ჩვენს საგაზეთო წერილებზე და არც ტელეეკრანებზე გამოსვლამ (მე პირადად გამოვედი რადიო თავისუფლებაში) გამოხმაურება ვერ ჰპოვა, ქართველ უხუცესთა საბჭომ (აფხაზეთიდან) ურჩია აფხაზეთთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირის თავმჯდომარეს ოლეგ ჯოლიას, რომ შეხვედროდა ბატონ პაატა ზაქარეიშვილს.

შარშან შედგა ასეთი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე ბატონი რეზო ნაცარაშვილი, მისი მოადგილე ბატონი გურამ გვეტაძე (ბატონი გურამი, როგორც ბრწყინვალე ავტორიტეტის მქონე ადამიანი ქართველებსა და აფხაზებს შორის, არის ჩვენი უხუცესთა საბჭოს წევრი) და ოლეგ ჯოლია.

ბატონ სახელმწიფო მინისტრს ზოგადად გააცნეს ყველა ის 12 წინადადება-პროექტი, რომლებიც შევიმუშავეთ ჩვენ – კავშირმა და უხუცესთა საბჭომ.

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთთან ახლოს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში არსებულ მოედანზე (ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორია) და ოსეთში აშენებულიყო ლილოს ან ერგნეთის ტიპის ბაზრობები. პროექტის განხორციელება სწრაფად დააახლოებდა აფხაზ, ოს და ქართველ ხალხს ერთმანეთთან, რაც დააჩქარებდა ჩვენს შორის ნდობის აღდგენას, რომელიც ამჟამად ნულის ტოლია.

ბატონმა მინისტრმა, მიუხედავად იმისა რომ არ უარყვია ამგვარი პროექტის დადებითობა, მაშინაც უარით გამოგვისტუმრა.

შარშანვე, საქართველოს ცეკავშირის თავმჯდომარე ჭუმბურიძე, აფხაზეთის ცეკავშირის თავმჯდომარე ცხვიტარია და აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირის თავმჯდომარე ოლეგ ჯოლია მეორედ იყვნენ ბატონ პაატა ზაქარეიშვილთან და მოახსენეს, რომ ცეკავშირი და რამოდენიმე სხვა ორგანიზაცია, თუ მთავრობის დახმარება იქნება (გარკვეული თანხით), იზრუნებდა ზემოთაღნიშნული ბაზრობების აშენებაზე – მაგრამ ფულის უქონლობის მომიზეზებით ეს ამხანაგებიც უარით იქნენ გამოსტუმრებულნი.

დადგა დრო, როცა მადლობა უნდა გადავუხადოთ ბატონ პაატა ზაქარეიშვილს, 18 ივლისს, რადიო **"თავისუფლებისათვის"** მიცემული ინტერვიუსთვის. ბატონ პაატას ალბათ ერთი წელი დასჭირდა დაერწმუნებინა მთავრობა ამ პროცესის განხორციელების სარგებლობაში.

მის მიერ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც, რასაკვირველია, ბევრ საკითხს შეეხებოდა, სპეციალურად გაესვა ხაზი აღნიშნული ბაზრობების მშენებლობის საკითხს. მინისტრმა თქვა: **"...ჩვენ გადავწყვიტეთ და მალე ვაპირებთ აფხაზეთის სიახლოვეს და ოსეთში დავიწყოთ ერგნეთის ტიპის ბაზრობების მშენებლობა."**

ჩვენი აზრით ეს გახლავთ ბრწყინვალე გადაწყვეტილება. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას და პირადად ბატონ პაატა ზაქარეიშვილს ასეთ ინიციატივებს მომავალში უყოყმანოდ დაუჭიროს მხარი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროექტის განხორციელების ინიციატორების დასახელება სირცხვილი ნამდვილად არ იყო, რამეთუ ხალხს ემსახურება მთავრობა და არა პირიქით, ხალხი კი შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც რამოდენიმე წელიწადია გამოვიდნენ ამ პროექტის განხორციელების ინიციატორებად. ამიტომ, ერთი სიტყვა ამაზეც რომ დასცდენოდა ბატონ პაატას, არ იქნებოდა ცუდი – რადგანაც ამ საქმეში უამრავი ადამიანია ჩართული, რაც მათთვის დიდი სტიმული იქნებოდა მომავალი საქმიანობისათვის. მაგრამ ამას ვინ ჩივის – მთავარია, დიდი საქმე კეთდება, რომელიც აუცილებლად გაამართლებს მოლოდინს.

ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, მთავრობის მიერ გაკეთებული კარგი საქმეები ნამდვილად გვახარებს, ეს წერილიც დაწერილია დევიზით: **"მოყვარეს პირში უძრახე..."**

**მამანტი ჯოლია**

**აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირის და ქართველ უხუცესთა საბჭოს სახელით, საბჭოს თავმჯდომარიის მოადგილე**

# სომხები ცდილობენ თბილისი სომხურ ქალაქად გადააქციონ

*„თუ სომხების მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულებსა და ვერაგობებს გავიხსენებთ, გასაკვირი არ არის, რომ 19 ივლისს სომხური ეკლესიის ეზოში მომხდარი ფაქტი მიზანმიმართული პროვოკაცია იყოს, ოღონდ სომხების მხრიდან. ისე, ქართველ ხალხს ნამდვილად აღიზიანებს სომეხთა მოთხოვნა, რომ დადასტურდეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობა, და საკმარისია პატარა მიზეზიც, რომ დაპირისპირება დაიწყოს, თანაც მწვავე ფორმით".*

*„იარაღი თვითონ ჰქონდათ, რვაჯერ გაისროლეს, ჩვენ უკან არავინ დგას, აი, მაგათ უკან კი ნამდვილად ვიღაც დგას და ეს ქუჩური, ავლაბრული ჩხუბი სურთ, „თავდასხმად" მონათლონ. ისე, იარაღი რომ გვქონოდა, ნამდვილად ცუდი ამბავი მოხდებოდა".*

### პროვოკაცია თუ ავლაბრული ჩხუბი? — ვინ დგას სომხურ ეკლესიასთან მომხდარი დაპირისპირების უკან

სომხური ეკლესიის დიაკვანი იოსები: *ვიღაცას უნდა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის შუღლი ჩამოაგდოს. აქ მოვიდნენ ბიჭები, რომლებმაც შეგვაგინეს, – თქვენი სომეხი დედაო.*

**„სომხურ-ქართული ურთიერთობების გამწვავებაში სომხურ ეკლესიას ყოველთვის თავისი წვლილი შეჰქონდა. სომხური დაშნაკური წრეები „დიდი სომხეთის" აღდგენაზე ოცნებობდნენ, ისინი ამისთვის ყოველთვის იბრძოდნენ, მაგრამ ჩაეშალათ. შემდეგაც იშვა ახალი იდეა, შექმნილიყო დიდი სომხური ეკლესია, რომელიც დღესაც ცოცხლობს. ამისთვის კი საჭიროა ქართული ეკლესიის დასუსტება, სწორედ ამიტომ ითხოვენ დღეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობის დადასტურებას".**

**19 ივლისს მეტროპოლიტენის სადგურ „ავლაბართან" მდებარე „სურბ ეჩმიაძინის" სომხურ ეკლესიაში ნათლობის მიმდინარეობისას ეკლესიაში მყოფებსა და მოსახლეობას შორის დაპირისპირება მოხდა, რაც მეორე დღეს სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ დაგეგმილ თავდასხმად შეაფასა. მოგვიანებით სომეხთა ეკლესიის პრეს-სამსახურმა მიმართვაც გაავრცელა: „მოვუწოდებთ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, სათანადო კვალიფიკაცია მისცენ აღნიშნულ ქმედებას და გამოიძიონ, როგორც დანაშაული, რომელიც ჩადენილია ეთნიკური და რელიგიური სიძულვილის საფუძველზე. ინციდენტი, გარკვეულწილად, სომხების წინააღმდეგ ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ ტირაჟირებული სიძულვილის შედეგია, ასევე, სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლისაც",– ნათქვამია განცხადებაში.**

**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" შეეცადა, უშუალოდ ჩხუბის მონაწილეებისა და ინციდენტის თვითმხილველებისგან მოესმინა, რა მოხდა სინამდვილეში და რატომ შეფასდა ინციდენტი „დაგეგმილ თავდასხმად".**

**დავით ხაჩატურიანი, ინციდენტის მონაწილე:**

**– ჩვენი მეგობრის მეუღლემ მანქანა ავტოსადგომზე გააჩერა, ამ მომენტში მასთან მივიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პიროვნება, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, იყო ტერტერა, სახელად მანუკი. მან გოგონა შეურაცხყო. უთხრა, იდი, კ ჩორტუო. გოგონა შეეპასუხა,– რატომ მლანძღავო?! ხმამაღალი საუბარი რომ შემოგვესმა, მათთან მივედით. ტერტერამ ჩხუბი აგვიტეხა, რადგან სამოქალაქო ფორმაში იყო გამოწყობილი, ვერ ვიცანით და ხელი დავარტყით.** ამის შემდეგ წავიდა და ეკლესიაში ნათლობაზე მისულ სტუმრებთან ერთად დაბრუნდა. ჩვენც, ბიჭები, შევკრიბეთ და... ჩხუბიც ატყდა.

***მე ხაჩატურიანი ვარ, სულ თორმეტნი ვიყავით, უმრავლესობა – სომეხი.***

**– თქვენი მეგობარი, რომლის მეუღლესაც გამოესარჩლეთ, სომეხია?**

– არა, ქართველი. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ნებისმიერი პიროვნების ცოლს გამოვესარჩლებოდით. მაგათი მღვდელი – მანუკი, ძალიან ცუდი ადამიანია, ეკლესიის წინ ფეხბურთის სტადიონია, მაგრამ ბავშვებს არ ათამაშებს, მწვრთნელს უთხრა, ფულს გადაგიხდი და ბავშვები აქ აღარ ავარჯიშოო, ახლა ქალაქგარეთ შეკრებაზე არიან, თორემ მწვრთნელსაც შეგახვედრებდით. მანქანის გაჩერებაც სულ პრობლემაა, მოკლედ, გაბატონებულია ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე და იქ ფეხს არავის ადგმევინებს.

**– ამბობენ, რომ შეიარაღებული მიხვედით და რომ თქვენს ზურგს უკან ვიღაც დგას...**

– არა, იარაღი თვითონ ჰქონდათ, **რვაჯერ გაისროლეს, ჩვენს ზურგს უკან არავინ დგას, აი, მაგათ უკან კი ნამდვილად ვიღაც დგას და სურთ, ეს ქუჩური, ავლაბრული ჩხუბი „თავდასხმად" მონათლონ. ისე, იარაღი რომ გვქონოდა, ნამდვილად ცუდი ამბავი მოხდებოდა.**

**– იქ ერთი კაცი იყო, რომელმაც ჭრილობა მაჩვენა.**

– ეგ კაცი ლოთია, სულ მანდ დგას, ჩხუბის დროს იქ არც იყო, ათ ლარს მისცემდნენ და დანას თვითონაც კარგად დაისვამდა.

**ვალოდია კვიტინი, თვითმხილველი:** – ჩხუბი სომეხმა მღვდელმა დაიწყო – გოგოს შეაგინა და უბნელი ბიჭებიც მის დასაცავად მოვიდნენ. იარაღი ეკლესიიდან გამოსულ ხალხს ჰქონდა, უბნის ბიჭებს იარაღი არ ჰქონიათ. ახლა დგანან და ტელევიზიებს ცრუ ინფორმაციას აწვდიან. ხედავთ, როგორ გაფითრდნენ, სიმართლეს რომ ვამბობ?!

**სუსანა ხაჩატურიანი, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის პრესსპიკერი:**

– სროლა ბოლოს მოხდა, ჩემმა დირექტორმა ისროლა.

**– თქვენი დირექტორი ვინ არის, იარაღის ტარების უფლება აქვს?**

– დიახ, აქვს იარაღის ტარების უფლება. ხალხს კლავდნენ და, აბა, არ უნდა ესროლა?! ჰაერში გაისროლა რამდენიმეჯერ... პრესრელიზში ყველაფერი წერია.

**– პრესრელიზში წერთ, რომ დაპირისპირებას ხელს უწყობს ქართული ეკლესია...**

– ***დიახ, ქართული ეკლესია დაპირისპირებას ხელს უწყობს და ამაზე ლაპარაკი აღარ მინდა.***

**ლევონ ისახანიანი, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი:**

– ჩხუბი ჩვენ არ დაგვიწყია. თავს დაგვესხნენ, ჩვენი სასულიერო პირი ცემეს, მეც კინაღამ მომკლეს. დაპირისპირება სერიოზული იყო და ორ საათს გრძელდებოდა, ჩვენ თავს ვიცავდით.

**სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის დიაკვანი იოსები:**

**– ვიღაცას უნდა, რომ ქართველებსა და სომხებს შორის შუღლი ჩამოაგდოს. აქ მოვიდნენ ბიჭები, რომლებმაც შეგვაგინეს,– თქვენი სომეხი დედაო.**

**– რატომ ფიქრობთ, რომ ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა დაპირისპირება? ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა, ვის აძლევს ხელს ეს დაპირისპირება?**

– მაგას ვერ გეტყვით, ალბათ, იმას, ვისაც საქართველო არ უყვარს. ჩვენ გვინდა, ქვეყანა აშენდეს და ძმობა იყოს.

**მამა დავითი (ლასურაშვილი), სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი:**

– სომხური ეკლესიის ეზოში მომხდარს პროვოკაციის ნიშნები ეტყობა. ახლა ტელეეკრანზე ვუყურე მათი იურიდიული სამსახურის უფროსის – ლევონ ისახანიანის გამოსვლას, რომელმაც **„თეთრი და შავი"** ერთმანეთში აურია. მის ამ გამოსვლაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. პროვოკაციები მომძლავრდა მათი მხრიდან.

**– სომეხთა ეკლესია თავის განცხადებაში ქართულ ეკლესიასაც ადანაშაულებს...**

– რომელი იყო იმ ჩხუბში ქართული ეკლესიის წარმომადგენელი? თანაც, როდესაც ეკლესიას სდებენ ბრალს, მაშინ განცხადება საპატრიარქომ უნდა გააკეთოს. მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან ამ სიტუაციაში ყოველ წინადადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისე, რომელიღაც სომხური არასამთავრობოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს ფაქტი არ შეიძლება, ეთნიკურ დაპირისპირებად შეფასდეს.

**ალექსანდრე აბდალაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

**– ქართულ-სომხური ურთიერთობები რომ ძალიან გამწვავებულია, ახალი ამბავი არ არის. მას საფუძველი ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში ჩაეყარა და დღემდე გრძელდება. სომხური ეკლესია და, საერთოდ, სომეხი ხალხი, ქართველების მიმართ გამუდმებით იჩენენ უმადურობას. რა იგულისხმება ამ უმადურობაში? სომხები საუკუნეების განმავლობაში სამშობლოდან გამორბოდნენ და თავს აფარებდნენ ჩვენს ქვეყანას, ქართველი მეფეები კი, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მათ მფარველობდნენ.** იყვნენ სომხები, რომლებიც საქართველოზე დიდ იმედს ამყარებდნენ, სომეხი საეკლესიო და შოვინისტურად განწყობილი პირები კი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საქართველოსთვის ევნოთ.

**როდესაც 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა,** სომხურმა ეკლესიამ პოზიციები განიმტკიცა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გაილაშქრა, ისინი ქართველი ერის შევიწროებას ცდილობდნენ. სომხურმა ეკლესიამ მოახერხა ქართველთა ერთი ნაწილის შევიწროება და გასომხებაც კი.

**სომეხმა დაშნაკებმა ჯარი შემოუსიეს საქართველოს ისე, რომ ომი არ გამოუცხადებიათ, სომხურმა ჯარმა საშინელებები ჩაიდინა, რაშიც დიდი წვლილი მათ ეკლესიასაც მიუძღვის.**

**სომხურ-ქართული ურთიერთობების გამწვავებაში სომხურ ეკლესიას ყოველთვის თავისი წვლილი შეჰქონდა. სომხური დაშნაკური წრეები „დიდი სომხეთის" აღდგენაზე ოცნებობდნენ, ისინი ამისთვის ყოველთვის იბრძოდნენ, მაგრამ ჩაეშალათ, რის შემდეგაც იშვა ახალი იდეა, შექმნილიყო დიდი სომხური ეკლესია, რომელიც დღესაც ცოცხლობს. ამისთვის კი საჭიროა ქართული ეკლესიის დასუსტება, სწორედ ამიტომ ითხოვენ დღეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობის დადასტურებას.**

**სომხების ასეთმა გამუდმებულმა მტრობამ დააწერინა ილია ჭავჭავაძეს „ქვათა ღაღადი", რაზეც დღეს მოლიბერალო ადამიანები ამბობენ, ილიას ეს არ უნდა დაეწერაო. საქმე ის არის, რომ მე-19 საუკუნეში სომხები ცდილობდნენ, თბილისი სომხურ ქალაქად გადაექციათ, ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ილიას ტკივილიც ეს იყო...**

**ქართველი ისეთი სუსტი ერი არ არის, რომ სომხების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები დაივიწყოს.**

ხშირად მსაყვედურობენ, სათანადო სიმკაცრით არ საუბრობ სომხებზეო, რადგან ბევრი თვლის, რომ ქართველებს სომხებზე დიდი მტერი არ გვყავს.

თუ სომხების მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულებსა და ვერაგობებს გავიხსენებთ, გასაკვირი არ არის, 19 ივლისს სომხური ეკლესიის ეზოში მომხდარი ფაქტი მიზანმიმართული პროვოკაცია იყოს, ოღონდ სომხების მხრიდან. ისე, **ქართველ ხალხს ნამდვილად აღიზიანებს სომეხთა მოთხოვნა, რომ დადასტურდეს საქართველოში 650 სომხური ეკლესიის არსებობა და საკმარისია პატარა მიზეზიც, რომ დაპირისპირება დაიწყოს, თანაც მწვავე ფორმით.**

მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა

# მთავარი პროკურატურის განცხადება სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილისა და უგულავას მიმართ ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით

საქართველოს მთავარი პროკურატურა პრეზიდენტყოფილ მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და გიგი უგულავას მიმართ ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს.

როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს, თბილისში მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია **"იმედში"** შეჭრას და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8-წლამდე ვადით. პროკურატურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

**"დღეს, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია "იმედში" შეჭრას და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ბრალდების შესახებ დადგენილებები იქნა გამოტანილი: შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის, ყოფილი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის და თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას მიმართ. გამოძიებით დადგინდა შემდეგი: ტელეკომპანია "იმედი", ეთერში გასვლის დღიდან აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. 2006-2007 წლებში „ტელეიმედით" გაშუქებული იქნა საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული და გახმაურებული საკითხები – სანდრო გირგვლიანის, ამირან რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის, ზურაბ ჟვანიას – საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიუჟეტები. ასევე, 2007 წლის სექტემბერში "ტელეიმედის" ეთერით საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა გააჟღერა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ მისთვის მიცემული დავალება, რომელიც ეხებოდა ა.პატარკაციშვილის ლიკვიდაციას. „ტელეიმედის" ეთერით გავრცელებულ ინფორმაციებზე მთავრობას სათანადო პასუხი არ ჰქონდა, ხსენებული კი ნეგატიურად მოქმედებდა იმდროინდელი მმართველი გუნდის რეიტინგზე, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით აქტიურად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს არკადი პატარკაციშვილთან, ტელეკომპანია „იმედის" ხელში ჩაგდების მიზნით. ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მზად იყო, ა.პატარკაციშვილის თანხმობის შემთხვევაში „ტელეიმედი" გაეცვალა საქართველოს რკინიგზაში, რომელიც იმ პერიოდში წარმოადგენდა საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს აქტივს, რაზეც მიიღო უარი. არკადი პატარკაციშვილის მხრიდან ტელეიმედის შენარჩუნებისათვის უფრო მეტი გარანტიის შექმნის მიზნით, ტელეკომპანია "იმედი" მართვის უფლებით გადაეცა – აშშ-ში რეგისტრირებულ მედიამაგნატს "*NEWS CORP EUROPEITED INC*"-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, კრიტიკული სიუჟეტები და ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან შესაძლო დანაშაულების ღია ეთერით გაშუქება გახდა იმის მიზეზი, რომ ხელისუფლების ყველა შტომ, მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, დაიწყო არკადი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის დევნა და შევიწროება.**

**2007 წლის ნოემბერში, საზოგადოებაში დაგროვილი მასობრივი უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ საპროტესტო აქციებში გადაიზარდა. 2007 წლის 04 ნოემბერს, მ.სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავად მერაბიშვილი. თათბირს ესწრებოდნენ გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა, და გუბერნატორები. ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე თათბირზე გადაწყდა, რომ უნდა შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ხალხის ცემა და სხვადასხვა გზებით, მათ შორის ნარკოტიკების ჩადებით მათი დაპატიმრება. ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა "მიეხედა" ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს და იმჟამად თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს.**

**ი. მერაბიშვილმა თათბირის დროს წამოსთქვა შემდეგი შინაარსის ფრაზები: „გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, ცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება."**

**თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება – ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ სისრულეში მოყვანილ იქნა 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც გაიცა ბრძანება აქციის დარბევის თაობაზე.**

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაცემული დანაშაულებრივი ბრძანების საფუძველზე, რუსთაველის გამზირზე და რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავების მხრიდან განხორციელდა მომომიტინგეთა დარბევა, უკანონოდ გამოყენებული იქნა არალეტარული იარაღი (რეზინის ტყვიები), უმოწყალოდ სცემეს ასეულობით მოქალაქე, მათ შორის სახალხო დამცველი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები, ჟურნალისტები. სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა შეშინებულ მომიტინგეებს, რომლებიც თავს აფარებდნენ მაღაზიებსა და აფთიაქებს. 2007 წლის 7 ნოემბერს, ქვეყნის მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის მიერ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თბილისში, თავისუფლების მოედნიდან რესპუბლიკის მოედნის ჩათვლით ტერიტორიაზე, უკანონოდ გამოყვანილი იქნა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც ემსახურებოდა აღნიშნული ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას, რომ არ მომხდარიყო მოქალაქეთა ხელახალი გამოსვლა და რაიმე სახის პროტესტის გამოხატვა.**

**ამავე დღეს, დასახული გეგმის შესაბამისად, ტელეკომპანია "იმედის" შენობაში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სრულიად უკანონოდ შეიჭრა შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომლებმაც დაამსხვრიეს საეთერო ჩართვის აპარატურა, გამორთეს ტელეკომპანია „იმედის"" მაუწყებლობა, ხოლო „ტელეიმედის" თანამშრომლები ცემით გამოაძევეს შენობიდან. ასევე, სპეციალური დანიშნულების რაზმი ტელევიზიის გარშემო პროტესტის გამოსახტად შეკრებილ ჟურნალისტებსა და მოქალაქეებსაც სასტიკად გაუსწორდა, გამოიყენეს რა მათ მიმართ რეზინის ტყვიები და ძალადობით აიძულეს დაეტოებინათ ტერიტორია. ხსენებულის შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, ტელეკომპანია „იმედი"-ს ტერიტორია ბლოკირებული ჰქონდათ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს. ტელეკომპანია "იმედის" დარბევის შედეგად ტექნიკური საშუალებების დაზიანების, დაკარგვის და მიუღებელი შემოსავლის სახით „იმედი"-ს ზიანმა შეადგინა 3.158. 307 ლარი.**

**ამის შემდეგ, ქვეყნის მეთაურის მიხეილ სააკაშვილის დავალებით, უმაღლესი თანამდებობის პირებმა დაიწყეს პატარკაციშვილისთვის ტელეკომპანიის უკანონოდ ჩამორთმევის პროცესი. ტელეკომპანია „იმედის"" შენობაში შეჭრის ვითომდა სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" თავმჯდომარეზე, ივანე მერაბიშვილის და ზურაბ ადეიშვილის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის უხეში დარღვევით „ტელეიმედს" შეუჩერეს სამაუწყებლო ლიცენზია.**

**ამასთან "ტელეიმედში" ძალისმიერი მეთოდით შეჭრისა და დაწესებულების უკანონოდ დაკავების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, ხელოვნურად შეიქმნა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომლის ფარგლებშიც, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი არკადი პატარკაციშვილი და მის ქონებას, კერძოდ შპს "ტელეიმედს" დაედო ყადაღა, რითიც მესაკუთრესა და მფლობელს აეკრძალა შპს „ტელეიმედის" ქონების (მათ შორის, მის მფლობელობაში არსებული კერძო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის) განკარგვა და სარგებლობა. საზოგადოებას კი გენერალურმა პროკურატურამ წარუდგინა არკადი პატარკაციშვილსა და ერეკლე კოდუას შორის შემდგარი საუბრის ფალსიფიცირებული, კონტექსტიდან ამოჭრილი და შინაარსის შეცვლით დამონტაჟებული აუდიო ჩანაწერი.**

**ხელისუფლებისა და მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის ქმედების მიმართ, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უმკაცრესი რეაგირების მიუხედავად, მ.სააკაშვილის დავალებით და უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის გიგი უგულავას, დავით კეზერაშვილის და სხვათა უშუალო ჩარევით, საბოლოო ჯამში, ზეწოლისა და დაშინების გზით პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვეს ტელეკომპანია "იმედი". ა.პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთ კვირაში, კერძოდ 2008 წლის 19 თებერვალს, ნოტარიუს მერი ბუბაშვილთან, ა.პატარკაციშვილის ნდობით აღჭურვილ პირს გიორგი ჯაოშვილს, მის სახელზე რიცხული ს/ს "ჯეი-ემ-ჯი კონსალტინგ გრუპი"-ის წილი, რომლის საკუთრებაშიც იყო "ტელეიმედი", წესდების მოთხოვნათა დარღვევით, გადააფორმებინეს ბიზნესმენ ჯოზეფ კეიზე. აღნიშნულ მოქმედებას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ დავით კეზერაშვილის დავალებით მოქმედი სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები და ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირები. იმავე დღეს გიორგი ჯაოშვილი მიიყვანეს ფინანსური პოლიციის შენობაში და აიძულეს გადამდგარიყო შპს „ტელეიმედის" დამფუძნებელი ფირმების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან, რითაც ა.პატარკაციშვილის ოჯახი საბოლოოდ ჩამოაშორეს ტელევიზიას. მომდევნო დღეს, "ტელეიმედი"-ს წილი 5 წლის ვადით, სამართავად გადაეცა დავით კეზერაშვილთან დაახლოებული პირს პაატა სირაძეს. „*NEWS CORP EUROPEITED INC*"-ს ცალმხრივად შეუწყდა შპს „ტელე იმედის" მართვის უფლება.**

**ამის შემდეგ უკვე დაიწყო ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანიის გაკონტროლება, რაშიც მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის გიორგი უგულავა, რომელიც სრულად წარმართავდა და აკონტროლებდა არხის საინფორმაციო პოლიტიკას.**

**2012 წლის 18 ოქტომბერს, ოქტომბრის არჩევნებისა და ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა გიორგი არველაძემ, გიორგი კორახაშვილმა და გიორგი მიქელაძემ პატარკაციშვილების ოჯახს დაუბრუნეს ტელეკომპანია "იმედის" 90%-იანი წილი.**

**მაშინდელი ხელისუფლებისა და მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან პატარკაციშვილების ოჯახზე ზეწოლა არ შემოიფარგლა მხოლოდ "ტელეიმედის" უკანონოდ ხელში ჩაგდებით. ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვა მთაწმინდის პარკიც. კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დაშლის პარალელურად, შს მინისტრის დავალებით მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიჭრნენ შსს შეიარაღებული სპეცრაზმელები და ტერიტორიიდან უკანონოდ გამოაძევეს პარკის თანამშრომლები. იმავე დღეს, თბილისის მერიაში ჩატარდა პრესკონფერენცია, თითქოსდა, რომ შპს „ლინქსი" არ იხდიდა მთაწმინდის პარკის იჯარის თანხას, რის გამოც თბილისის მთავრობამ შპს „ლინქსთან" სრულიად უკანონოდ, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც პატარკაციშვილის კუთვნილი კომპანია პირნათლად ასრულებდა ყველა აღებულ ვალდებულებას და არ არსებობდა არანაირი საფუძველი ხელშეკრულების შეწყვეტისთვის. ამასთან, პარლამენტის მიერ „მეწარმეთა შესახებ" კანონში საგანგებოდ შეტანილი ცვლილების შედეგად, შპს „ლინქსი"-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს გიორგი უგულავას მეგობარი გიორგი კურცხალია, რომელმაც ფირმის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა საზიანო ქმედებებთან ერთად სასამართლოდან გამოითხოვა ქ.თბილისის მერიის მიმართ შეტანილი ყველა სასარჩელო მოთხოვნა.**

**მიხეილ სააკაშვილის და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლის კიდევ ერთი ფაქტია პატარკაციშვილების ოჯახისთვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევა. სხვადასხვა გზით, ზეწოლისა და დაშინების შემდეგ, ფიქტიურად გაფორმებული ხელშეკრულებების და დოკუმენტების შედეგად, რომ თითქოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მესაკუთრე კომპანიას ვალი ჰქონდა კეზერაშვილის გავლენის ქვეშ მყოფი ოფშორული კომპანიის მიმართ, აღსრულების ეროვნული ბიუროს და სასამართლოს ჩარევით, ვალის გაქვითვის საფუძვლით, პატარკაციშვილების კუთვნილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქონება გადავიდა დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის საკუთრებაში.**

**ხელისუფლების მხრიდან მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით არკადი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს, შედეგად მოჰყვა ის, რომ 2008 წელს ა.პატარკაციშვილის მეუღლემ ინა გუდავაძემ სარჩელით მიმართა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიას და მოითხოვა საქართველოს სახელმწიფოს მიერ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნება ან ქონების ექვივალენტი 400 000 000 აშშ დოლარის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მეთაური მიხეილ სააკაშვილი დარწმუნდნენ, რომ პატარკაციშვილების ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა ამ უკანონობის გამო, აუცილებლად წააგებდნენ პროცესს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, მაშინდელი ხელისუფლების სახელით მოქმედმა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თინა ბურჯალიანმა პატარკაციშვილების ოჯახთან გააფორმა მემორანდუმი, რის საფუძველზეც ოჯახს დაუბრუბდა ყველა ზემოხსნებული ქონება, გარდა "ტელეიმედისა".**

**საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენელების და მისი მეთაურის მიხეილ სააკაშვილის უკანონო მოქმედებების შედეგად: დაირღვა არკადი პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრების უფლება, ხელყოფილ იქნა მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მრავალმა მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება, მოხდა დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევა და ხელის შეშლა, რამაც ფიზიკური და იურიდიული პირის, სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი უფლებების არსებითი დარღვევა გამოიწვია.**

**მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილის და გიორგი უგულავას მიმართ გამოიტანილია ბრალდების შესახებ დადგენილებები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.**

**გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5 დან 8 წლამდე ვადით.**

**ასევე, საზოგადოებას გვინდა ვაცნობოთ, რომ გამოძიება დასკვნით ფაზაშია შესული პროკურატურის მიერ ადრე გაცხადებულ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილი დაბარებული იყო მოწმის სახით, რომელთა შედეგების შესახებ საზოგადოებას ეცნობება უახლოეს მომავალში",** – ნათქვამია განცხადებაში.

# ამბები სამეგრელოდან

### "გზის გასაყართან"

აკ. ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სენაკის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა სენაკის სამუსიკო სკოლის ბავშვთა ანსამბლის კონცერტი **''გზის გასაყართან''**, რომელიც მიეძღვნა ავთანდილ გოგოტიშვილის ხსოვნას.

ავთანდილ გოგოტიშვილის სახელი სენაკის ისტორიის კუთვნილებაა,მან არაერთი თაობა აღზარდა, აამღერა, მისეული შარმი და ხედვა, დახვეწილი გემოვნება და პლასტიკა დაამკვიდრა სცენაზე.

დღეს მის გზას ავთანდილ გოგოტიშვილის ქალიშვილი – ანი გოგოტიშვილი აგრძელებს. საღამოზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საბავშვო, ქართული და უცხოური პოპულარული სიმღერები, ცეცხლოვანი ცეკვები.

ეკრანზე გამოჩნდა მონატრებული მაესტროს განვლილი გზის ამსახველი კადრები, რომელსაც მაყურებლის გულწრფელი ცრემლი და ოვაცია მოჰყვა.

შესრულებულ ნომრებს განსაკუთრებული შარმს მატებდა დახვეწილი ქორეოგრაფია (ქორეოგრაფები: ნონა ჯანაშია და იმედო თუნთია). საღამოს რეჟისორი გახლდათ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირაკლი ადამია.

### წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოეწყო მედია სემინარი

საქართველოში უკვე მეოთხე წელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (სიდა) მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი **„დავასუფთაოთ საქართველო“**.

ამ პროექტის ფარგლებში, სენაკში გაიმართა მედია-სემინარი თემაზე **„მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა და კლიმატის ცვლილებების შემარბილებელი ღონისძიებები.“** პროექტის მენეჯერი გახლდათ **,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“** თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე.

პროექტის პარტნიორები იყვნენ ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია **„სემა“**, სოფლად თემთა გაერთიანების სააგენტო და საზოგადოების განვითარების ახალციხის ცენტრი.

პროექტის სამოქმედო არეალია სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი.

### ზაფხულის საღამოები ქ. ხობში

ხობში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საღამო საათებში გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ახალგაზრდების ინიციატივით სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება ჩატარდა.

საღამოს ღონისძიებებში ხობელ ახალგაზრდებთან ერთად ჩართული იყვნენ ჩამოსული სტუმრები, რომლებმაც ერთობლივად გამართეს პოეზიის საღამოები, კონცერტები და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

მსოფლიო ჩემპიონს ჭიდაობაში ჯონი ხეცურიანის ხობში ჩამოსვლას ხობელი ახალგაზრდები ლოზუნგებით დახვდნენ, გამარჯვება მიულოცეს სიმღერებით, ლექსებით და წარმატებები უსურვეს მას და სხვა ხობელ ჩემპიონებს. მსგავსი საღამოები სხვადასხვა ფორმატში აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება.

### ნორჩი პოეტების „პოეზიის საღამო“

ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის თემში საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროექტის ფარგლებში, ინტეგრაციის პროგრამა – **„ახალგაზრდული იდეას“** ხობის წარმომადგენლობამ მოიყარა თავი. ახალგაზრდებმა **„პოეზიის საღამო”** თანამედროვე სტილში წარმართეს. ღონისძიება უმცროსი თაობის წარმომადგენლებმა გახსნეს, ნორჩმა პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და შეასრულეს თანამედროვე და კლასიკური სიმღერები.

პოეზიის საღამოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნინა ბუკია და წამყვანი სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში ლევან ღვინჯილია ესწრებოდნენ. ღონისძიების დასასრულს ფარული კენჭისყრით გამოვლენილი საუკეთესო ლექსების ავტორი ანა ჯობავა დასაჩუქრდა. სტუმრებმა საკუთარი აზრი გამოთქვეს და ისაუბრეს იდეაზე, რომელიც უახლოეს დღეებში კიდევ ერთ საინტერესო და მასშტაბურ ღონისძიებად იქცევა და **„ახალგაზრდული იდეას“** წარმატებები უსურვეს.

### მარტვილში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა

მარტვილის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. ცენტრი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ და სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ კობა ქანთარიამ გახსნა. გახსნას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიზანია ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტის სრულყოფილი ინფორმირება. ცენტრის მონაცემთა ბაზა მოიცავს სხვადასხვა სახის ტურისტული ობიექტების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. საინფორმაციო ცენტრში მისულ ტურისტს საშუალება აქვს მიიღოს რეკომენდაცია მარტვილის მასშტაბით არსებული ტურისტული ადგილების და ღირსშესანიშნაობების შესახებ, დაგეგმოს ტური კონკრეტული მიმართულებით. გარდა ამისა, საინფორმაციო ცენტრის საშუალებით ვრცელდება სხვადასხვა სახის სარეკლამო-ბეჭდვითი მასალა. ნებისმიერი სახის მომსახურება არის უფასო. საინფორმაციო ცენტრი გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველ სართულზეა განთავსებული (მის. თავისუფლების ქუჩა № 7).

## პოეზიის კუთხე

### იმედი

ნათელ მიზნებზე უფრო წმინდა რა გეგულება?
ამ შემეცნების თვალთახედვამ დაგაიმედოს.
ალალი გულით გაღიმება და ერთგულება;
მსგავსება შენი არასოდეს არ გაიმეტო!
ქვეყნად მოვლენა არ შეიცნო,ვითარც ზღაპარი.
სურვილი შენი სათავისო სხვასაც უნატრე.
სულს აენთება უწმინდესი სიბრძნის ლამპარი,
შენი მოვლენით თანამოძმეს გზა გაუნათე.
იმედი, რწმენა ნუგეშია სევდის მომრევი,
თუ გაიხადე თანამდგომად ზეცას დალახავ;
ვერას დაგაკლებს ეს ვერაგი სევდის მორევი,
როცა იმედი განუყრელად მუდამ თან გახლავს.
ვით არ გამიგო ასკეტურად სული იგვემო,
ვერავინ ბრძენი ამ ყაიდას ასე ვერც გეტყვის;
ზომიერებით მიწიერიც უნდა იგემო
და შენი მრწამსი უნდა გახდეს ყოფის რეცეპტი.
არც ის იწამო, გარდასახვის მერე აღსდგები;
მიწაზე მყოფი ბოროტებას ნუ მოუნდები.
გაივლის წლები, ათასი და მილიარდები,
ადამიანად ვერასოდეს ვერ დაბრუნდები.
ნუ გაგიტაცებს მაგ სიხარბე დამათრობელი,–
ჯოჯოხეთური სატანური სხვა ქადაგებაც...
ბრძოლა სიმართლით და იმედი მანათობელი,
ღირდა ამისთვის აქ მოვლენა თუ დაბადება.

**გურამ ჯიქია,**
ჩხოროწყუ, სოფ ლესიჭინე

### რუო ლაწკარი ომარგალეს

ხასლას ელგაცაცხამუტუქ
შური ეშამჸოლუნ თიშახ,
დოჩოქინელ ვამძირუდა
გინოფერჩველ ბირგულიშა...
გური ელამიოლ, მარა
პრიმას-პრიმას გევოშუა,
სქანო მუთუნ დობჭარი და
საწმოხონოთ მითვოჩუა...

### აკა ჯუნა

მიკარკაც დო მესხაპუნს,
კიდირ-ჩხეშაშ თანთალით,
ბოში-ნორცხვათ გინორთელი
მოთხოზ გურიშ ცანცალით...
ტყაპის, ბოშიქ ქიგიოჭოფუ,
ქეშაბათქეს ნაცალას,
მუ იჸუაფ, ვა უჯინათ
აკა ჯუნა ქაცალათ...
ჸოროფაშე გოჭყაფილეფ
აკა ჯუნა ქაცალათ,
წუწელ ორქო ბოშ იბადებ
ოჭალეს დო ნაცალას...

**რამაზ კუპრა**

# ისინი ასანთისკენ აცეცებენ თვალებს!!!

ღმერთი ყველაფერს ხედავს... არ მინდოდა, ბევრი ვეცადე თავი ხელში ამეყვანა, ცოტა ფილოსოფიურად შემეხედა რაღაც-რაღაცეებისთვის და ვინმე ნამეგრელარ **აბესალომ კაშიასათვის,** რომელიც ამ ბოლო დროს ცნობილი მეგრელთმოძულის ტ. ფუტკარაძის ყველაზე თანმიმდევრულ მოწაფედ წარმოჩინდა – მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიმექცია... მინდოდა მშვიდად შემეხედა მისი ანტიმეგრული გამოხდომებისთვის... ვფიქრობდი, უკვე იმდენჯერ მიმართეს შეგონებით ჩემმა მეგობრებმა, წესით კი უნდა მოვიდეს აზრზე-მეთქი... მაგრამ, როგორც ერთი ვაინაპრეზიდენტალი იტყოდა ხოლმე – ნურას უკაცრავად! ვაგლახ! ეს ტიპი! ეს კაშია... კაი უფშვიტინე აღმოჩნდა და იმდენი იბჟუტურა! იმდენი იხვანცალა! იმდენი იპროვოკატორა! კი მეუხერხულება, მაგრამ უნდა ვაღიარო – იძულებული გამხადა პერსონალურად მისთვის, მართალია მცირე ხნით, მაგრამ მაინც მოვიცალო!

არა! ნამდვილად არ იყო ეს ჩემი დაუოკებელი სურვილი! მაგრამ... ვხედავ, დაუკრეფავში გადავიდა უკვე ეს ფსევდომენცარი! ვხედავ, ეს ვითომ მკვლევარი და ფალსიფიკატორი ბალავერს უნგრევს ქართველი ერის ერთიანობას! ვხედავ, თუ როგორი გიჟური აღტკინებით სწამებს ცილს სამშობლოს, მთლიანი საქართველოს აღორძინებისათვის თავდადებულ ადამიანებს და ვალდებული ვარ მისთვისაც მოვიცალო! მითუმეტეს, ამას წინათ, ჩემმა პირადმა მეგობრებმა შემატყობინეს მასზე – ოღონდ მეგრელობა არ დააბრალოს ვინმემ და არმენობაზეც ყაბულსააო!

მე ვუთხარი იმ მეგობრებს – მაგის მეგრელობას რა თავში ვიხლით, ძალიანაც კარგი – ერთით ნაკლები თახსირი და გიჟი გვეყოლება-მეთქი! ახლა არავინ არ მითხრას მთლად ეგეთი გარეკილი არ არის პატივცემული აბესალომიო!

არის ჩემო კარგებო! არის და თანაც როგორი, რომ იცოდეთ! მამალი, მამალი გიჟი! აბა განსაჯეთ თქვენ თვითონ – ცაგარელზე, ყიფშიძეზე, რობაქიძეზე, ნიკო მარზე, შანიძეზე... დიდი პატრიოტი, რომ ჰგონია საკუთარი თავი – ის გიჟია აბა ვინ არის!..

მე სერიოზულად მაინტერესებს უკვე საქართველოში ფსიქიატრიის რეალური დონე, მდგომარეობა... მიმაჩნია, რომ სულ ცოტა ბოლო 25 წლის განმავლობაში მედიცინის ამ დარგის სპეციალისტებმა თავი შეირცხვინეს!

ჰოდა, ახლა მინდა მივმართო მათ – პატივცემულო ფსიქიატრებო! თქვენ ერთხელ უკვე დაუშვით დასანანი შეცდომა, როცა ერთ ნაპრეზიდენტალს მსოფლიოს ექვსმა თუ შვიდმა კლინიკამ დაუსვა შესაბამისი დიაგნოზი და მე ნამდვილად არ მსმენია, რომ ამ საქმეში რამე წვლილი გქონდეთ შეტანილი. ახლა, გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა განახორციელოთ შესაბამისი ფსიქიატრიული დაკვირვება საქართველოში მძვინვარე მეგრელთმოძულეთა ჯგუფზე, რომელსაც პირობითად დავარქვი ასე – **„ფუტკარაძე-კაშია და კამპანია”!** ოღონდ გთხოვთ მხოლოდ დაკვირვებით ნუ დაკავდებით!

აუცილებელად მიმაჩნია ადეკვატური თერაპიული ღონისძიებების გატარებაც! პაციენტების მდგომარეობა იმაზე უფრო სერიოზულია ვიდრე ეს ერთი შეხედვით შესაძლოა ვინმეს ეგონოს!

მერწმუნეთ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა სამშობლოს გაუწიოთ უდიდესი სამსახური! ასევე გეძლევათ უნიკალური შანსი სამამულო ფსიქიატრიის შესამჩნევად შელახული პრესტიჟიც მნიშვნელოვნად აამაღლოთ!

აქვე, პატივცემულო ფსიქიატრებო, გთავაზობთ ფსიქიკური დაავადების იმ ნაირსახეობას, რომელსაც თქვენ უსათუოდ აღმოაჩენთ ზემოთხსენებულ პაციენტებზე დაკვირვებისას – დაარქვათ **„მარგალოფობია“...** მე დავამთავრე... მაგრამ არა! ბოლოს მივმართო მინდა ასევე ჩემს ძველ მეგობრებს, თანამებრძოლებს ეროვნული მოძრაობიდან – ძმანო და დანო! თქვენ გენაცვალოთ ზურაბ კვარაცხელია! რომ იცოდეთ, მე მაინც ყველაზე მეტად თქვენი იმედი მაქვს! გთხოვთ, გეხვეწებით, იმ ხალხს თვალი მიადევნეთ! ვიცი! ვგრძნობ! ისინი, რაღაც ცუდს გვიპირებენ! ისინი მძიმე ავადმყოფები არიან! ისინი ასანთისკენ აცეცებენ თვალებს!!!

**ზურაბ კვარაცხელია**

# “რძლის გადასარჩენად ჩავიდა წყალში და ორივე დაიხრჩო” – შემზარავი ტრაგედია სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირში ამავე სოფლის მცხოვრები ორი ქალბატონი მდინარე მდინარე ტეხურში ბანაობისას დაიხრჩნენ. რიტა მიგინეიშვილი და თეონა ბუკია ერთი ოჯახის რძლები იყვნენ.

როგორც ჩვენთან საუბარში სოფლის რწმუნებული, ნუკრი ჯანჯღავა ჰყვება, ერთი რძალი მდინარეში მეორის გადასარჩენად ჩავიდა, ისინი დინებამ ჩაითრია. ადგილზე მისულმა სენაკის სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა, მათი გადარჩენა ვერ შეძლეს...

**ნუკრი ჯანჯღავა:** – ერთ ეზოში ცხოვრობდნენ ეს ქალბატონები, ძმების მეუღლეები იყვნენ, გვარად სახოკიები არიან ის ბიჭები. ცალ-ცალკე იყვნენ გასულნი საცხოვრებლად, მაგრამ მაინც სულ ერთად იყვნენ,ღობეც კი არ ჰყოფდათ. რიტა მიგინეშვილი, 36 წლის იყო, 6 წლის შვილი დარჩა, მეორე, თეონა ბუკია, ახალი რძალია, 19 წლის იყო. 3 თვის ფეხმძიმე ყოფილა, საცოდავი...

**– როგორ მოხდა ტრაგედია?..**

– მდინარე ტეხურაზე გასაგრილებლად წასულან. რიტას, უფროს რძალს, შვილმა სთხოვა თურმე მდინარეზე წავიდეთო. იმ ადგილას, სადაც საბანაოდ ჩასულან, მუხლებამდეა წყალი,მაგრამ ძალიან ჩქარი დინებაა და ცივია... თეონას დედაც ახლდათ თურმე. ბავშვი საჭყუმპალაოდ ჩასულა. ქალბატონებიც იქვე ყოფილან. პატარას ფეხზე ხავსი გამოედო თურმე, წაბორძიკებულა და წყალში ჩავარდნილა. დედა, რომელიც რამდენიმე ნაბიჯზე იდგა, რა თქმა უნდა, შვილს დასახმარებლად მივარდა თურმე. ბავშვი სამშვიდობოს ამოუყვანია,მაგრამ თავად წაბორძიკებულა. ეტყობა, ქვებზე წაბორძიკდა და წაქცეულა საცოდავი... ეტყობა, გამოსვლა გაუჭირდა, რადგან ძლიერი დინებაა და თეონა ჩასულა,მოგეშველებიო. იმ ადგილას კი მუხლებამდეა წყალი, მაგრამ ცოტა ქვემოთ, დაახლოებით, 100 მეტრში, უკვე ღრმა არის, ეტყობა, ჩაითრია და ველარ ამოვიდნენ თურმე... ამ ყველაფერს თეონას დედა შეესწრო თურმე, რომელიც ბავშვს აკავებდა, რადგან ისიც ცდილობდა თურმე წყალში ჩაცვენილი ქალების დახმარებას. შორიახლოს მეზობელი თენგიზ ჯანღავა თევზაობდა და იმას გაუგია კივილი, კი ჩავარდნილა წყალში, მაგრამ უკვე გვიანი ყოფილა...

იქვე მეზობლები ყვებოდნენ, ახლაც ყურებში გვიდგას, შიშისგან ლამის ჭკუიდან გადასული ქალისა და ბავშვის კივილიო. მის ტირილზე მოვარდნილან ახლო-მახლოს მყოფნი და სამაშველო სამსახური გამოუძახიათ, მაგრამ რას უშველიდნენ...

**ლალი პაპასკირი**

# სააკაშვილს უეჭველად დაიჭერენ!



*“არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ქვეყანაში დიდი დაჭერები დაიწყება”.*

*“კიდევ არაერთი საქმე ამოტივტივდება, რომლებიც დღეს გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო თაროზეა შემოდებული”.*

გასული კვირა ხმამაღალი დაკავებებით, ბრალის წაყენებებით და სასამართლო პროცესებით გამოირჩეოდა. **“სი თი პარკის**” კორუფციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ახალი ბრალი წაუყენეს დედაქალაქის ყოფილ მერს გიგი უგულავას, მეორე დღეს კი იგი აეროპორტში ქვეყნის დატოვების მცდელობისას დააკავეს. წამების, სექსუალური ძალადობის ორგანიზების და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ახალი ბრალი წარედგინა თავდაცვის და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიას. რამდენიმე საათი გრძელდებოდა ყოფილი მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას დაკითხვა მოდულის შენობაში. **“ნაციონალური მოძრაობა”** აცხადებს, რომ ეს ყველაფერი არჩევნების მეორე ტურს უკავშირდებოდა. მმართველი კოალიცია როგორც წესი პოლიტიკურ დევნას უარყოფს და წინა ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებზე მიუთითებს. რა ხდება სინამდვილეში და რა იქნება არჩევნების შემდეგ. ჟურნალისტი **პოლიტიკის და სამართლის ცენტრის თავმჯდომარეს, ამირან გიგუაშვილს** ესაუბრა:

**— შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარლ ბილდტმა, საქართველოში ვიზიტისას განაცხადა, რომ ასოცირების ხელშეკრულება არ შეიძლება ხელისუფლებისათვის მწვანე შუქის ანთებად ჩაითვალოს პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. მანვე განაცხადა, რომ საქართველოს ევროპელი პარტნიორების მესიჯი ნათელია: ისინი შერჩევით სამართალს არ მოითმენენ და თავისთავად აქ ნაციონალური ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები იგულისხმება. ამ ფონზე, როდესაც აეროპორტში, ტელეკამერების თვალწინ ადებენ ხელბორკილებს დედაქალაქის ყოფილ მერს, ხომ არ შეაფერხებს ეს ფაქტი ქვეყნის ევროინტეგრაციის სრულფასოვან პროცესს?**

— 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ გიგი უგულავა მიზანმიმართულად მიდიოდა ციხის გისოსებისკენ. ეს მისი არჩევანი უფროა, ვიდრე პროკურატურის და თუ გრძელვადიან პერსპექტივაში ვინმემ მოიგო ამ სატელევიზიო დაკავებით, ეს თავად გიგი უგულავაა. მერაბიშვილისა და ახალაიასგან განსხვავებით, მას საზოგადოებაში ნაკლები ნეგატივი აქვს, ამიტომაც თუ **“ნაციონალური მოძრაობიდან”** ვინმეს დარჩა პოლიტიკური პერსპექტივა, ეს გიგი უგულავაა და დაპატიმრებით მისი ეს პერსპექტივა კიდევ უფრო გაიზარდა, ვიდრე შემცირდა. რაც შეეხება შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას. ვფიქრობ მას ახალი არაფერი უთქვამს. მან თქვა, რომ თუ ცივილიზებულ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, შერჩევითი სამართალი არ უნდა არსებობდეს. რა არის ამაში უჩვეულო? იგივეს გვეუბნება ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამარბერგი, აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი და ყველა **“ჩვენი მეგობარი და პარტნიორი”** ქვეყნების წარმომადგენლები. მეტსაც გეტყვით, ამ პათოსს განცხადებების დონეზე სრულად იზიარებს ქართული პოლიტიკის აბსოლუტური უმრავლესობა: შალვა ნათელაშვილი და ირმა ინაშვილის პატრიოტთა ალიანსიც კი. ამიტომ, არა მგონია ბატონი კარლ ბილდტის განცხადებების გადაფასება ან ვერდაფასება ღირდეს. მე ვფიქრობ აქ უფრო სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე და ეს პირველ რიგში ხელისუფლების არათანმიმდევრულობას და ე.წ. სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმის არქონას უკავშირდება, რის გამოც ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები ერთგვარად არადამაჯერებლად გამოიყურება და გარკვეულ კითხვებს ბადებს, რაც საბოლოო ჯამში სწორედ ხელისუფლებას აზარალებს.

**— რას გულისხმობთ არათანმიმდევრულობასა და სამოქმედო გეგმის არქონაში. მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ გამოძიება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და მალე ყველა გახმაურებული საქმე გაიხსნება. ასევე აცხადებენ, რომ კანონის წინაშე პასუხს ყველა აგებს, მიუხედავად იმისა თუ რა თანამდებობა ეკავათ “ნაციონალური ხელისუფლების” დროს და რომ ეს დაკავებები პოლიტიკასთან არაფერ შუაშია. მაინც რა უნდა გაეკეთებინა ან რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ სამართალდამცავი ორგანოების გადაწყვეტილებების მიმართ კითხვები არ არსებობდეს?**

— რაც შეეხება სამოქმედო გეგმას. საზოგადოების მთავარი უკმაყოფილების მიზეზი ის ბუნდოვანება და გაურკვევლობაა, რომელიც სწორედ ხელისუფლებამ შექმნა. ძალიან მარტივად რომ შევხედოთ, საკითხი ასე დგას: როდესაც ამ ხელისუფლებამ აღიარა წინა ხელისუფლების დროს ასეულობით პოლიტპატიმრის არსებობა და გამოსცა უპრეცედენტო ამინისტიის აქტი, რომლის შედეგადაც ათასობით ადამიანი გათავისუფლდა ციხეებიდან, ამით მან თავისთავად აღიარა **“ნაციონალური მოძრაობა”** დანაშაულებრივ რეჟიმად. შესაბამისად, საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი, რომ არა მხოლოდ ცალკეული მაღალჩინოსნები აღმოჩნდებოდნენ გისოსებს მიღმა, არამედ მთლიანად **“ნაციონალური მმართველობა”** გასამართლდებოდა, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი. ამის ნაცვლად კი, ხელისუფლებამ თავიდან კოჰაბიტაციის წყალობით, ხოლო შემდეგ სუფთა პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავად შეუწყო ხელი **“ნაციონალური მოძრაობის”** გადარჩენის პროცესს. ამ ყოველივემ და ასევე იმ ფაქტმა, რომ არ მოხდა ათასობით ყოფილი პატიმრის საქმეების ხელახალი შესწავლა და მათთვის მიყენებულ ზიანზე **“ოცნების”** მთავრობის მიერ ვალდებულების აღება. ასევე იმან, რომ ხან არჩევნების გამოა მორატორიუმი, ხან ევროპელი მეგობრებისთვის უწევს ხელისუფლებას ანგარიშის გაწევა და მეტი დელიკატურობის გამოჩენა, გამოიწვია ის იმედგაცრუება, რის გამოც ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი საერთოდ არ წავიდა თვითმართველობის არჩევნებზე. რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა ყოფილი მერის ან თავდაცვის მინისტრისათვის ბრალის წაყენებას პოლიტიკური ქვეტექსტი, იმ ფონზე როდესაც გამამართლებელი განაჩენი უფრო მეტი დგება, ვიდრე გამამტყუნებელი, ცხადია, რომ **“ნაციონალურ მოძრაობას”** სულ უფრო მეტი არგუმენტები ეძლევა ამის სათქმელად. თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი დროებითი იყო, რადგან ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ქვეყანაში დიდი დაჭერები რეალურად განხორციელდა.

**— რა გაძლევდათ ამის თქმის საფუძველს. ვის დაჭერას ელოდებოდით და რამდენად წაადგება საბოლოო ჯამში ეს ხმაურიანი სასამართლო პროცესები თავად ქვეყნის წინსვლას და განვითარებას?**

— ამის თქმის საფუძველს მაძლევდა ოცნების ხელისუფლების მოქმედების ანალიზი. დღევანდელ ხელისუფლებას ახასიათებს ფრთხილად და ზოგჯერ ტაქტიკურად უკან დახევებითაც კი დასახულ მიზნამდე მისვლა. ეს უფრო ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ივანიშვილის ხელწერაა, რაც აქტიურად შეინარჩუნა ამჟამინდელმა მთავრობამაც. მაგალითისთვის თუნდაც ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ავიღოთ. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, თვით **“ოცნების”** ყველაზე თამამ მხარდამჭერებსაც არ სჯეროდათ, რომ მშვიდობიანად შევძლებდით ან საერთოდ შევძლებდით ამ ხელმოწერამდე მისვლას, მაგრამ ფაქტია, ქვეყანამ ასეთ გრანდიოზულ წარმატებას მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე მიაღწია. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, რაც მმართველი გუნდის სტილს უფრო ნათელს ხდის. მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ორ წელზე მეტია. ვფიქრობ, ხელისუფლება ამ პერიოდს მაქსიმალურად გამოიყენებს, რომ **“ნაციონალური მოძრაობის”** დაბრუნების შანსები ნულამდე დაიყვანოს და მაღალჩინოსნების მიმართ დაწყებული სისხლის სამართლის საქმეებიც დაასრულოს. ამ საქმეების უმრავლესობა კი წარდგენილი ბრალდებების სიმძიმიდან გამომდინარე, მხოლოდ პატიმრობას ითვალისწინებს. ასევე დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთი საქმე ამოტივტივდება, რომლებიც დღეს გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო თაროზეა შემოდებული და ამ ფონზე მე არც ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოვრიცხავ უფრო აქტიური საგამოძიებო პროცედურების დაწყებას, თვით მისი დაპატიმრების ორდერის გაცემასაც კი, რაც უკვე რეალურია. თუმცა, ცხადია, აქ ბეწვის ხიდი იქნება გასავლელი. ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს, რომ ყოფილი ჩინოსნების საქმეებზე ყველაზე მაღალი უდანაშაულობის პრეზუმფციის და გამჭვირვალების სტანდარტი დაიცვას, როგორი მწვავეც არ უნდა იყოს საზოგადოების რადიკალური ნაწილის მოთხოვნა. სამართლიანობის დამკვიდრება მერაბიშვილ-ახალაიას დაჭერა კი არ არის, მათი მინისტრობის პერიოდში უკანონოდ დაჭერილი ადამიანების ღირსების აღდგენა და კომპენსაციაა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს ვინ ტყუილად იჯდა ციხეში **“ნაციონალური მოძრაობის”** დროს და ვინ მართლა დასაჭერი იყო. ამისათვის კი ცალკე საგამოძიებო ორგანო და სპეციალური კანონმდებლობა უნდა შეიქმნას. სხვაგვარად არაფერი გამოვა, რადგან ხალხის რეალური, ემოციებს მიღმა არსებული დაკვეთა **“ოცნების”** ხელისუფლების მიმართ სწორედ ეს არის და არა გაუაზრებელი შურისძიება და სატელევიზიო დაჭერები, რამაც საბოლოოდ შესაძლოა ქვეყანა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს.

**ე. ტუხიაშვილი**

*ამის ცოდნა აუცილებელია*

# რა უნდა ვიცოდეთ ფულის გადახურდავებისას

საინტერესოა, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, აქვს თუ არა ვალდებულება სავალუტო ჯიხურს, გადაცვლილი თანხა უკან დააბრუნოს?

სავალუტო ჯიხურები, როგორც წესი, თანხის კონვერტირებას მომსახურების საკომისიოს გარეშე ახდენენ. თუმცა, არის შემთხვევები, როცა მომხმარებელს ამ მომსახურებაში საკომისიოს გადახდას სთხოვენ. ცოტა ხნის წინ, რედაქციაში მკითხველის წერილი შემოვიდა, რომელიც გვატყობინებდა, რომ პეკინის 6-ში მდებარე სავალუტო ჯიხურში, 250 დოლარის გადასახურდავებლად მივიდა და თანხის მიღებისას აღმოაჩინა, რომ ჯიხურში ვალუტის გადახურდავებისთვის საკომისიო 9.5% იყო დაწესებული, რაც 250 დოლარზე 42 ლარს შეადგენდა. როგორც კი მომხმარებელმა საკომისიოს შესახებ გაიგო, თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა, დახმარებისთვის საპატრულო პოლიციაც კი გამოიძახა, მაგრამ უშედეგოდ.

დაირღვა თუ არა მომხმარებლის უფლება ამ კონკრეტულ შემთხვევაში და რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა, რომ მსგავს სიტუაციაში არ აღმოჩნდეს? — ამის გარკვევას ჟურნალისტი შეეცადა.

როგორც ფინანსური სექტორის ზედამხედველ ორგანოში, ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების შესაბამისი მუხლები, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს ავალდებულებს, მომსახურებისას მომხმარებელს სრული ინფორმაცია მიაწოდონ ვალუტის გაცვლის კურსისა და მომსახურების საკომისიოს ოდენობის შესახებ.

**„ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების საკომისიოს შესახებ კლიენტისათვის თვალსაჩინო ადგილას, სალაროსთან და ყიდვა-გაყიდვის კურსის თითოეულ მაჩვენებელთან, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსის ამსახველი შრიფტის ზომის ინფორმაციის განთავსება. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პუნქტის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, კერძოდ, წერილობითი მითითების გაგზავნა, ფულადი ჯარიმის დაკისრება, რეგისტრაციის გაუქმება,”** — ამბობენ ეროვნულ ბანკში.

ეროვნულ ბანკში გვითხრეს, რომ გასულ წელს იყო შემთხვევა, როდესაც აღმოჩენილი დარღვევების გამო ეროვნულმა ბანკმა შპს **„p end l grup“**-ის ვალუტის გადამცვლელ ორ პუნქტს რეგისტრაცია გაუუქმა.

**„რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი აღნიშნული პუნქტების მხრიდან იმ ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა სავალუტო პუნქტების ფულის გათეთრების მონიტორინგის პროცესის ადეკვატური წარმართვისა და მომხმარებელთა უფლებების სათანადოდ დაცვის მიზნით დაუწესა. შპს „p end l grup“-ის ჯიხურები, რომლებიც დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა, არაერთხელ იყო მომხმარებელთა უკმაყოფილების მიზეზი ვალუტის გადაცვლის ოპერაციაზე წინასწარი გაფრთხილების გარეშე, საკომისიო გადასახადის დაკისრების გამო. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, შპს „p end l grup“-ის მფლობელთა მხრიდან მუდმივად ჰქონდა ადგილი მომხმარებელის შეცდომაში შეყვანას და წესების დარღვევას,“** — ამბობენ ეროვნულ ბანკში.

საინტერესოა, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, აქვს თუ არა ვალდებულება სავალუტო ჯიხურს, გადაცვლილი თანხა უკან დააბრუნოს. როგორც ეროვნულ ბანკში განგვიმარტეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე (საცალო გარიგების ცნება) და 73-ე (არსებითი შეცდომის სახეები) მუხლები აძლევენ მომხმარებელს უფლებას, მოითხოვოს გარიგების გაუქმება.

პეკინის ქუჩაზე №6-ში მდებარე სავალუტო ჯიხურში მივედით, რათა გვენახა, თუ რამდენად ასრულებს აღნიშნული ჯიხური საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს. აღმოჩნდა, რომ საკომისიოს შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინო ადგილზე იყო განთავსებული და ეროვნული ბანკის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებდა. რაც შეეხება მომხმარებლის მიერ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნას, როგორც სავალუტო ჯიხურში გვითხრეს, თანხის უკან დაბრუნება ხდება მაშინ, თუ მომხმარებელი ჯიხურს არ დატოვებს და შესაბამის ჩეკზე ხელი არ ექნება მოწერილი.

საფინანსო და საბანკო საკითხებში ექსპერტ ლია ელიავას განცხადებით, საჭიროა ქვეყანში არსებობდეს ფინანსურ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობა, რათა მომხმარებელი მეტად იყოს დაცული.

**„საქართველოში არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა ფინანსურ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ამიტომაც დაჩაგრული მომხმარებელი სამართალს ვერ პოულობს. მოტყუებული მომხმარებელი, რომ წავიდეს და იჩივლოს ეროვნულ ბანკში ან სასამართლოში, ის ვერ მოიგებს საქმეს, რადგან სავალუტო ჯიხურს გასამართლებელი საბუთი ექნება. ეს საკითხები უნდა დაარეგულიროს ეროვნულმა ბანკმა, რომელიც ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებს და ეს პირველ რიგში, სწორედ მისი პრეროგატივაა,“** — აცხადებს ლია ელიავა.

**გიორგი მუშკუდიანი**

# ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ...

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

მოგესალმებით, ბატონო როლანდ!

გიდასტურებთ ჩემს დიდ პატივისცემას თქვენი პიროვნებისადმი. მიმაჩნია, რომ თქვენ პრიმა ჟურნალისტი ბრძანდებით საქართველოში (ეს ყოველგვარი პირფერობის გარეშე). (ამ კომენტარს აშკარად გადაჭარბებულად მივიჩნევთ, მაგრამ ვაქვეყნებთ მხოლოდ ავტორის ნაწარმოების ხელუხლებლობის პრინციპიდან გამომდინარე – გაზეთი **"ილორი"**).

მე გახლავართ თქვენი დიდებული გაზეთის **„ილორის"** მუდმივი მკითხველი. ყოველ სამშაბათს ვყიდულობ ორ ცალს, ერთს ეროვნულ მოძრაობას ვუგზავნი, მეორეს ვკითხულობ მეზობლებთან და ნათესავებთან ერთად. ხშირად სოფლებშიც ვაგზავნი. განსაკუთრებით მომწონს და მიყვარს ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას და თქვენი სტატიები, ასევე ბატონების: გივი სომხიშვილის, თენგიზ კუბლაშვილის, კუკური ფიფიას წერილები. ჩემი საყვარელი წასაკითხი იყო ცხონებული კლიმენტი შელიას ნაწარმოებები, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას სპეციალური პროგრამა და ინტერვიუები პოლიტიკურ საკითხებზე, რა თქმა უნდა, არნო ხიდირბეგიშვილის წერილები და სხვა.

**„ილორი"** ჩვენი გაზეთია, სახალხო გაზეთია, ბევრი საინტერესო საკითხებია მასში.

ჩემი ყურადღება მიიქცია თქვენმა წერილმა: **„რამდენიმე სიტყვა საქართველოს ბურჯის მომრღვევ დედაკაცზე" („ილორი"** №275). თქვენ წარმოიდგინეთ, სათაურის წაკითხვისთანავე მივხვდი ვიზედაც იქნებოდა საუბარი. სრულიად გეთანხმებით ნინო ბურჯანაძის არაქართულ ჰაბიტუსზე (**„როჟაზე"**, მაპატიეთ).

მართლაც რომ ის არის უსაზღვროდ ამბიციური პიროვნება (ბავშვობიდან უსაშველოდ განებივრებული, დიდი ვინმე თავნება), ახასიათებს დაუოკებელი სწრაფვა დიდი თანამდებობისაკენ. მართლაც რომ ღაღადებს სხვის ცოდვებზე, შეცდომებზე, კრიმინალზე და ამ დროს თავისი ასეთი რამ აღარ ახსოვს, უცოდველი კრავივით გვაჩვენებს თავს. კარგად მახსოვს, თუ როგორ მობრძანდებოდა რუსთაველზე **„პოდრუჩკით"** სააკიანსა და ზანაზანა ანტონიანის (ჟვანიას) შორის, როგორ შეისყიდა ერთ ლარად წყნეთის მილიონად ღირებული აგარაკი და მერე, როცა მათ შორის შავმა კატამ გაირბინა, თავისას ვერ მიაღწია, **„გმირულად"** გადადგა თანამდებობიდან (თურმე ედიკას რჩევითაც). ნინო, თითქმის, ისეთივე დამნაშავეა, თანამონაწილეა, როგორც სააკიანი და მისი კრიმინალი გარემოცვა.

ბატონო როლანდ, ნინო არც ბურჯანაძეა, არც ბურჯალიანი, ის არის ვარსოიანი, მისი დედის: შუშიკას, სუსიკას და ახლა თინათინის დისშვილი – დედმამით სომეხი. მამამისი ანზორ ბურჯალიანია, წარმოშობით ცაგერის რაიონის სოფ. ორბელიდან, ანუ გალეჩხუმებული სვანია. ანზორის დედას ოთხი **და** ჰყავდა. მათგან სამს – დისშვილებს ძალიან ახლოს ვიცნობდი, მათ შორის მამუკა ასლანიკაშვილს. ერთერთი მათგანი ახალგაზრდობაში ყველაფერს მიყვებოდა მაგათ ოჯახზე. ანზორის მამას, თუ მის ბაბუას, ზუსტად უკვე აღარ მახსოვს, ძალიან დიდი დროა გასული, ორბელში კაცი მოუკლავს, მერე ქუთაისში გაქცეულა და ბურჯანაძედ ჩაწერილა.

ანზორი ქუთაისში დიდ თანამდებობაზე მუშაობდა. მერე გადაიყვანეს თერჯოლის რაიკომის მდივნად. მისი მეუღლე, ამბობენ, თერჯოლელი სომეხია. დიდხანს შვილი არ ჰყავდათ. შუშანამ თავისი დისშვილი იშვილა. ანზორმა თერჯოლაში რაღაც დააშავა, რის გამოც ე. შევარდნაძემ მოხსნა და თბილისში გადმოიყვანა ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარედ. სწორედ მაშინ გავიცანი იგი პირადად. ხასიათით ცუდი კაცი არ იყო, უზომოდ უყვარდა ფული, დიდძალ ქონებას ფლობდა. პუტჩის დროს **„პურის მაფიოზად"** გადაიქცა, მილიონობით ფული დააგროვა და ქალიშვილს ახარჯავდა უზომოდ. ხალხს კი აჭმევდა პურისა და ქერის რაღაც საზიზღარ ნაზავს. ნინოს ერთხელ ერთმა ცნობილმა პიროვნებამ ჰკითხა: **„შენც ასეთ პურს ჭამო?" „არაო,** – მიუგო ნინომ. – **მე თერჯოლიდან ყოველდღე მიგზავნიან ახალგამომცხვარ პურსა და ხაჭაპურებსო".** არც კი შერცხვა ამის თქმა ამ ურცხვ და უხეშ ქალს. ნინოს **„პურის"** ხან **„ქატოს"** პრინცესა შეარქვა დამშეულმა ხალხმა. პარლამენტის უღირსი სპიკერი რომ იყო, იმითაც დასტურდება, რომ, როცა იქ, რომელიღაც ცივ ოთახში **„მემარჯვენეები"** (დ. გამყრელიძე) შიმშილობდნენ, უსულგულო ნინომ მათ თბილი პლედის გამოყენება აუკრძალა.

ერთხელ, როცა ეროვნული მოძრაობისა და უზენაესი საბჭოს წევრებმა მიღება სთხოვეს, ნინომ უარი თქვა და მიაძახა: **„მე სუნიანებს არ ვიღებო".** მართლაც ტუტუცი სომეხი და ქაჯია ეგ დედაკაცი! მაგაზე მეტი სუნიანი და ნაგავი პიროვნება, ნეტავ, ვინ არის? ახლა რომ ფულებში იხრჩობა, დაავიწყდა ახალგაზრდობაში რა მახინჯი და უგემოვნო იყო?

თუ მახსოვრობა არ მღალატობს, წინათ გაზეთ **„პრაიმ ტაიმში"** გამოქვეყნდა წერილი ნინოს წარმომავლობაზე. თურმე გამძვინვარებული მხეცივით შევარდა რედაქციაში, მამამისთან ერთად, სულ დალეწა მთელი აპარატურა. მერე უშველებელ მაგიდას მიახტა გადასაბრუნებლად. ანზორი ეხვეწებოდა: **„ნინო ქალი ხარ, შვილო არაფერი იტკინო, გაჩერდი, მაგიდას მე მივხედავო".** მაგრამ ნინო ხომ ბუნებით მხეცია, სულ ცოფებს ყრიდაო და ძლივს გაიყვანეს იქიდან. ნინოსა და ზანაზანა ანტონიანის შესახებ ხშირად წერდნენ გაზეთ **„ახალ ერაში"**, **„თვალთაიში"**, **„მარჯვში"** და სხვა ეროვნულ გაზეთებში. ზანანზანას შესახებ სტატია შენახული მაქვს.

ბატონო როლანდ, მეზობელი მყავდა სომხის ქალი სახელად ირა, გაგიჭრიათ მაისის ვაშლი შუაზე, აი, ასე ტყუპისცალივით ჰგავდა მას ნინო ვარსოიანი. ერთხელ ტელეფონით მოვახერხე დაკავშირება და შევთავაზე მის ორეულთან გაცნობა. სულ მაგინა, მეტს რას იზამდა, რა იცოდა ვინ ვიყავი.

ბატონო როლანდ, ალბათ, გახსოვთ ნინო მოსკოვში რომ პუტინთან იყო. ჯერ ჩანთა როგორ დააბერტყა იატაკზე ამ უზრდელმა, მერე თოვასა და ყინვაში გამოვიდა გარეთ და დადგა მათ გვერდით ნორკის ქურქით, ტუფლებით ე. წ. **„ფრანცუსკებით"**, თანაც უქუდოდ. ეს მაშინ, როცა ქურქთან შეხამებით და ყინვის პირობებში, თბილ ჩექმებში უნდა ყოფილიყო, წესის მიხედვით. ნინო დიდი უგვანო ქალი იყო. ბოლო წლებში გამოაკეთეს, იმდენი დიზაინერი და მომსახურე პერსონალი გაიჩინა.

7 ნოემბერსა და 26 მაისზე რაღა გითხრათ, თქვენ უკეთ იცით. **„ნაცებმა"** მას **„კორიდორი"** გაუკეთეს და გაიქცა, მიატოვა თავისი მხარდამჭერები. ამის შეხსენების გამო კ. კალაძე ცინიკურად ფეხბურთელად მოიხსენია. ამ დავით ლორთქიფანიძეს მაინც რაღა უნდოდა მასთან? ალბათ ფულები, სამწუხაროდ! არადა, დიდ პატივს ვცემდი ამ ქართველ ვაჟკაცს.

მაპატიეთ წერილის მოწერა შემაგვიანდა გარკვეული მიზეზების გამო.

ჯანმრთელობასა და დიდ წარმატებებს გისურვებთ. ღმერთმა ინებოს მოვესწროთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას საქართველოში.

გფარავდეთ წმ. სამება.

თქვენდამი დიდი პატივისცემით,

**მეგი გორდეზიანი**

# საპატრიარქოს სპეციალური განცხადება "კაზანტიპის" ფესტივალთან დაკავშირებით

ფესტივალ "კაზანტიპში" ნებისმიერი სახით მონაწილეობა და მისი მხარდაჭერა უმძიმესი შედეგების მომტანი იქნება ქვეყნისთვისაც და ცალკეული პიროვნებებისთვისაც, – ამის შესახებ საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

**"გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გადაწყდა, რომ გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ე.წ. „კაზანტიპი" ა.წ. 20-30 აგვისტოს ჩატარდება საქართველოში, მაცხოვრის კვართისა და ღვთისმშობლის სამოსლის მცველ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში და თანაც მარიამობის მარხვაში.**

**„კაზანტიპის" მომწვევის, ტურიზმის დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელის, გიორგი სიგუასა და უკრაინაში ამ „ფესტივალის" დამაარსებლის, ნიკიტა მარშუნოკის თქმით, „წელს ანაკლიაში არ იქნება ნარკოტიკები და თავისუფალი სექსი, მაგრამ იქნება ხმა, განათება, კარგი განწყობა და სიყვარული". ღონისძიებას სახელიც შეუცვალეს („რეალობის ანტირეალობა" დაარქვეს) და, ალბათ, კიდევ სხვა საშუალებებითაც შეალამაზებენ, მაგრამ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მსგავსად, არსით იგი მაინც უცვლელი დარჩება და ეს ლოგიკურიცაა (უკრაინაშიც თავდაპირველად ეს საქმიანობა შედარებით რბილი ფორმებით დაიწყეს და შემდეგ მიიღეს ის სახე, რაც დღეს აქვთ).**

**„კაზანტიპს" სწორედ აღვირახსნილობის გამო სტუმრობს ამდენი „ტურისტი" მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნიდან. მათ სწორედ მასობრივი ორგიები და თავაშვებულობა იზიდავთ და არა მუსიკა ან რაიმე კულტურული ღონისძიება, მით უმეტეს ჩვენი ქვეყნის აღორძინების სურვილი.**

**არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ცოდვა ყველა დროში არსებობდა, მაგრამ დღეს მისი არა თუ ლეგალიზება, შეიძლება ითქვას, იძულებითი დანერგვა ხდება როგორც სარწმუნოების, ისე ზნეობისა და ეროვნული ფასეულობის დამცირების ფონზე; ამგვარ ვითარებაშიც კი „რეალობის ანტირეალობა, – კაზანტიპი" მკვეთრად განსხვავებული მოვლენაა, რადგან გარყვნილების ასეთი მასშტაბური ფორმა არასდროს მოუფიქრებიათ. ასეთი უზნეობა ყოვლად მიუღებელია ნებისმიერი სარწმუნოების ადამიანისათვის.**

**ჩვენის აზრით, ჩვენს საზოგადოებას ხმა არ მიუცია საქართველოს სახელმწიფოს ამ მიმართულებით განვითარებისათვის. საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა და იგი არ შეიძლება გახდეს აღვირახსნილობის ხელშემწყობი.**

**რა თქმა უნდა, გვესმის ისიც, რომ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას, ლამის, სიცოცხლის ფასად უღირს ის შემოსავალი, რაც მათ ბინების ან ტერიტორიის გაქირავების ფასად შეიძლება აიღონ. გვესმის, რომ ახალგაზრდებს, შეიძლება მოუნდეთ რეკლამირებულ სანახაობებზე მისვლა, ხელისუფალთ, ალბათ, ინფრასტრუქტურის განვითარებაც სურს... მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ფესტივალში ნებისმიერი სახით მონაწილეობა და მისი მხარდაჭერა უმძიმესი შედეგების მომტანი იქნება ქვეყნისთვისაც და ცალკეული პიროვნებებისთვისაც.**

**ეკლესია, სულიერ შვილებზე ზრუნვიდან გამომდინარე, ვალდებულია, ამის შესახებ გააფრთხილოს საქართველოს მოსახლეობა",** – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

# ყველაზე საშიში პროდუქტები ბავშვებისთვის – ეს სია ყველას უნდა ჰქონდეს!



ჩვენ ვგიჟდებით ჩვენს შვილებზე და მათ მხოლოდ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ. თუ ბედნიერება აბსტრაქტული ცნებაა, ჯანმრთელობაზე თავად ვზრუნავთ და ამაში დიდი წვლილი შეაქვს ბავშვის ბალანსირებულ კვებას. ხშირად გვესმის, რა არის სასარგებლო ბავშვებისთვის... მავნებელი რა არის?

ახლა, როცა მაღაზიათა დახლები წალეკილი აქვს გენმოდიფიცირებულ თუ ჯანმრთელობისათვის მავნე ქიმიური შენაერთებით გაჯერებულ პროდუქციას, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა ბავშვი დავიცვათ არაკეთილსინდისიერი მწარმოებლის მიერ მოწოდებული სუროგატული პროდუქციისაგან.

აი ბავშვების საყვარელი სასუსნავების მორიგი სია, რომელიც პედიატრებმა და საკვების სპეციალისტებმა ერთობლივად შეადგინეს. რასაკვირველია, ამ სასუსნავებს მთლიანად ვერ აუკრძალავთ ბავშვს, რადგან დღევანდელ პირობებში ეს თითქმის შეუძლებელია. მაგრამ მათ რაოდენობას მინიმუმამდე თუ დაიყვანთ და რაც შეიძლება იშვიათად აჭმევთ, ამაზე უკეთესი არაფერი იქნება:

**1. სადეჭი და საწუწნი კანფეტები, განსაკუთრებით – მკვეთრი ფერების, ძლიერი სურნელის მქონე – მათში, როგორც წესი, ბევრი საღებავი და არც ერთი ნატურალური ინგრედიენტი არ არის.**

**2. ჩიფსები, "სუხარები" – ნახშირწყლებისა და ცხიმის ნაზავი, საღებავებისა და გემოს შემცვლელების გარში მოქცეული.**

**3. ტკბილი გაზიანი სასმელები – შაქრის, ქიმიისა და გაზების ნაზავი.**

**4. შოკოლადის ბატონები – კალორიების გიგანტური ოდენობა, ქიმიურ დანამატებთან ერთად.**

**5. სოსისები, ძეხვები, პაშტეტები – გენმოდიფიცირებული ქიმიური დანამატები და ფარული ცხიმები.**

**6. მაიონეზი – ჯობს, ის შინ დაამზადოთ და ზომიერად გამოიყენოთ, მით უმეტეს, რომ რეცეპტი ხელმისაწვდომია ყველასათვის.**

**7. "სიროკები" (ხაჭოიანი შოკოლადები) – როგორც წესი, მათ შემადგენლობაში ხაჭოს ვერ იპოვით, არის მხოლოდ პალმის ზეთი, მცენარეული ცხიმები და სხვადასხვა ემულგატორი.**

**8. კეტჩუპი სახამებლით – სინთეტიკური დანამატები, რომელთა უსაფრთხოება ჯანმრთელობისთვის არ დადასტურებულა.**

**9. მარგარინი (სპრედი). შეიცავს კანცეროგენულ ტრანსგენურ ცხიმებს, რომელსაც სხეული მთლიანად ვერ ითვისებს. საკონდიტრო ნაწარმში მასთან ერთად ბევრია ცხიმისა და შაქრის შემცველობა. ამგვარი ტკბილეულობის რეგულარული მოხმარება ერთ-ერთი უმოკლესი გზაა ნივთიერებათა ცვლის დარღვევისკენ.**

**10. ნაყინი – ხშირად შეიცავს სინთეტიკურ შემასქელებლებს და არომატიზატორებს. მისი მომზადებაც, როგორც მაიონეზის, შინ ჯობს.**

**11. სწრაფი მომზადების ატრია (ე.წ. ლაფშა), იოლად მოსამზადებელი, ადვილად გახსნადი სუფები და პიურეები – მათშიც არაფერია ნატურალური, მხოლოდ სინთეტიკა და კონსერვანტები.**

**რასაკვირველია, ეს სია არ არის სრული, მაგრამ მზრუნველი მშობელი მას უეჭველად გააგრძელებს, თავისი შვილის ჯანმრთელობისა და სწორი კვებისთვის.**

# "საქართველოს მალე ახალი სკანდალი შეძრავს!" – მთავარ მოწმეთა აღიარება



"უგულავა, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი, დანაშაულში ჩართულ სხვა წევრებთან ერთად, მათ შორის ამავე საქმეზე დაკავებულ მის ქვისლ გიორგი ღონიაშვილსა და ლატარიის კომპანიის ყოფილ დირექტორთან, დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორ ალექსანდრე გოგოხიასთან ერთად ახორციელებდა ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ე.წ. შავი ფულის მართლსაწინააღმდეგოდ შემოტანას, რაც შემდგომში უნდა მოხმარებოდა პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. კერძოდ, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანია "ექსიმუს ჰოლდინგიდან", რომლის დირექტორიც არის ძებნილი ალექსანდრე გოგოხია, ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე თანხა ირიცხებოდა ასევე ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანია "ბრუქთრეიდის" ანგარიშზე, საიდანაც თანხა მიდიოდა საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში, ხდებოდა მისი კონვერტაცია და გადასცემდნენ გიორგი ღონიაშვილს.

აღნიშნული ოფშორული კომპანიიდან საქართველოში ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე ფულის გათეთრე**ბის გზით უნდა გადმორიცხულიყო 1.500.000 აშშ დოლარი", –** ეს არის იმ ბრალდების შინაარსი, რომლის საფუძველზეც საქალაქო სასამართლომ უგულავას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. **"ნაცმოძრაობა"** ამას პოლიტიკურ დევნად აფასებს... უგულავას ბრალეულობის მტკიცებულებებზე კი ლაპარაკობს ამ საქმეში მთავარი მოწმე, ბიზნესმენი **გიორგი კაპანაძე:**

– სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დიდი ხანია ელოდა.

**– ამ საქმეში თქვენ გარდა, კიდევ თუ არიან მოწმეები?**

– არიან. პროკურატურის მიერ გავრცელებულ იმ ვიდეოჩანაწერებშიც ჩანან ის პირები, რომლებიც ჩემი და ღონიაშვილის შეხვედრას ესწრებოდნენ. მათ ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეს, ესწრებოდნენ თანხის გადაცემასაც.

**– ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე გადმორიცხული თანხის რა ნაწილი მივიდა წინასაარჩევნოდ "ნაცმოძრაობამდე"?**

– მილიონ-ნახევარზე გამაფორმებინეს ფიქციური ხელშეკრულება, 760 ათასი დოლარი **"ნაციონალურ მოძრაობამდე"** მივიდა. დანარჩენის მიტანა ღონიაშვილს აღარ დასცალდა, სწორედ ამ თანხით დააკავეს.

**– ამგვარი სქემებით ქვეყანაში ფულის ლეგალიზება სხვა ბიზნესმენთა საშუალებითაც ხომ არ სცადეს?**

– ბიზნესმენების გვარ-სახელებს ვერ დავასახელებ, მაგრამ ვიცი, რომ **"ნაცმოძრაობამ"** რამდენიმე მათგანს იგივე შესთავაზა.

**– ამ საქმეზე უშუალოდ გიგი უგულავასთან თუ გქონდათ ურთიერთობა?**

– დიახ, 30 ივნისს, როდესაც უკვე გადმორიცხული იყო 600.000 დოლარი, მე და ის კალათბურთის მატჩზე ვიყავით. გიგი უგულავა ჩემი ძლიერ მადლიერი იყო და ყველანაირად გვერდში დგომა აღმითქვა. ამ დროს მე უკვე აქტიურად ვთანამშრომლობდი პროკურატურასთან, თითქმის თვენახევარი იყო გასული, რაც ეს ოპერაცია მიმდინარეობდა.

**– რამდენიმე დღის წინ გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს, ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს, აზერბაიჯანიდან დიდი ოდენობით თანხა შემოჰქონდათ. თუ იცით რაიმე ამის თაობაზე?**

– როგორც კი ეგ ამბავი შევიტყვე, აზერბაიჯანში დავუკავშირდი მეგობრებს, რომლებმაც დამიდასტურეს, რომ ნადირაშვილი და ჯაფარიძე დიდი ოდენობით არადეკლარირებული ფულის გამო რამდენიმე საათით დააკავეს. როგორც ვიცი, ეს დაადასტურა საბაჟოს უფროსმაც. რა სქემით აღმოჩნდა ეს ფული ნადირაშვილისა და ჯაფარიძის ხელში, არ ვიცი.

**– ვარაუდობენ, რომ ესეც დავით კეზერაშვილის ფული იყო...**

– არა მგონია. კეზერაშვილი ამათ აღარაფერს გადმოურიცხავდა, ის მომხდარით და მათი დანაშაულებრივი სქემის შესახებ გავრცელებული ინფორმაციით შოკირებული იყო. მას თავისი პრობლემები აქვს, იძებნება. ამ ყველაფერთან ერთად, კიდევ ერთ საქმეში გამოაშკარავდა მისი ბრალეულობა...

**– სხვა პროცესებისგან განსხვავებით, ამჯერად სასამართლომ უგულავას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. როგორ ფიქრობთ, ეს კარგად დასაბუთებული ბრალდების შედეგია?**

– დიახ, პროკურატურას ხელთ ჰქონდა ეს ფიქციური ხელშეკრულება, რასაც იგი და უშუალოდ კეზერაშვილის ლატარიის კომპანიის დირექტორი, ალექსანდრე გოგოხია აწერენ ხელს. ფიქციური ხელშეკრულებით თანხების გადმორიცხვის ფაქტებს ვერსად გაექცევიან. გარდა ამისა, საქმეშია ჩემი და ღონიაშვილის შეხვედრებისა და საუბრების ვიდეოჩანაწერები. ღონიაშვილი მთელ სქემას შიფრავს, ამბობს, ფულს კეზერაშვილი გვირიცხავსო; არაერთხელ ახსენებს უგულავასაც, იმეორებს, რომ გიგი დაუკავშირდა კეზერაშვილს და ა.შ. ამ მტკიცებულებებს ემატება ასევე გიგი უგულავას მიერ ღონიაშვილთან გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ის ყოველი გადმორიცხვის წინ იწყებდა გამოკითხვას, რა ხდება, გადმოირიცხა თანხა თუ არაო; ერთგან ღონიაშვილს ეუბნება, ფული ოფისში მიშასთან მიიტანეო და ა.შ. რაც გასაჯაროვდა, ძალიან მცირე ნაწილია ვიდეოჩანაწერებისა, მასალა უზარმაზარი და გაცილებით საინტერესოა.

**– განაცხადეთ, რომ ამ ამბის გახმაურების შემდეგ უგულავა გემუქრებოდათ.**

– იყო მუქარა, მაგრამ არ ვიტყვი, რა ფორმისა და სახის. არ მინდა ჩემი ოჯახის წევრები ვანერვიულო. ეს უცხოეთში მოხდა და ჩამოსვლისთანავე ამის თაობაზეც მასალები გამოძიებას გადავეცი. უგულავა პირადად არ დამლაპარაკებია, მუქარა მისი სახელით შემომითვალეს. წარმოიდგინეთ, **"ნაცმოძრაობამ"** რამდენი მოქალაქე დააზარალა, რამდენი გადააქცია ჭირისუფლად, დღეს კი ისევ გამოდიან და ცინიკურ განცხადებებს აკეთებენ, დასცინიან ხალხს. წარმომიდგენია, ყველა როგორ ელოდებოდა სასამართლო სხდომის დასასრულს, მანამდე არაერთი პროცესი გაიმართა, მაგრამ უგულავას დაკავება ვერ მოხერხდა. ესეც კუბლაშვილის დამსახურება იყო.

ახლა სამართალდამცველებს იმდენად უტყუარი არგუმენტები აქვთ, მოსამართლე ვერაფერს გახდა. **"ნაციონალებმა"** სცადეს სასამართლოსა და პროკურატურაზე ზეწოლა, უგულავას დაკავება გააპროტესტეს. უგულავა თუ ქვეყნიდან გაქცევისას დააკავეს, ჩემი მეგობრის ძმა, 25 წლის ბიჭი, რომელიც პატრულს არ დაემორჩილა, ჩაცხრილეს. ამ რამდენიმე ხნის წინ ყოფილმა პარლამენტარმა თემურ ჩარკვიანმა თავი რომ მოიკლა, ესეც **"ნაციონალების"** კისერზეა, სადამდე მიიყვანეს ხალხი! მაგათ ჭკუა რომ ჰქონდეთ, თავისი ფეხით წავიდოდნენ ციხეში, რადგან გამწარებულ ადამიანს შეიძლება ერთ დღეს გონება გადაეკეტოს და პირდაპირ ქუჩაში გაუსწოროს ანგარიში.

ჩამივარდა შანსი, რომ ესენი ცხელ, დღევანდელ დანაშაულზე მემხილებინა და არ გავუშვი ხელიდან.

**საქ. ინფ.**

# ბერძენიშვილი: დოსტოევსკის და რუსულ არხებს თავი გავანებოთ

არაფერია იმაზე ბარბაროსული და ვანდალური, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელი ნაწარმოებები აგიზგიზებულ კოცონში ცვივიან (გაიხსენეთ თუნდაც ფაშისტური გერმანიის გარიჟრაჟი, როცა ჰიტლერის იდეებით გამოკვებილი ნაცისტები, ერთგვარი სიამოვნებითაც კი, ცეცხლში ყრიდნენ გოეთეს, თომას მანის თუ სხვა კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებს) და როცა ბრმად ხდება იმ ქვეყნის ტელემაუწყებლობის აკრძალვა, რომელიც გარკვეულ თუ გაურკვეველ გარემოებათა გამო შენს დაუძინებელ მტრად მიგაჩნია. ამ შემთხვევაში, სულაც არ არის საჭირო, რომ მოსახლეობას არგუმენტირებულად განუმარტო ამა თუ იმ ქვეყნის ტელემაუწყებლობის შენი ქვეყნის საეთერო სივრციდან გაძევების მიზეზი – **"ეს ქვეყანა ჩვენი მტერია"**, და ამით ყველაფერია ნათქვამი. ვიდრე **"ნაციონალური მოძრაობა"** ქვეყნის სათავეში იყო, მისი პროპაგანდისტები აპრიორი იღებდნენ ასეთ გადაწყვეტილებებს და რაიმე განმარტების გასაკეთებლად თავს არ იწუხებდნენ. ახლა კი ისინი სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან და ამიტომაც გამუდმებით წკმუტუნებენ ჩრდილოეთიდან მომავალი სამხედრო თუ იდეოლოგიური საფრთხეების თაობაზე. სწორედ ამიტომ დააყენეს **"ნაციონალებმა"** ქართული საეთერო სივრციდან რუსული ტელეარხების განდევნის საკითხი, იმ მიზეზით, რომ თითქოს რუსული ტელეარხები არაობიექტურად აშუქებენ უკრაინაში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს.

ამგვარ პრეტენზიას რომ სუფთა რეპუტაციის მქონე პოლიტიკური ძალა აყენებდეს, კიდევ შეიძლება მოუძებნო რაღაც ახსნა (თუმცა, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა ყოვლად უპატიებელი საქციელია), მაგრამ ის **"ნაციონალური მოძრაობა"**, რომელიც დღემუდამ შავს თეთრად წარმოაჩენდა, თეთრს კი – შავად, გასაგებია, რომ დღესაც უკრთის ჭეშმარიტებას, და ამიტომაც აყენებს ესოდენ მონდომებით ქართული საინფორმაციო სივრციდან რუსული მასმედიის განდევნის საკითხს.

ისტორიულად დადასტურებული ფაქტია: ცრუ კაცს ჭეშმარიტების ეშინია, უწიგნურს კი წიგნისა! **"ნაციონალებზე"** ცრუები და უწიგნურები კი დღეს ძნელად მოსაძებნია არა მხოლოდ საქართველოში! ამიტომაც ცდილობენ ისინი მართებული ინფორმაციების აკრძალვას და საკუთარი **"სიმართლის"** ტირაჟირებას **"რუსთავი-2"**-ს, **"ტაბულას"** თუ **"ტვ-3"**-ის მეშვეობით, რომლებიც დიდად არიან დახელოვნებული სიცრუის სიმართლედ შესაღების ინდუსტრიაში! განა სწორედ მათ მიერ ტირაჟირებულმა **"ნაციონალურმა ჭეშმარიტებამ"** არ დააყენა საქართველო სრული განადგურების ზღვართან?

**"იქნებ რამე წიგნებიც აეკრძალათ. მე რომ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ვიყავი ასეთი წინადადებებიც მოდიოდა. ყველანაირი ამ ტიპის აკრძალვა არის უბრალოდ აბსოლუტურად შეუთავსებელი ევროპულ პერსპექტივასთან", –** ასე პასუხობს უმრავლესობის დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ბარამიძის მოსაზრებას რუსული არხების აკრძალვასთან დაკავშირებით.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ, ამას წინათ, საპარლამენტო უმცირესობა საქართველოში რუსული არხების საკანონმდებლო დონეზე აკრძალვის ინიციატივით გამოვიდა.

**„ნაციონალური მოძრაობის"** წევრები მიიჩნევენ, რომ რუსულ არხებს ქართველმა მოსახლეობამ არ უნდა უყუროს.

**„მარტივად ვწყვიტავ ამ პრობლემას, არ ვუყურებ რუსულ არხებს. იმიტომ, რომ ღმერთმა დაგვიფაროს ახლა რუსულ არხებს, რომ ვუყუროთ, ისეთი რამე გადის უკრაინაზე, ვირტუალურ სამყაროში მგონია თავი",** – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ როგორი მიუღებელი ეპითეტებით მოიხსენიებდნენ რუს კლასიკოსებს, არც თუ დიდი ხნის წინათ, ნაციონალების მხარდამხარ მოღვაწე **"რესპუბლიკელები"**, რომლებიც ამერიკელების პროტექციით მოექცნენ ბიძინა ივანიშვილის თვალსაწიერში და ასე აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში. და თუ ახლა მათ **"გონება გაეხსნათ"** და რეალურად აფასებენ შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, ეს გუნდური პოლიტიკური აზროვნების ფენომენია და არა მათი დამოუკიდებელი პოზიცია. მაგრამ, როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ: **"ყვავს რომ კაკალი გააგდებინო. ისიც ხეირია"!**

**რ. შალამბერიძე**

# მსოფლიო რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა გარდაიცვალა



2014 წლის 26 ივლისს **"ჯოენის"** კლინიკაში, მსოფლიო რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა გარდაიცვალა, რომლის მიზეზიც გულთან დაკავშირებული პრობლემა გახდა.

შეგახსენებთ, რომ ჯუმბერ ლეჟავა დაიბადა თბილისში. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით. 1987 წელს გადატანილი მუცლის ღრუს მძიმე ოპერაციის შემდეგ შეიმუშავა ვარჯიშების საკუთარი სისტემა. 1990-1992 წლებში დაამყარა მსოფლიო და გინესის რეკორდები ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში (რამდენიმე გაუმჯობესებით, უკანასკნელად 2001 წ.).

1993 წლის 13 აგვისტოდან 2003 წლის 3 ნოემბრამდე ველოსიპედით იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო: 3.333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და მათზე დამოკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50.000-ზე მეტი ფოტოკადრი და 200 სთ-ზე მეტი ვიდეო ფირი; შექმნა მოგზაურობის 7.000 გვერდიანი დღიური.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას, განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტზე, მრავალგზის აღმოჩნდა სასიკვდილო ხიფათის წინაშე, როცა მტაცებელი გარეული ცხოველების ჯგუფს გადაეყარა. მაგრამ თითქოს ღმერთი მფარველობდა მოგზაურს...

ტიბეტის საზღვართან ორმოცგრადუსიანმა ყინვამ მოუსწრო და გათოშილმა ველოსიპედით გზის გაგრძელება ვეღარ მოახერხა. ვერც ფეხით იარა დიდხანს, დიდი ლოდის ქვეშ დაჯდა და მალე რულიც მოერია. რომ ჩასძინებოდა, უეჭველად დაიღუპებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ წააწყდა მას ადგილობრივი მცხოვრები, თავის სოფლამდე სამი კილომეტრი ზურგით ატარა გონებადაბინდული სპორტსმენი და ძლივს მოასულიერა...

ჯუმბერ ლეჟავა დაჯილოვებული იყო საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით, მ.შ. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, საქართველოს სახელმწიფო პრემიით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მინიჭებული აქვს **„მოგზაური დიპლომატის"** სტატუსი (1993), ხოლო იუნესკოსგან – **„მსოფლიო სპორტსმენის"** დიპლომი (1999).

# მეგრული (იბერიული) ენა (მონაცემები და მნიშვნელობა)

**„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავის ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა. დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა“.**
**ილია**

**„საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.**
**ივანე ჯავახიშვილი**

ისტორიას არ ახსოვს ერთი ფაქტიც კი, რომ საბოლოოდ სიცრუეს გაემარჯვებინოს სიმართლეზე, რადგან სიცრუე მოჩვენებითია და საფუძველი არ გააჩნია. იგი სუსტია და რამდენადაც არ იყოს შენიღბული მოჩვენებითი სიმტკიცის საბურველით, მისი სისუსტე მალე იჩენს თავს. ამიტომაა ნათქვამი **„ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“**-ო; ამიტომ გვმოძღვრავს ბიბლია **„არ არს დაფარული, რომ არ გამჟღავნდეს და დამალული, რომ არ გაცხადდეს“;** მოჩვენებით საძირკველზე დაშენებული შენობა, რანაირად მტკიცეც არ იყოს საძირკველს ზევით, მალევე ინგრევა; ასევე, მტკიცე საძირკველზე დაშენებულ შენობას, თუ ის უკარკასოა, ანუ სიმდგრადის უზრუნველმყოფი ჩონჩხი არ გააჩნია, ქარის მცირეოდენი ბიძგიც დაანგრევს. ასეა შენობები და ნაგებობები, ხოლო ბევრად უფრო რთული შენობის – სახელმწიფოს არსებობისათვის **„საძირკველიცა და ყველა სხვა კონსტრუქციებიც“,** მისი ყველა ორგანო, რომლებიც ერის, სახელმწიფოს ერთიან სხეულს ქმნის, განსაკუთრებულად ჯანსაღი ვერ აღმოჩნდა, საკმარისია, ერთი მათგანი აღმოჩნდეს სუსტი, რომ დანარჩენის და მთლიანად სახელმწიფოს არსებობას საფრთხე შეექმნას.

დიდი ილია გვასწავლიდა: სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელია **„მამული, ენა, სარწმუნოება“.** ჩვენი სალიტერატურო ენის წარმომავლობის და, შესაბამისად, ქართველი ერის ისტორიის გაყალბებამ დაგვაკარგვინა ტერიტორიები, შეამცირა ჩვენი მამული და სერიოზული საფრთხე ემუქრება, საერთოდ, ქართული სახელმწიფოს არსებობას. და ამ საფრთხის არსებობა მთელი ერის გულგრილობის შედეგია და პასუხისმგებლობა ყველა ჩვენთაგანს ეკისრება, მაგრამ განსაკუთრებით იმათ, ვინც ერის ისტორიას აყალბებს.

არანაკლებ საზიანოა ცრუ, მეცნიერულად დაუდასტურებელი თეორიებით წინაპართა ღირსებების გაზვიადებულად წარმოჩენის მცდელობა. ასე მაგალითად, დათვური სამსახურია ენათმეცნიერებისათვის უცხო და შეუფერებელი თეორიით – ჰემატრიით ქართული ენის უძველესობისა და ქურუმთა მიერ კოდირებულ ენად საზოგადოებისთვის მტკიცება.

ცნობილია და ფაქტია, რომ ენა და მისი ლექსიკა დასაბამიდან მოყოლებული, ძალიან ნელა, მაგრამ მუდმივად განიცდის ფონეტიკურ ცვლილებებს, იცვლება და იხვეწება მისი გრამატიკა. ამიტომაა, რომ ამა თუ იმ პროტოენაზე დაწერილი ტექსტის გაგება თანამედროვე ენაზე, ძალზე ხშირად, შეუძლებელია და თარგმნას მოითხოვს. ამიტომაც არასერიოზულად მიგვაჩნია მთლიანად ამ თუ იმ ენის, ან მისი განვითარების რომელიღაც პერიოდის მეტყველების გაზვიადებული შეფასება: ქურუმთა ენა, კოდირებული ენა, წმინდა ენა, რჩეული ენა და ა.შ. ენისა და მისი ლექსიკის მუდმივი ევოლუციისა და ტრანსფორმაციის პირობებში ჰემატრიული წესით ენისა და ლექსიკის შექმნაზე მსჯელობა, მეტყველების წარმოშობაზე არასწორი წარმოდგენის, ან, საერთოდ, წარმოდგენის უქონლობის შედეგია. ამიტომ **ჰემატრია მცდარი თეორიაა.**

## რას გვასწავლის ჰემატრია?

– „რადგანაც ანბანის ასო-ნიშნებს შეესაბამება რიცხვითი მნიშვნელობები, ჰემატრიულად (ასონიშანთა ანბანთ მწკრივში რიგითი ნომრებისა, თუ რიცხვითი მნიშვნელობების ჯამით, კ.ფ.) ერთნაირ, მაგრამ მნიშვნელობით სხვადასხვა სიტყვებს შორის შესაძლებელია დადგინდეს ანალოგია და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შესაბამისად, იმ იდეებსა და არსებით მნიშვნელობებს შორის, რომელთაც ეს ჰემატრიულად თანხვდომილი სიტყვები გამოხატავენ (იხ. ემბერტო ეკო – პირველქმნილი ენის ძიება ევროპის ისტორიაში), – გვარწმუნებენ ჰემატრისტები და ენის განსაკუთრებულობის, კოდირებულობის და პირველქმნილობის დამტკიცებას ამ თეორიით ცდილობენ.

სინამდვილეში კი ეს წმინდა არითმეტიკული კანონზომიერებაა: ერთიდაიგივე რიცხვი შეიძლება მიღებულ იქნეს მრავალ სხვადასხვა რიცხვთა ჯამით და, რადგანაც თითოეული ასონიშნებისათვის მინიჭებულია გარკვეული რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობა, შეიძლება მოვიძიოთ შინაარსით აბსოლუტურად სხვადასხვა, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობით, ანუ ჰემატრიულად ერთნაირი მრავალი სიტყვა და მას ენათმეცნიერებასთან და ენისა და მეტყველების წარმოშობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამიტომ წარმოუდგენელია, **ღორონთ** (25+16+19+16+14+9=99)-თან შეიძლება, მაგრამ სიტყვასთან **უმეცარი** (22+13+5+29+1+19+10=99) უფლის სახელს **ქრისტე** (24+19+10+20+21+5=99) რაიმე ანალოგია და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოეძებნოს; არ მჯერა ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვათა კომპოზიტებს შორის, **ერთადერთი ღმერთი** (=163). ალეკო ცინცაძე (=163), ან კიდევ, სრულყოფილ ადამიანთან შედარებით, არარაობა **კუკური ფიფია** (=162)-ს და **ზეკაცი ქრისტე** (=162)-ს შორის ანალოგია და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობდეს. მსგავსი მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ამიტომ წყლის ნაყვაა ასეთი უსუსური ხერხებით ამა თუ იმ ენის ღირსებების წარმოჩენის მცდელობა.

ცნობილია, რომ ქართული ენა უცხო ენათა 100%-იანი კონგლომერატია. 100%-იანი იმიტომ, რომ იბერიული ენა, რომელიც ქართველი ერის ეროვნულობას განსაზღვრავს, ქართული ენისათვის ისევე უცხოა, როგორც სპარსული, ბერძნული, სომხური, ლათინური, არაბული, თურქული და სხვა. უცხოა იმიტომ, რომ ქართული ენა ისევე ვერ ხსნის თავისი პროენის – იბერიული ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას, როგორც ყველა დანარჩენისას.

ასევე ცნობილია, რომ აქ ჩამოთვლილ და სხვა ენებში სამეტყველო ბგერები და მათი აღმნიშვნელი ასონიშნები სხვადასხვა რაოდენობისაა. ამასთან, აღნიშნულ და სხვა ენებში ასონიშანთა რიგში გაწყობის თანმიმდევრობა და რიცხვითი მნიშვნელობა დარღვეულია, სხვადასხვანაირია. ასეთ შემთხვევაში, თუნდაც რაიმე ღირებულებას წარმოადგენდეს ჰემატრიული თეორია პირველქმნილი ენისათვის, იმის მტკიცება, რომ ესა თუ ის ენა ქურუმთა ენაა, კოდირებული, რჩეული, წმინდა ენააო და, მით უმეტეს, მისი გამოყენება ისეთი ნარევი ენისათვის, როგორც ქართული ენაა, უბრალოდ, სირცხვილია. ამას სჯობია თანდათანობით აღვადგინოთ ჩვენს საერთო სალიტერატურო ქართულ ენაში ის ღირებულებები, რაც მას იბერიულიდან გამოყოფამდე ჰქონდა, დღეისათვის დაკარგული აქვს, ხოლო იბერიულს (ე.წ. მეგრულს) შემოუნახავს. მთელი უბედურება სწორედ ისაა, რომ გაუცნობიერებელი ქართველისათვის ნამდვილად არსებობს საერთო სალიტერატურო ქართულსა და მეგრულს შორის დიდი ენობრივი სხვაობა, ხოლო ვინც მეგრულს შეისწავლის, მისთვის ეს სხვაობა ქრება.

უბედნიერესი ერი ვიქნებოდით **ქართები** და **ქართული ენა,** როგორც ზოგ ავტორს სურს, თავიდანვე, მართლაც, პირველსაწყისი ენა და ხალხი ყოფილიყო, მაგრამ ეთნიკური სახელწოდება **ქართი** ეროვნულ ცნობიერებაში ახ.წ.აღ-ით მე-2 საუკუნემდე, როცა ქარდები (აზრდილები [იბერიულ დედა ტანს]; ქარდი (აეზარდე) ქართი; ქარდი ქალდი ქალდეა) გამოეყვნენ იბერებს (ორმეფობის ხანა), და გარე სამყაროსათვის XIV საუკუნემდე (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000, ტერმინი **აფხაზეთი**) უცნობია. ამასთან ბევრჯერ იყო მცდელობა, მაგრამ ჩემამდე არავის შეუსწავლია ლინგვისტურად და საფუძვლიანად ეთნიკური სახელწოდებანი იბერი, ქართი, მეგრელი და სხვა ეთნიკურად მიჩნეული სახელწოდებანი მესხი, კოლხი, ლაზი, აფხაზი და ა.შ. (იხ. ისტორიული აფხაზებისა და სხვა იბერების ვინაობა – წარმომავლობის შესახებ, ჟურნალი, **„აია“,** №1 (16), 2013).

ცნობილია და უცხოელმა ქართველოლოგებმაც ბრწყინვალედ იციან, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკა 66%-ზე მეტი უცხოური წარმოშობისაა (აკაკი შანიძის გაანგარიშებით), რომელშიც ადვილად დავრწმუნდებით ს.ს. ორბელიანის **ქართული ლექსიკონის** ორ ტომეულის საფუძვლიანი გაცნობითაც, ე.ი. ქართული ენის ლექსიკა მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავს სპარსულს, ელინურს, სომხურს, ლათინურს, არაბულსა და თურქულს და მხოლოდ 34%-მდე ეროვნულ იბერიულს.

მართალია, უცხოური წარმოშობის ლექსიკა გატარებულია ეროვნულ იბერიულ-გრამატიკულ ბრძმედში და უცხო სიტყვები, თითქმის, გაეროვნულებულია, რომლის წყალობით იბერიული ენის წილი ქართულ სალიტერატურო ენაში არანაკლებ 70%-ია, მაგრამ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას ქართული ენა ისევე ვერ არკვევს, როგორც უცხოური წარმოშობისას; ე.ი. ეროვნული, იბერიული ენის ლექსიკა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის არმცოდნე ქართველისათვის ისევე უცხოა, როგორც სპარსული, ელინური, სომხური და ა.შ.; ეთნიკური სახელწოდება **ქართი** (შეერიე), სწორედ, ამიტომ ეწოდა. ტერმინი **ქართული** კი ნაწარმოებია სიტყვისგან **ქართური** ( ქართული), რაც შერეულს ნიშნავს და კანონზომიერად მიიღო ეს სახელწოდება, რადგან ის უცხო ენათა და იბერიულის ნარევს წარმოადგენს და სჯობია ჭეშმარიტების აღიარება, რამეთუ საკუთარი თავისა და ხალხის მოტყუებით სხვებს ვერ მოვატყუებთ. ხოლო ე.წ. მეგრული ენა ეროვნული (იბერიული) წარმოშობის ლექსიკას ძირისძირამდე (სინქრონიულ-დიაქრონიულ, ანუ ჩასახვა-განვითარების დონეზე) ხსნის. ეს იმას ნიშნავს, რომ პროტოქართული ენა – იბერიულია, ე.წ. მეგრულია (იბერი იგერი ეგერი ეგრი; ეგრისი ეგრ(ის)ელი ეგრელი მეგრელი). მას ისე ახსოვს ქართული ენის წარმოშობა-განვითარება, როგორც მშობელ დედას შვილების დაბადება და ზრდა-განვითარება. მაგრამ, თუ თვითონ ქართველები ამ ჭეშმარიტებას უგულებელყოფენ, ანუ იბერიულ და სვანურ ენებს ქართულის დიალექტად ჩათვლიან, ე.ი. იმ კომპონენტს, რომელიც ქართველი ერის წარმოშობას და ეროვნულობას განსაზღვრავს, ქართული ენიდან გვიან წარმოშობილ ენად, ანუ დიალექტად თვითონ ქართველები დააკანონებენ, მაშინ ისინი 100%-იანი კონგლომერატი, ანუ აბსოლუტურად ნარევი ერი გამოვა იმ უცხო ხალხთა, რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთ თავიანთი სამშობლოები გააჩნიათ; მეტი არაფერი უნდა ჩვენი სამოთხის სადარ მიწებზე კბილებაკაწკაწებულ აგრესორებს; ასეთი საბაბის მიცემის შემდეგ არცაა გასაკვირი, ეფექტურად გამოიყენონ ქართველთა სიბრიყვე და თავიანთი შესაძლო აგრესია **„დაჩაგრულ აბორიგენთა“** (აფსუათა, ოსთა, სომეხთა და სხვა) დაცვის მიზეზით გაამართლონ. აკი, ისტორიულ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ზოგი სომეხიც (დაშნაკთა მემკვიდრე), უკვე, ამ ტერიტორიის წართმევით გვემუქრება. უეჭველია, ამ მიზნით შეიყვანეს მსოფლიოს 222 კულტურული ერების შემადგენლობაში კავკასიიდან ჩეჩნები, ინგუშები, აზერბაიჯანელები და სომხები, ხოლო ქართველები არა (იხ. ამერიკის საგეოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი **„მსოფლიოს ხალხები“**), რაც, ნაღდად, ამერიკაში არსებული სომხური დიასპორის ხელწერაა. მაგრამ თვალი უნდა გავუსწოროთ გარდაუვალ ჭეშმარიტებას და შევიგნოთ, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება. ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი პრობლემები, ჩვენივე, ქართველთა მოქმედების შედეგია. გასაკვირი ისაა, რომ ჩვენი ყელის გამოსაჭრელ დანას ჩვენვე ვლესავთ. სხვა შედარება შეუძლებელია მოეძებნოს აკად. მარიამ ლორთქიფანიძის ქმედებას, თუ ის ქართველია, როცა საქართველოს ისტორიის 2012 წლის გამოცემაში შეიტანა აქამდე გაუგონარი სიცრუე: **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“** (იხ. ტომი I, გვ. 264) და **„ქართლი დაწინაურდა ძვ.წ.აღ-ით მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდში“** (ინტერპრეტაცია ჩემია, კ.ფ.). მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს სიცრუე შეტანილია 10-12 წლის წინათ გარდაცვლილი, მეგრული წარმოშობის აკად-ის, ანდრია აფაქიძის ნაშრომში, მისი სიკვდილიდან 10 წლის შემდეგ. სინამდვილეში კი იბერიულ დედა ტანს აზრდილი **„ქარდები“**, შემდგომ ქართის ტომი ეთნიკურად იბერთაგან რამდენადმე განსხვავებული ტომი იყო და 523 წლამდე იბერიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 899, თუ 888 წლამდე სახელმწიფოებრიობა (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი) და დამოუკიდებელი დამწერლობა არასოდეს ჰქონია, მრავალი ფაქტებით დასტურდება, მაგრამ მოვიტან რამოდენიმე მათგანს:

1. ადრეც ბევრჯერ უცდიათ, მაგრამ ქართებმა იბერიისგან გამოყოფა და **არმაზის სეპარატისტული სახელმწიფოს** შექმნა შეძლეს მე-2 საუკუნეში იბერიის მეფის ქართამ I მეფობის დროს და ექვსი მეფის, – ბარაცმანის, კაოს, არმაზავრის, ადერუკის, ფარსმან-ავაზისა და მირდატის, – მეფობის შემდეგ, ისევ იძულებული გამხდარან დამორჩილებოდნენ მცხეთის იბერთა მეფეებს (იხ. პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი IV, 1975, გვ. 521; ექვთიმე თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ, ჟ-ლი მნათობი, 1948 წ. №8 და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“);

2. 523 წელს იბერია აუჯანყდა სპარსეთს, მაგრამ აჯანყება მოუმზადებელი აღმოჩნდა და სასტიკად დამარცხდა; იბერია სამარადისოდ დაეცა; იბერიის მეფე გურგენი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით ბიზანტიაში გადაიხვეწა. იბერი მთავრები (პიტიახშები) **„სპარსეთის ვერაგული გეგმის თანახმად ქართებმა შეცვალეს, მაგრამ სახელმწიფო სუვერენიტეტის გაწირვის ფასად“** (იხ. ექვ. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ...). ამ დროიდან განადგურდა იბერიული ძეგლები.

3. 554 წელს გუბაზ მეფის მკვლელობის გამო გამართულ სახალხო კრებაზე, ბიზანტიელი სტრატეგოსების მიერ განაწყენებული სპარსული ორიენტაციის ორატორი – **აიეტი** თავის ისტორიულ სიტყვაში ამტკიცებს, რომ თუ ვერ აღვადგენთ სპარსელებთან კეთილგონივრულ ურთიერთობას, მთლად დავიღუპებითო და ამის დასტურად ასეთი წინადადება აქვს გამოთქმული: **„...გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ველარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო...“** (იხ. გ-თი **„ფარტაზის სამრეკლო“**, ოქტომბერი, 2000 წ.). 978 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფემ – უსინათლო და მავანთაგან **„უმწეოდ“** წოდებულმა თეოდოს II, იბერიის აღდგენის მიზნით, თავისი დისშვილი (თვითონ უშვილო იყო), ქართლის უფლისწული – ბაგრატ III ბაგრატიონი ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხა. მაგრამ ჩვენი უფლებები შეიკვეცებაო და ქართლის მეფეებმა – ბაგრატ II (რეგვენად წოდებულმა) და შემდეგ გურგენ II (ბაგრატ III მამამ) არ ინებეს თავიანთ სიცოცხლეში ეგრის-აფხაზეთთან გაერთიანება. მხოლოდ სიკვდილის წინ, გურგენ მეფემ ანდერძით დაუტოვა თავის შვილს დინასტიურად კუთვნილი მამული – ქართლი, მაგრამ წინ აღუდგნენ ნათესავები, ვინმე სუმბატი და გურგენი და ბაგრატ III ძალის გამოყენება დასჭირდა დინასტიურად კუთვნილი მამულის შემოსამტკიცებლად. ეს მოხდა 1008 წელს.

როგორც ეტყობა, ქართები დაჩაგრულად გრძნობდნენ თავს, რადგან იბერთა ქვეშევრდომობაში ნარევი ქართული ენა, ბუნებრივია, ვერ განვითარდებოდა. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ქართების იბერებისგან გამოყოფისკენ სწრაფვისა. ამიტომ, უეჭველია, 1008 წლის შემდეგ მწვავედ დადგებოდა პრობლემა: რომელი ენა უნდა ყოფილიყო გაერთიანებული იბერიის სახელმწიფო ენა, იბერიული, თუ ქართული? იბერიულ დედა ტანს აზრდილი **ქარდული** დიალექტის ჩამოყალიბება, შესაძლებელია ბუნებრივად მომხდარიყო, მაგრამ მისი დანაგვიანება უცხოურ ენათა ლექსიკით, ცხადია, იბერთა სისუსტისა და წინდაუხედაობის შედეგი იყო და ამაში იბერები ვერ გაიმართლებდნენ თავს. ასე იყო, თუ სხვა მიზეზით, აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყო, უკვე, განსხვავებულ ენებზე მეტყველი ორი მოძმე ეთნიკური ერთეული – იბერები და ქართები, რადგან ცალცალკე უცხო აგრესიულ ძალთა ზეწოლას ვერ გაუძლებდა ვერც ერთი და ვერც მეორე; მაგრამ თუ იბერიული დარჩებოდა გაერთიანებული იბერიის სახელმწიფო ენად, ქართები ისევ დაიჩაგრებოდნენ, ხოლო თუ ქართული გახდებოდა სახელმწიფო ენა, ადამჟამინდელი, უმდიდრესი იბერიული ენა აღმოჩნდებოდა უფუნქციო და დაჩაგრული; მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ენაში იბერიული ენის წილი დიდი იყო და შესაძლებელი იყო მისი უფრო გამდიდრება და განვითარება იბერიული ლექსიკითა და გრამატიკული საშუალებებით. ალბათ, ამიტომ დათანხმდნენ იბერები ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას და შემდგომ განვითარებას, რაშიც უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვით ეთნიკურად იბერ. მოსე ხონელსა და იოანე მინჩხს. და, მართლაც, გაამართლა ქართულმა ენამ, საუკუნე ნახევარში, რუსთაველის ეპოქისათვის ის კლასიკური ენა გახდა.

**კუკური ფიფია**

*(გაგრძელება იქნება)*

# პოლემიკა ფრიად აქტუალურ საკითხებზე

**ისტორიკოსი** – ავტორი ფონოლოგიურ კვლევას ეწევა: ადგენს უპირველესი ბგერების ფუნქციებს: ყ რ და ხ თავიდანვე, ზემოთხსენებულ სიტყვებში, ხმაურის აღნიშვნას ემსახურებიან. კვლევებში მთავარია ხაზობრიობის ჩვენება და არა ფონოლოგიური თუ ფონეტიკური პროცესების სიზუსტე, რაც გასაგები მიზეზების გამო შეუძლებელია.

**ავტორი** – მაგ: ხშირად შეუძლებელია დადგენა იმისა თუ როდის და რა თანმიმდევრობით მოხდა ცვლილებები. ვთქვათ ყ>ხ, გ ამოწევა: რუს. უხო» < ყურ; გლუხო(გლ<ყურ) შემთხვევაში. ხომ შეიძლება ეს ამოწევა მომხდარიყო თავად ქართველურ საწყისში, რადგან გვაქვს ქართ ხმა-ური(ყური>ური) და ხმა. ამ ქართ. ხმას შეეფარდება მეგრ. ხუმ-ა. ე. ი. უძველეს წარსულში, შეიძლება ყურ>ხურ>ხუმმომხდარიყო იბერიულ-კავკასიური და ინდოევროპული(სლავური) ენების დიფნრენცირებამდე და ა. შ.

**ენათმეცნიერი** – ყ ბგერის შემცველ ცხოველთა და ფრინველთა ყელიდან ამოსულ ყ... ყ... ხმიანობათა სადარ სიტყვების, როგორიცაა:ყროტინი, ყრიალი, ყრანტალი, ყარყატი (გრძელკისერა ფრიგველია) და ა. შ. წარმოქმნის ავტორისეული ხსაბაძვითი მექანიზმი იქნებ მისაღები იქნებოდა,მაგრამ მათ შესატყვისად არსებობენ თსევე ყელიდან ამოსულ ხ... ხ... ხმიანობათ მისადაგებული სიტყვები. ესენია,ხრიწი, ხრიწინი, ხრიალი, ხრანტალი და ა. შ. იგივე ითქმის თვალსაჩინოების თვალსახრისით, უფრო მნიშვნელოვან ანატომიურ სახელებზე, ერთის მხრივ, ყია, ყრონტი, ყრონჭი, ყანყრატოსა და მეორეს მხრივ ხახა, იგივე ყია და ხორხი იგივე ყრონტის შესახებ (იხ. ქ. ე. გ. ლ.).

როგორც ვხედავთ, ორივე მხარეს არსებული სიტყვები მოსმენითაც კი მკვეთრად განსხვავებულნი არიან, სახელდებას კი ახდენენ ერთიდაიგივე ანატომიური ორგანოსი; მ.ე. მათი წარმოქმნის ხმაბაძვითი მექანიზმი გამორიცხულია: ერთნი მეორეთ გამორიცხავენ.

**ფსიქოლოგი** – ისინი ურთიერთ გამომრიცხავნი კი არა ურთიერთმადასტურებელნი გახლავან: ერთის მხრივ ყია, ყრონტი და მეორეს მხრივ, ხახა და ხორხი, როგორც ანატონიურ ორგანოთა აღმნიშვნელები, შეიცავენ მათ ფიზაქტებში ასოცირებულ ხმიანობათა სადარ ბგერებს: ყლაპვის ფიზაქტისაგან ეს გახლავთ ყ პირველთაში, ხოლო ხველის, ამოხველების, ხროტინის თუ სხვა პეთოლოგიური სუნთქვის ფიზაქტებისაგან ეს იქნება ხ, ხახა და ხორხის შემთხვევაში.

**ფიზიოლოგი** –აქ უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ყლაპვის ფიზაქტში ყ ბგერის წარმოთქმის მსგავსად, ხ აქვე აღნიშნულ, თავის შესაბამის ფიზაქტების შესრულებისას ბუნებრივად (თავისთავად) წარმოითქმება. გარდა ამისა, ხველამ, ამოხველებამ თუ ამ უკანასკნელის გარეშე გაკეთებულმა მოძრაობებმა ხველებისა, შესაძლებელია, უსიამოვნო ემოციები (ზიზღი) გამოიწვიოს. აგრეთვე, დასაშვებია, იშვიათად შედეგი გამოიხატოს ნერწყვის გამოყოფა თუ ღებინებისშეგრძნებაში. ამიტომ, გარკვეულწილად ხ ბგერა რეფლექსოგენურიცაა.

**ავტორი** – მ.ე. ორივე ჯგუფის სიტყვები "გ.თ"-ში აღწერილი მექანიზმითაა წარმოქმნილი. რაც თვალში საცემია, ამათში ყ:ხ და ყრ:ხრ შესატყვისობებია. დადგენილი ფაქტია: ქართვ. ბგერათაგან ფონეტიკური ცვლით წ და ყ არ წარმოიქმნებიან. მ.ე. განსახილველ სიტყვებში ყ ყოველთვის იყო. დასადგენია, როგორ გაჩნდა ხ: თუ წარმოვიდგენთ ხრკომპლექსიან ხმებს, ხოლო, შემდეგ, ამ კომპლექსში ხ ბგერის ნაცვლად, რიგრიგობით, წარმოვთქვამთ თითოეულ ქართვ, თანხმოვანს, დავინახავთ: ხრ, ყველა სხვასთან შედარებით, მაქსიმალურად, ადეკვატურია მოვლენათა ხმიანობებთან. მაშასადამე, ფაქტია: ხ ამ ხრ კომპლექსიან სიტყვებში ხმაბაძვას ემსახურება.

მეგრულში ხახა-ს სახელია, ისევე როგორც ქართულში,— ყია, ხორხს კი ხორხოტა და ყორყელი ჰქვია. ამათი შედარება გვიჩვენებს: ქართულში ხორხის წინარედ იყო ყორყი: ხბგერის ხმაბაძვითმა უპირატესობამ ყ გააქრო: ყორყ>ხორხ. ხროტინის პარალელურად ყროტინიც უნდა გვქონოდა: აქაც ყ გამქრალია.

**ისტორიკოსი** – ხ ბგერა, როგორც ფიზიოლგმა ბრძანა, თუ რეფლექსოგენურია, ფიზაქტის მონაწილეა და ბუნებრივადაც წარმოითქმება, მაშ, რა განასხვავებს მას ე.წ. დემიურგ წ და ყ ბგერებისაგან? კიდევ: მაინც გაუგებარია, რატომ არ ეყო ანატომიურ ორგანოს ერთი ხმაბაძვითი სახელი: ხორხი ან ყრონტი?...

**ფიზიოლოგი** – წოვა-ყლაპვისა და ამოხველების თუ ხროტინის ფიზაქტებს შორის სხვაობა ცა და მიწაა. პირველნი ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას ემსახურებიან და ხშირნი არიან. მეორენი, პირიქით, სრულდებიან მხოლოდ პათოლოგიურ თუ ექსტრემალურ სიტუაციებში და, შესაბამისად, შედარებით იშვიათობას წარმოადგენენ.

**ფსიქოლოგი** – ამგვარად, ჩამოთვლილ ფიზაქტებში ასოცირებული ხ ბგერა ორმაგი: ნატურალურ-პირობითრეფლექსური პლიუს ხმაბაძვითი ბუნების კი არის, მაგრამ მისი პირობითრეფლექსური ბუნება ინდივიდებში იშვიათად აღზევებად ემოციებზეა ბაზირებული, ანუ პირობით რეფლექსს არა აქვს მყარად დამკვიდრების საფუძველი, ამიტომ მისი სამეტყველო ერთეულად ჩამოყალიბება ვერ მოხდებოდა მანამდე წ და ყ სამეტყველო პირობითრეფლექსთაგან თავის ტვინი და ენა არ განვითარებულიყო:

**ავტორი** – I პერიოდის ბოლოს, როცა წარმოდგენა გაცნობიერდა, გაცნობიერებული წარმოთქმებით, დასახელებულ ანატომიურ ორგანოთა სახელდება მოხდა ყ ბგერით, ხოლო ყრონტის და მის მაგვარ კომპლექსიანთა კი მოგვიანებით, ყრ კომპლექსით (კომპლექსები იქმნებიან III პერიოდიდან). მ-ის მე-III პერიოდში იგივეს აკეთებს ხბგერა სახელსადებ ფაქტებთან მიმართებით მისივე ხმაბაძვითი უპირატესობის თუ ხრ კომპლექსის ხმაბაძვითი უპირატესობის ხარჯზე. ამგვარად, განსხვავებული ბგერებით სახელდება მოხდა განსხვავებულ დროსა და სიტუაციაში. აი, ამითაა განპირობებული ერთიდაიმავე რეალობათა თუ მსგავს მოვლენათა სახელთა ფონეტიკურიგანსხვავებულობა.

ენათმეცნიერი – გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ გაცნობიერებულ წარმოთქმებში?...

**ავტორი** –ვ იმეორებ, მ-ის I პერიოდში, შიმშილისას ჰ-ისსაზოგადოების წევრები აკეთებენ წ...წ...და ყ...ყ...ხმიანობის მქონე წოვა-ყლაპვის უნებლიე მოძრაობებს. ეს რომ უცილოდ ასე იყო არა საკუთარი მოსაზრებაა, არამედ ფაქტია: შიმშილისას ცხოველები ამჟამადაც ამგვარად იქცევიან: კატა კნავის, ძაღლი წკმუტუნებს და ა.შ. ჩვენც, ქვეცნობიერად ვამბობთ, მშიაო. შედეგად ამგვარი წარმოთქმებისა, ვთქვათ ყლაპვისას ყ ბგერისა წარმოიდგინება არა მარტო საკვები, არამედ ორგანოები კვებისა და თავად კვების პროცესის ატრიბუტიკაც. ამიტომაა, იბერიულ–კოვკასიურ ენებში ამ უკანასკნელთა აღმნიშვნელ სიტყვებში – ყ ბგერის, ხოლო ინდოევროპულში თავად ამ უკანასკნელის – ყ ბგერის ექვივალენტთა (ხ და უკანა ენისმიერთა) სიჭარბე (იხ ტექსტი), რაც, ალბათობის თეორიის მიხედვით, განმაპირობებელ მიზეზთა გარეშე, სავსებით გამორიცხულია. ჰომინიდი იმ დონის განვითარებული თავის ტვინის მქონეა, ეს წარმოდგენები,

შეუძლებელია, დიდ დროში არ გაცნობიერებულიყო. ეს უკანასკნელი (გაცნობიერება), ანუ წარმოდგენის ნიშნად გარდაქმნა დრომ მოიტანა.

**ფილოსოფოსი** – პარადოქსულია ამგვარი ფაქტორი – დრო თუ რატომ არ მიაჩნიათ მნიშვნელოვნად, ავტორის მაკრიტიკებელ, ობიექტური მეცნიერული ცოდნის ანუ აკადემიზმის წიაღში განათლებამიღებულ ოპონენტ მეცნიერთ?

**ფსიქოლოგი** — ავტორის მიხედვით, იმის შემდეგ რაც წარმოდგენა დრომ ნიშნად გახადა, ჰ-მა თავისი მე გააცნობიერა და რომელსაც ბავშვის მეძუძურობის ასაკის ბოლო თვეები შეეფარდება, იწყება მ-ის II პერიოდი წ და ყ ბგერებით მეტყველებისა, მინიმუმ 1 მლ. წლის მანძილზე, როცა კონკრეტულ წარმოთქმას შეესაბამება კონკრეტული ნიშანი. ვთქვათ, ერთ შემთხვევაში ყ არის კვება, მეორეში – ყია და ა.შ. თუმცა ჯერ შორია სრულ რეფლექსიამდე, განხილვის მიზნით წარმოდგენილის სრულფასოვან წარმოდგენამდე, მაგრამ მთავარი გაკეთდა: ჰ. უკვე ადამიანია და, სავარაუდოა, აქედან იწყება რეფლექსიის ცენტრის ჩასახვა მეტყველებისცენტრში.

**ენათმეცნიერი** – ეს უკანასკნელიც არა საკუთარი მოსაზრება? რით ასაბუთებთ დროის ფაქტორის შედეგებს?...

**ფილოსოფოსი** – დროის ფაქტორის შედეგები სახეზეა: ესაა მ-ზა დედამიწის ზურგზე. ხოლო საბოლოო შედეგი საწყისის გარეშე არ არსებობს.

**ავტორი** –პ ირვანდელ ბგერათა თუ შემდგომ წარმოქმნილ კომპლექსთა პოლისემია დასტურდება დღევანდელ განსხვავებულ მნიშვნელობათა მქონე სიტყვებში იმავე მონაცემთა არსებობით. ამ ძირებით ხორციელდებოდა პირვანდელი მეტყველება, აფიქსალური ნაწილი სიტყვისა გვიანდელია

მათემატიკოსი – თქვე მამაცხონებულნო და დიდბატონნო, თუ, თქვენს წინამდებარედ, ავტორისეულ კვებასთან დაკავშირებულ ლექსიკას სწუნობთ, თავად გაისარჯეთ და დაადგინეთ იგი. გამოიანგარიშეთ მათში ქართველურ ბგერათა ხდომილობები და შეუდარეთ ისინი ალბათობის თეორიით დადგენილ ნორმატივს: თუ ყბგერამ მრავალჯერ არ გადააჭარბა სხვათა ხდომილობას, მაშინ ავტორს არა ეთქმის რა.

**ავტორი** – მაგრამ ანგარიში რა საჭიროა, როცა ისედაც თვალნათლივადაა ამ სიტყვებში ყ ბგერის სიჭარბე. მ.ე. ყ, თავდაპირველად, ყველა ამ სიტყვათა მნიშვნელობებს მოიცავდა. ეგრეცაა წ — წოვასთან, ჩხ და შ — წყლის ხმაურიან მოძრაობასთან, გრ – გვრგვინვასთან, ხ — მიწასთან დაკავშირებულ სიტყვებში და ა.შ.

**მათემატიკოსი** – ამ ჯგუფებში სიტყვებისა დასახელებულ ელემენტთა ამგვარი სისტემური და, დასაბუთებულად, ალბათობის თეორიაზე დაფუძნებული,მიზეზ-შედეგობრივად შეპირობებული ჭარბი განაწილება მ-ის ჩასახვის მექანიზმს კი ვერ ხსნის, მაგრამ, ამ უკანასკნელთ, პირველ სამეტყველო ერთეულებად წარმოაჩენს:

**ავტორი** — სწორია, პირველი მნიშვნელოვანი სიტყვაქმნადობები ამ ელემენტებით ხდებოდა.

**ენათმეცნიერი** – უკვე აღვნიშნე: მეტყველების წარმოქმნას საზოგადოება და მის წევრთა შორის ურთიერთობის დამყარების მოთხოვნილებისარსებობა სჭირდება. ეს უკანასკნელი, ზემოთ, ბიოლოგიური საფუძვლიანობით ავხსენით. კერძოდ – ფიზიოაქტებში ასოცირებულბგერათა წარმოთქმის მოთხოვნილების არსებობით. კეთილი და პატიოსანი: რით ახსნით ხმაბაძვით ბგერათა მეშვეობით პირველქმნადობას?... რა მოთხოვნილება უნდა ჰქონოდა პირველ საზოგადოებას წარმოეთქვა "გუგუ"?... ხომ არ ვაზვიადებთ იმიტაციურ ღირებულებებს მეტყველების წარმოქმნაში?...

**ავტორი** – მეტყველების ჩასახვა მოხდა, პირველ პერიოდში სპეციფიური ბგერების წარმოთქმის მოთხოვნილების არსებობის გამო. თქვენ ასახელებთ მ–ის მე-3 პერიოდის ხმაბაძვით ფაქტს. რომელიც რელექსოგენურობის თვალსაზრისით, ინდიფერენტული ფაქტია. ამიტომ მისი წარსმოთქმის მოთხოვნილება იეთივე იყო როგორიც დღეს გააჩნია ნებისმიერ ახალ სახელსადებ მოვლენას: ესაა კომუნიკაციის მოთხოვნილება (ასევე იხ. ქვემოთ).

**ფსიქოლოგი** – "...ბიულერის და პეტტერის ცდებიდან გამოირკვა... რომ ხმაბაძვითი ხასიათის რეაქცია სხვა ბავშვის ტირილზე 2 თვის ასაკიდან იწყება...სოციალურიზემოქმედების პირველი ჩანასახები ამ ფაქტში უკვე მოცემულია, რადგანაც სხვისი გამომხატველი მოძრაობა უკვე ზემოქმედებს – ანალოგიურგამომხატველ მოძრაობას იწვევს" (რ.ნათაძე ზ. ფს.)

**ბიოლოგი** – სწორია, ოღონდ გამორიცხულია ყოველივე ეს ხდებოდეს ბიოგენეზის ჩართვის გარეშე.

**ფსიქოლოგი** – დიახ, დიახ: ემოციური განცდები დაკავშირებულიარიანგამომხატველ მოძრაობებთან თუ მოქმედებებთან და ქმნიან ერთ მთლიანობას.

**ავტორი** – ამას კი ზემოთთქმულს თუ დავამატებთ, უცხადესი გახდება: ჰ-ის საზოგადოებაში გენეტიკურად განპირობებული ხმაბაძვითი ხასიათის ..."სოციალური ზემოქმედების პირველი ჩანასახები მეტყველების მეორე პერიოდის ბოლოდან გარანტირებულად არსებობდა, ამიტომ ენის წოვით მოძრაობებს, როგორც რეაქციას აღქმულწოვის ფიზიოაქტზე მასიური ხასიათი ექნებოდა, ხოლო მეტყველების მესამე პერიოდში იგივე ხასიათის რეაქციებს ჯერ ფიზიორეფლექსოგენურ, ხოლო შემდეგ რეალურ ინდიფერენტულ აკუსტიკურ ფაქტებზეც შეეძლო გამოეწვია ხმაბაძვითი პირველქმნადობა.

**ბიოლოგი** – მთავარი ისაა, რომ ბავშვს აქვს მემკვიდრეობითი უნარი მიმბაძველობისა

**ფსიქოლოგი** – განა საგულისხმო არაა, რომ "... პატარა ბავშვის მეტყველება ბევრ სიმბოლურ გამოთქმებს შეიცავს: წიკ-წიკი – საათის; ამ-ამ – ძაღლის; მუუ – ძროხას აღსანიშნავად და ა.შ. ბავშვის აზროვნების განვითარებასთან ერთად ეს სიმბოლური გამოთქმები ნამდვილით შეიცვლება (რ.ნათაძე ზ.ფს. გვ. 394)". ფაქტია: ბავშვები ხმაბაძვით სიტყვებს უკეთ წარმოთქმავენ და ითვისებენ.

**ენათმეცნიერი** – ავტორი იმდენადაა დარწმუნებული მეტყველების ბიოგენეზური კანონის(მ.ბ.კ.-ის) არსებობაში, რომ კაცობრიობას, დასაბამიდან, უცვლელად, ერთი ენა რომ ჰქონებოდა ამჟამად მეტყველება მემკვიდრეობითი იქნებოდაო.

**ბიოლოგი** – ბავშვის განვითარება ეტალონია კაცობრიობისგანვითარებისა. ბოლო მაგალითები განა ბავშვის, შესაბამის ასაკში, სამეტყველო ხმაბაძვითი უნარის გენეტიკური (მემკვიდრეობითი) განპირობებულობის საბუთი არაა? განა ეს მ.ბ.კანონის არსებობის წისქვილზე არ ასხამს წყალს?

**ფიზიოლოგი** – ფიზიოლოგიური თვალსაზრისითაც ამას არც რა ეღობება წინ: პირობითი რეფლექსებით გამოწვეული ნერვულ-მუსკულარული მოძრაობები, დიდ დროში, უპირობო რეფლექსებად ყალიბდებიან. ფიზიოლოგიურ ასპექტში მეტყველება სხვა არაფერია, თუ არა ნერვულ-მუსკულარული მოძრაობები.

**ავტორი** – აი, სწორედ ფიზაქტის უპირობო ნერვულ-მუსკულარულ მოძრაობებს აეზარდა მნიშვნელობა. აი, საიდან დაიწყო ფუძე ენის მფლობელი ხალხის გაადამიანება ანუ რაც იგივეა, აი, საიდან იწყება კაცობრიობის ეთნოგენეზისი.

**ბიოლოგი** – სხვათაშორის, თუმცა ბევრმა, შესაძლოა, ეს არც იცის, თანამედროვე გენეტიკური ანალიზებით. კავკასია-ინდოევროპის მოსახლოების უდიდეს ნაწილს წარმომავლობით კოლხები შეადგენენ.

**ენათმეცნიერი** – თქვენი ლოგიკით, ენის სიძველე ყოფილა განმსაზღვრელი მისი მფლობელი ხალხის მეტყველებითი უნარის (და სხვა უნართა) ინტენსივობისა...

**ანთროპოლოგი** – ჯერ ერთი, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს, მეორეც – თქვენ ისე საუბრობთ, თითქოს "არაცივილიზებული, პრიმიტიული" ტომების არსებობა იყოს ავტორის მიერ მონაყოლი ჭორი და არა მეცნიერების მიერ გამოწვლილვით შესწავლილი სინამდვილე.

**ფილოსოფოსი** – სხვათაშორის, ამ ტომთა ენებში პრევალირებს "სინამდვილის... კონკრეტული, თვალსაჩინო ასახვის ტენდენცია", სიტყვები გამოხატავენ "ობიექტისაღქმად, სურათოვან სახეს", ანუ ხასიათდებიან მაღალი ხარისხის გამომხატველობით, ხოლო განყენებული, ლოგიკურცნებითი ლექსიკა ნაკლებია და ხშირად სრულიადაც არაა.

**ავტორი** – სინამდვილის თავისებურებათა ზედმიწევნითი ასახვისას ქართველურიც მდიდარია, მაგრამ ამათგან კოლხურის უშუალო მემკვიდრე – ახალკოლხური ანუ მეგრულის სახელსა და ზმნას გამომხატველობაში მსოფლიოში ბადალი არ ეპოება. ურიცხვი რაოდენობისსახელზმნები უზუსტესად გამოხატავენ უთვალავ აღქმის საგანს(მოვლენას) და მისსავე აღქმად სენსორულ თვისებებს, ხოლო მათგან წარმოებული ზმნები კი – საგანთა ქმედების უსასრულო ნაირგვარობას. მაგალითისათვის ავიღოთ საგანთა ვიზუალური და ტაქტილური მოდალობის შეგრძნებით გამოწვეული აღქმით მიღებულისახელზმნებიდან: ჟღარტალი (ჟღირტალი) "უსუსური, ნედლი (ნერგი, ტოტი თუ სხვა) რამ"-ის სპეციფიური მოძრაობა; (რინგვალი)რანგვალი"მსხვილი, მრგვალი, მაგარი" საგნის თავისებური მოძრაობა;გი-ჟღარტ-ალ "ნედლი, უსუსური (ტოტი ან სხვა რამ) დრეკით ქანაობს"; გი-რანგვ-ალ " მსხვილი, მკვრივი, მომრგვალო რამ ხმაურით გორავს".

ქ2და-ჟღარტ "ნედლი, უსუსური, დრეკადი რამ დაეცა"; ქ2და-რანგვ "მსხვილი, მაგარი მკვრივი რამ ხმაურით დაეცა და ა.შ. და ა.შ.

ედემ იზორია

*(გაგრძელება იქნება)*

# მოსალოდნელი საფრთხეები, ანუ ევროპელთა ტყუილები და ქართული სინამდვილე

როცა საქართველოს სახელმწიფოს ხვალინდელი დღის, მისი უსაფრთხოების შესახებ ვსაუბრობთ, ძირითადად სამი ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული: 1) თავდაცვის უწყებაში მყოფი ადამიანების კომპენტენტურობა; 2) მეზობელი ქვეყნების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში ტერიტორიების მიტაცების დაუოკებელი სწრაფვა; 3) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან გაცემული დაპირებების სანდოობის დონე.

1) რაც შეეხება პირველ საკითხს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს ქვეყნის თავდაცვის უწყება, ჭკუადამჯდარი და გონებრივად დაღვინებული პროფესიონალი კადრების დეფიციტს განიცდის. ამის უტყუარ დადასტურებას თავდაცვის მინისტრის ი. ალასანიას მიერ რუსეთის გასაღიზიანებლად გათვლილი (ნატოს თავდაცვითი საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე განლაგების შესახებ) განცხადებები წარმოადგენს. როგორც ჩანს, თავდაცვის მინისტრს, 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება არა აქვს წაკითხული, თორემ ეცოდინებოდა, რომ ამ ხელშეკრულების შესრულების გარანტორი რუსეთია. სავსებით საკმარისია, რუსეთმა გარანტორის პასუხისმგებლობა ოფიციალურად მოიხსნას, რომ საქართველომ აჭარის რეგიონი დაკარგოს. თავდაცვის მინისტრსა და მის გარემოცვას შევახსენებ, რომ ყარსის ხელშეკრულების № 6 მუხლით, თურქეთი თანახმაა საქართველოს დაუთმოს (და არა მისცეს) ბათუმის „ოკრუგი“. (Турция соглашается уступить Грузии... Батумского округа...“ სწორედ ამ დათმობილი „ოკრუგის“ საქართველოსთვის შენარჩუნების გარანტორია რუსეთი. ი. ალასანიას იმასაც შევახხსენებ, რომ ოსმალეთის პარლამენტის მიერ 1920 წლის 28 იანვარს მიღებული „ეროვნული პაქტის“ მეორე მუხლით, თურქეთის საზღვარი მდინარე ჩოლოქზეა გავლებული. ქართველთა საუბედუროდ, ყარსის ხელშეკრულება დღესაც ძალაშია. მისი რეანიმაცია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 25 მარტის სესიამ მოახდინა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გონებრივად ჩლუნგი, ან მოღალატური სენით უნდა იყოს შეპყრობილი ადამიანი, რომ მან, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დანაკუწების ის ახალი საფრთხეები არ დაინახოს, რომელიც აისბერგივითაა აღმართული და დაძრული. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერი თავმოყვარე ერი, ი. ალასანიას მსგავს თავდაცვის მინისტრს დაუყოვნებლივ გადააყენებდა და პასუხისგებაში მისცემდა.

2) რაც შეეხება მეორე საკითხს, იგი წარსულის ცოდნაზე და დღევანდელ სინამდვილესთან შესატყვისობის ფონზე, საღად მოაზროვნე ადამიანის მხრიდან სწორად გააზრებასთან არის დაკავშირებული. ტერიტორიის საკითხთან მიმართებაში, თუკი მეზობლების მხრიდან საქართველოს წინაშე წამოჭრილ პრობლემებს ისტორიული მეხსიერების გათვალისწინებით განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ საქართველოს ტერიტორიის მიტაცებისადმი სწრაფვა, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფალთა შინაგან ცნობიერებაში სიღრმისეულადაა ჩაკირული და დღემდე **„ტრადიციული“** ფორმით მოქმედებს. ამის უტყუარ დადასტურებას საქართველოს პირველი რესპუბლიკის მწარე გამოცდილება წარმოადგენს.

სომეხ-აზერბაიჯანელთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის მიტაცების მცდელობის უამრავი ფაქტებიდან, რომელიც ქართველი ისტორიკოსების მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი, ყურადღებას ამჯერად მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებ. მხედველობაში მაქვს სან-რემოს საერთაშორისო კონფერენცია (1920 წლის 19-26 აპრილი). სომეხთა და აზერბაიჯანელთა წარმომადგენლები ამ კონფერენციაზე საქართველოს ხარჯზე თავიანთი მტაცებლური მადის დაკმაყოფილებას შეეცადნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით სომხური დელეგაცია აქტიურობდა. მათ ძირითად მოთხოვნას, სომხეთის რკინიგზის ხაზის ყარსი-არტაანი-ბათუმის მიმართულებით გაყვანა წარმოადგენდა. იმავდროულად, ეს რკინის გზა და ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი სომხეთს სრულ საკუთრება უნდა დაკანონებულიყო. რაც შეეხება ბათუმის ნავსადგურს, სომხები აქაც გარკვეული ტერიტორიის დასაკუთრებაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. სომეხთა ამ მოთხოვნას ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი რობერტ ვანსიტტატი უჭერდა მხარს. **„უნდა განვაცხადო ლორდ კერზონის სახელით...** – ამბობდა იგი, – **რომ სომხეთისათვის ბათუმის ოლქზე რკინისგზისა და მისი დასავლეთის შტოს სრულ საკუთრებად გადაცემის შეთანხმება... ხელმოწერილი უნდა იქნას და თუ ეს ეხლავე არ იქნება შესრულებული შედეგების პასუხისმგებლობა თქვენ უნდა იდვათ თავზე, მე ამ შემთხვევაში მივმართავ საქართველოს დელეგაციას.“** ფაქტიურად ეს ინგლისის ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ფორმით გაკეთებულ მუქარასაც ნიშნავდა. საქართველოს დელეგაციის მეთაურმა კ. ჩხეიძემ განსაკუთრებული პრინციპულობა გამოიჩინა და განაცხადა: **„ისტორიულად საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას ჩვენ სავაჭროდ ვერ გავხდით, შთამომავლობას თავს წყევლაკრულვისათვის არ მივცემთ.“** დღევანდელი გადასახედიდან თუკი შევაფასებთ საქართველოს დელეგაციის მეთაურის კ. ჩხეიძის გადაწყვეტილებას, იგი ისტორიისა და მომავალი თაობების წინაშე პირნათელია. მისი ზემოაღნიშნული პოზიცია, ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების ჩარჩოში სრულად თავსდება.

ჩემს მიერ მიკვლეული საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ამ შემთხვევაში კ. ჩხეიძე, ნოე რამიშვილის მითითებით მოქმედებდა. მხედველობაში მაქვს ნ. რამიშვილის მიერ 1920 წლის 22 მარტს კ. ჩხეიძისა და ირ. წერეთელისადმი გაგზავნილი წერილი. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: **„ინგლისელები ცდილობენ... დაიკავონ ბათუმის ოლქი და შემდეგ გაიყვანონ რკინიგზა ბათუმიდან არტაანით ყარსამდე... ასეთი გეგმა წარმოადგენს განმეორებას იმ გეგმისას, რაც ერთხელ მოხდა ძველ საქართველოში. სამცხე-საათაბაგოს მოწყვეტით დავკარგეთ ეკონომიური ძალა-გავლენა და შემდეგ პოლიტიკური სუვერენიტეტი. ამიტომ ვიბრძვით ასე ენერგიულად ამ გეგმის წინააღმდეგ. არტაანი-ბათუმის ხაზი სავსებით ჩვენი უნდა შეიქნეს. როგორც არ შეგვიძლია ბათუმის ოლქის დათმობა, ასევე არ შეგვიძლია არც არტაანის ოლქის სომხებისათვის გადაცემა... სომხები იბრძვიან არტაანის ოლქიდან გაიკაფონ ვიწრო გზა ბათუმისკენ. გაჟლიტონ იქ მცხოვრებნი, როგორც ეხლა ჟლეტენ არტაანის ოლქის აღმოსავლეთ ნაწილის მუსლიმანებს არტილერიით და ქმნიან სუფთა დერეფანს.“** ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ გასაგები უნდა იყოს: 1) სახელმწიფოებრივად რა მაღალ დონეზე აზროვნებდა ჩვენი წინაპრები და სომეხთა მოთხოვნებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად რა დიდ საფრთხეებს ხედავდა; 2) იმავე დოკუმენტით აშკარად იკვეთება, თუ რატომ უჭერდა მხარს ინგლისის წარმომადგენლობა სან-რემოს კონფერენციაზე სომხების უსაფუძვლო და მტაცებლურ მოთხოვნებს.

სომხეთის დაშნაკური ხელისუფლების მესვეურებმა, გასული საუკუნის 20-იან წლებში რამდენადაც დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე გავლით, სომხეთიდან ბათუმის მიმართულებით **„გაჭრის“** მიზნით, ახალი დერეფანის შექმნის საკითხი 90 წლის შემდეგ „გააცოცხლეს”. მხედველობაში მაქვს, სომეხთა **„ისტორიული ნატვრის“** მიხეილ სააკაშვილის წინაშე დასმა და მისი შესრულების მოთხოვნა. გენეტიკურად სომეხთა შთამომავალმა (იხილეთ WWW. planeta-armenia. do. ამ Знаменитые АРМ: Диаспора (НКР) გვ. 8.) მ.სააკაშვილმა, სომხეთის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით, გოდერძის უღელტეხილის გავლით მეორე **„გველის ხვრელის“** გაყვანა განახორციელა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას სამომავლოდ უდიდესი საფრთხის საფეხური მოუმზადა. აღნიშნული ფაქტით, მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შიდა ქართლის ოსური სცენარის განმეორების და საქართველოს ტერიტორიის დაკარგვის დიდი ალბათობა შექმნა.

3)დღევანდელი გადასახედიდან, საქართველოს უახლესი ისტორიის და ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავსატეხ პრობლემას, ევროპის სახელმწიფოების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში გაცემული დაპირებების სანდოობის ღირებულება წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში წარსულის გამოცდილება უნდა იქნას გათვალისწინებული. ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა, გენიოსთა შეგონება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს **„თუ წარსული არ იცი, ყოვლად შეუძლებელია დღევანდელი დღის ჭეშმარიტი აზრი და მომავლის მიზანი გაიგო. წარსულისაკენ მიხედვა საჭიროა, ისტორია ცუდი მასწავლებელი არაა”.** ვინც ამ ცნებას უარყოფს, ბრძოლის ველიდან იგი ყოველთვის დამარცხებული გამოდის. ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებიდან ვინც ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ზურგი შეაქცია საქართველოს სახელმწიფოებრიობას დამანგრეველი შედეგები მოუტანა. ნებისმიერმა პოლიტიკოსმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ **„პოლიტიკა განიზომება მისი შედეგებით, მისაღებია მხოლოდ ის პოლიტიკური კურსი, რომელიც ქვეყნისთვის საუკეთესო ნაყოფს იძლევა”.** (ნ.ჟორდანია) ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე პრინციპულად ისმება კითხვა: ევროპული დაპირებები რამდენად შესრულებადია და იგი საქართველოს ხვალინდელი დღისთვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის იძლევა თუ არა საუკეთსეო ნაყოფს. ამ შემთხვევაში პასუხი ცალსახად უარყოფითია. მითუმეტეს, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების დაპირებები და შეთანხმებები შუა საუკუნეებიდან მოკიდებული დღემდე, სიტყვის გატეხაზე იყო და არის დაფუძნებული. ჩემი ეს განცხადება ზედაპირული ხასიათის ბრალდებად რომ არ ჩამეთვალოს, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით რამდენიმე ფაქტს მოვიტან და თავად მკითხველმა განსაჯოს მისი ავ-კარგი. ვინც საფუძვლიანად იცნობს საქართველოს წარსულს დამეთანხმება, რომ ქართველი მეფეები, რომლებიც ბრმად მიენდვნენ ევროპელ ლიდერებს, უმეტესწილად დამარცხებულნი აღმოჩნდნენ. ხოლო, ვინც ეჭვის ქვეშ დააყენა ევროპელთა სიტყვის სიმტკიცე, ქართულ სახელმწიფოს მოსალოდნელი ქარტეხილები ააცილა. ამის შეს-ანიშნავ მაგალითს, საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასა და გიორგი V ბრწყინვალეს (1314– 1346 წწ.) მიმოწერა წარმოადგენს. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ ფილიპე VI-მ, გიორგი ბრწყინვალეს პალესტინაიერუსალიმის **„წმინდა მიწების“** ეგვიპტის სულთანისგან გამოსახსნელად დახმარების მიზნით ლაშქრის დაუყოვნებლივ გაგზავნა სთხოვა. ბრძენმა ქართველმა მეფემ, ამ **„მიპატიჟების“** ყველა გარემოება საფუძვლიანად შეაფასა და საფრანგეთის მეფეს შემდეგი სახის წერილი მისწერა: **„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შემდეგ ისინი აღარ მიდიან, სტოვებენ რა მათ ამ ტანჯულ ომში მარტოდ. ამგვარად, გთხ-ვთ თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოხვალთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად 30 ათასი ჯარისკაცით”.** ამ უნიკალური დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ რა მაღალ დონეზე ქონდა გიორგი ბრწყინვალეს შესწავლილი დასავლეთ ევროპის მეფეთა ორპიროვანი ბუნება. ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია; საფრანგეთის მეფემ აღნიშნული ლაშქრობა არ განახორციელა. გიორგი ბრწყინვალე სატყუარ ანკესზე რომ წამოგებულიყო, იგი გამძვინვარებული მტრის წინაშე მარტოდ-მარტო აღმოჩნდებოდა და 30 ათას ქართველ მხედარს ამოწყვეტა ემუქრებოდა. თუ რა შედეგის მომტანი იქნებოდა ეს კატასტროფა საქართველოსათვის ადვილი წარმოსადგენია. აქ გიორგის სიბრძნემ, პოლიტიკურმა გამჭრიახობამ და, რაც მთავარია, ევროპელი ლიდერების სიტყვის შეუსრულებლობის ტრადიციული ტენდენციის სიღრმისეულ ცოდნაზე დაყრდნობით გაკეთებულმა გადაწყვეტილებებმა გაიმარჯვა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ტყუილზე დაფუძნებული ორპირი ქმედება, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებს, შუა საუკუნეებიდან მავნე სენივით XX და XXI საუკუნეებშიაც გადმოჰყვა. ამის უტყუარ დადასტურებას საქართველოს პირველ რესპუბლიკასთან მიმართებაში მათი მხრიდან გაცემული დაპირებების შეუსრულებლობა წარმოადგენს.

4) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან დახმარების მოიმედე საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918– 1921 წწ), იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი გასაბჭოებული რუსეთის პირისპირ შიშველი ხელებით აღმოჩნდა. მხედველობაში მაქვს ევროპის სახელმწიფოებისგან შეპირებული იარაღის მიყიდვის (საბრძოლო შაშხანები, შორს მსროლელი ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ვაზნები, ყუმბარები, ფინანსური დახმარება...) მიზანმიმართულად გაჭიანურების პროცესი. ეს ფაქტორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების დროულად გადაიარაღებისა და ახალი სამხედრო შენაერთების შექმნისათვის ხელშემშლელი ბარიერი გახდა.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა იმ მოახლოებულ საფრთხეს, რომელიც აისბერგივით იყო დაძრული ქართველთა დამოუკიდებელი პირველი რესპუბლიკის წასალეკად. ამის დადასტურებას ნ. ჟორდანიას მიერ 1920 წლის 20 მარტს ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის და იტალიის წარმომადგენლებისადმი გადაცემული ოფიციალური განცხადება წარმოადგენს. ეს დოკუმენტი, აღნიშნული სახელმწიფოების ხელისუფალთ, საქართველოსადმი 1919 წლის გაზაფხულზე შეპირებული საბრძოლო იარაღის, ამუნიციის, სურსათისა და ფინანსური დახმარების შესრულების აუცილებლობას შეახსენებდა. **„ჩვენ განსაკუთრებით ჩაგვცა ლახვარი** – ვკითხულობთ დოკუმენტში. – **თანხმობის ქვეყნების ჩვენდამი დამოკიდებულებამ... ჩვენ არაერთხელ აღვძარით შუამდგომლობა ამუნიციით და სურსათით მხარდაჭერისათვის. მხარდაჭერას დაგვპირდნენ, ჩვენ ველოდით მოთმინებით მაგრამ ვერ მივიღეთ თქვენგან ვერცერთი ვაზნა, ვერცერთი ფუნტი პური. ახლა დადგა მომენტი, როდესაც მეტი ლოდინი შეუძლებელია და დაპირებებით ვერ დავკმაყოფილდებით.“**

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ასეთი მკაცრი მხილების მიუხედავად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებს, ზემოაღნიშნული დანაპირების შესრულებაზე თავი არ შეუწუხებია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თავდაცვის უწყებისადმი იმ ეტაპზე დაქვემდებარებული თბილისის არსენალი, რუსული წარმოების ვაზნების დეფიციტს განიცდიდა. 1918–1920 წლებში მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებული თავდასხმების მოგერიებამ, ბოლშევიკების შეიარაღებული აჯანყებების ნეიტრალიზებამ, სეპარატისტების წინააღმდეგ და ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით გაწეულმა საბრძოლო მოქმედებებმა, იარაღის საწყობებში არსებული რუსული წარმოების ვაზნების მარაგი მაქსიმალურად ამოწურა. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, მისი შევსება შეუძლებელი ხდებოდა. ჩემს მიერ არქივსაცავებში მიკვლეული დოკუმენტებით ირკვევა, რომ საქართველოსათვის იარაღის მიყიდვის ზემოაღნიშნული დაპირების შესრულების გადაწყვეტილება, საფრანგეთის მთავრობამ 1921 წლის 14 თებერვალს მიიღო, რომლის პრაქტიკული ამოქმედება მხოლოდ 11 დღის შემდეგ გაცემული ბრძანების (25 თებერვალი) საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

**შოთა ვადაჭკორია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი”
თანაგრძნობას უცხადებენ
გური ოტობაიას (ფეტელავას) და თენგიზ ფეტელავას
ძმის
## ომარ ფეტელავას
გარდაცვალების გამო

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# გია გურული: ჩივაძემ რომ მუნდიალზე ვერ ითამაშა, ჩემი ბრალიცაა



გია გურული – ალალი კაცი, კარგი ქართველი, ახლო წარსულში შესანიშნავი ფეხბურთელი, უღალატო მეგობარი... გაგრძელება შეიძლება, თუმცა საჭირო არ არის – ვინც მას ერთხელ მაინც შეხვედრია, დაგვეთანხმება, რომ მისი დარი პიროვნება ქართულ ფეხბურთში ბევრი არ არის.

მას ახლახან 50 წელი შეუსრულდა. გურულის თაობას ახალი მწვერვალების დაპყრობას უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ახლა მას "დაკარგული თაობა" ჰქვიათ.

ჩვენი წერილის გმირი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პირველი დისიდენტია და გახლავთ პირველი ჩვენებური ფეხბურთელი, ვინც უცხოურ კლუბთან გააფორმა პროფესიული კონტრაქტი.

მოკლედ, საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებლის, ალენ ჟირესის ასისტენტს მოსაყოლი ბევრი აქვს...

### ძმას ხათრი ვერ გავუტეხე...

– თავიდან ფეხბურთს გასართობად ვთამაშობდი ქუჩაში. 1973 წელი იყო. შეჯიბრება ჩატარდა სკოლებს შორის. ფიზკულტურის მასწავლებელმა ჩემს ძმას სთხოვა, იქნებ, გიამ ითამაშოსო. ის დადიოდა ფეხბურთზე, მე - არა. მაინცდამაინც არ მინდოდა, მაგრამ ძმას ხათრი ვერ გავუტეხე.

შევაგდე გოლები. შემომთავაზეს სპორტსკოლაში გადასვლა. უკვე მოვიწამლე ფეხბურთით. იქ გავიცანი ლევან ბარათაშვილი, ჩემი დიდი მეგობარი და მართლა შესანიშნავი ნიჭის ფეხბურთელი. მავარჯიშებდა ზურაბ ბარათაშვილი, ვისიც უზომოდ მადლიერი ვარ...

საუკეთესო ბავშვები გლდანის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში აგრძელებდნენ სწავლას. მეც სწორედ იქ მოვხვდი. სხვათა შორის, მე და მაია აზარაშვილი, ჩვენი სახელოვანი მძლეოსანი, დღესაც დიდი მეგობრები ვართ – ერთ მერხზე ვისხედით...

### დინამო და ნაკრები...

– მერე იყო "დინამოს" დუბლები. 1981 წელს ვითამაშე ოთხთა ტურნირზე, ოღონდ, "დინამოს" დუბლშემადგენლობაში. "რეალი", "ალკმაარი", "ბაიერნი" და ჩვენ ვიყავით. მახსოვს ის საშინელი მომენტი, დავით ყიფიანს ფეხი რომ მოსტეხეს. იმ ტურნირზე 2 მატჩი ვითამაშე მე-10 ნომრის პოზიციაზე.

მიმიწვიეს საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში, მაგრამ მაშინ "დინამოში" ისეთი კონკურენცია იყო... 17 წლის ვიყავი და ნოდარ ახალკაცმა ბათუმის "დინამოში" გამიშვა. ნახევარი სეზონი ვითამაშე იქ, ფიზიკურად მოვმაგრდი, მაგრად მოვემზადე და დავბრუნდი "დინამოში"...

დუბლებს ალმა-ათასა და ტაშკენტში უწევდათ გასვლა. ალმა-ათაში გოლი შევაგდე. ტაშკენტის თამაშში აღარ დამაყენეს. მივხვდი, ძირითადისთვის მამზადებდნენ. 1982 წელი იყო, "დინამოში" თაობათა ცვლა იწყებოდა...

### ნიჭი ნამდვილად არ გვაკლდა

– ახლა ბევრი საუბარია იმაზე, თუ რატომ ვერ შეცვალა ჩვენმა თაობამ გუნდიდან წასული ვარსკვლავები. უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად გაგვიჭირდა. დიდი ფეხბურთელების ფრთებში ჩავიკარგეთ. წნეხს ვერ გავუძელით, თორემ ჩემს თაობას ნიჭი ნამდვილად არ აკლდა.

ჩემი ყველა გამორჩეული გოლი თვალწინ მიდგას. უფრო ხშირად სოფიის "ლოკომოტივთან" თბილისური მატჩი მახსენდება. თენგიზ სულაქველიძემ მომცა პასი, მივიღე ბურთი, მივდივარ წინ, არ მხვდება მცველი. ჩამძახის შინაგანი ხმა – გია, დაარტყი!..

მეც აღარ დავახანე... მართლაც ლამაზი გოლი გამოვიდა...

### ჩელებაძე რაღაც საიდუმლოს ფლობდა...

– თან არაფერი დამყოლია. დარტყმის სიძლიერეც და თავით თამაშის ნიჭიც შრომით გამოვიმუშავე. "დინამოს" ბაზაზე ადრე დახრილი კედელი იყო. იმასთან ვვარჯიშობდი ძალიან ბევრს.

თავით თამაში ჩემი კოზირი იყო. უფლება არ მქონდა, ცუდად მეთამაშა - ამ კომპონენტში პირადად საშა ჩივაძე მავარჯიშებდა.

ნორვეგიელ გიგანტს, 192-სანტიმეტრიან რუნე ბრატსეტს ვუგებდი საჰაერო ორთაბრძოლებს, მხოლოდ რევაზ ჩელებაძეს ვერ ვუხერხებდი ვერაფერს - ნახტომი არ ჰქონდა, მაგრამ რაღაც საიდუმლოს კი ფლობდა...

### ჩამოვიდნენ, მნახეს, მიმკურნალეს...

– პირველი ქართველი ფეხბურთელი ვარ, ვინც უცხოურ კლუბთან პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. 1990 წლის დეკემბერში "დინამო" პოლონურ შეკრებაზე იყო. იქ ვეთამაშეთ ამხანაგურად "რუხს" და "გკს კატოვიცეს". ამ კლუბის პრეზიდენტს მოვეწონე.

ჩამოვიდნენ, მნახეს, მიმკურნალეს, ოპერაცია გამიკეთეს და კონტრაქტიც გამიფორმეს. 1991 წლის ბოლოსათვის ჩემს ანგარიშზე უკვე პოლონური თასი და სუპერთასი იყო.

მეორე სეზონისთვის მაგრად მოვემზადე, ასეთ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ. ესაა, ვერ მაჩერებდნენ, პირდაპირ ნადირობდნენ ჩემზე... ერთხელ მეც ავყევი პროვოკაციას და გამაგდეს მინდვრიდან. გავხდი პოლონეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი...

### არც ვიცოდი, თუ ასეთი გუნდი არსებობდა...

– შუა სეზონი იყო, პოლონეთში ჩამოვიდა ვიღაც აგენტი, რომელიც საფრანგეთში ტრანსფერებს აგვარებდა. "ლე ავრის" ინტერესზე მითხრა, მეშვიდე ადგილზეა უმაღლეს ლიგაში და შენი გადაყვანა უნდაო. სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი მაშინ, თუ ასეთი გუნდი არსებობდა...

ჩავედი, სამდღიანი სინჯები გავიარე, განაცხადში შეყვანის გარეშე ვითამაშე ლიგის თასზე. მაშინ ასეთი რამ შესაძლებელი იყო... ჩამომიგდეს კონტრაქტზე სიტყვა. დავბრუნდი პოლონეთში. "კატოვიცეს" პრეზიდენტი არ მიშვებდა, მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდა.

1995 წლამდე საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ვარსკვლავების ცვენა იყო – ზიდანი, ბარტეზი, დუგარი, კარემბუ, მაკელელე, შიფო, კლინსმანი, ვეა, რაი, ფიოლერი, ლამა – რომელი ერთი ჩამოვთვალო...

### პირდაპირ ძირითადში დამაყენეს.

პოპულარული ფრანგული ჟურნალი "ონზ მუნდიალი" ჩემზე ბევრს წერდა. სადებიუტო სეზონში 9 გოლი შევაგდე – ცუდი შედეგი არ იყო. მწვრთნელი იმასაც კი მეკითხებოდა, მეწყვილედ რომელი ფორვარდი გირჩევნია, ჟოელ ტიი თუ ბრუნო ბრუო?.. ასე იყო საქმე – ბარტეზსა და ლამასაც გავუტანე ბურთები.

### ...არადა, მიუნხენში მელოდნენ

– მაგარი წინადადებები მქონდა გერმანიიდან და იაპონიიდან. ჩემი გადასვლა "მიუნხენ 1860-ში", ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. "ლე ავრში" ბოლოსწინა მატჩში კუნთი გავიწყვიტე და... ასე აღმოვჩნდი "დიუნკერში". არადა, გერმანიაში მელოდნენ.

### ბედისწერა ფეხბურთშიც ბევრს განსაზღვრავს.

საქართველოს ნაკრების პირველ ოფიციალურ მატჩში რომ გამომიძახეს, მოლდოვასთან, უბედნიერესი ვიყავი. ზედმეტმა თავდაჯერებამ დაგვღუპა – გვეგონა, 10:0-ს მოვიგებდით. პირველი ტაიმის ბოლოს ტრავმა მივიღე და შემცვალეს. ბულგარეთში საშა ჩივაძემ უკვე აღარ დამაყენა ძირითადში.

საშას ვერაფერს ვეტყოდი, ის ჩემი კერპი იყო. 1986 წელს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ვერ ითამაშა, ნაწილობრივ ჩემი ბრალიცაა – ვარჯიშის მერე დავტოვე, მე მავარჯიშებდა და კუნთი დაიზიანა. პირდაპირ ნოდარ ახალკაცთან მივედი. ვუთხარი, აქ ჩემი ადგილი არაამეთქი. ჩუმად წავედი. ამით დასრულდა ჩემი სანაკრებო კარიერა...

თევზის ბიზნესი სულ დამავიწყდა, სამშობლოში ვბრუნდებოდი...

– კარიერა რომ დავასრულე, საფრანგეთში დავრჩი. რომ ვთამაშობდი, საწევროს მსგავსად ვიხდიდი თანხას და მერე ამ ფულს დახმარების სახით გიბრუნებენ, სანამ სამუშაოს იპოვი. ერთი წელი ვისწავლე ექსპორტ-იმპორტის უნივერსიტეტში. სამთვიანი პრაქტიკა გავიარე. ყოფილი შვედი ფეხბურთელი, ჰენრიკ აგერბეკი დამეხმარა, "დინამოს" წინააღმდეგ "ჰერტაში" ჰქონდა ნათამაშები...

ჩემმა მეგობარმა მერაბ ჟორდანიამ მითხრა, ფრანგი სპეციალისტი უნდა ჩამოვიყვანოთ ნაკრებშიო.

მაშინ ალენ ჟირესი "ტულუზში" მუშაობდა. შეხვედრა შედგა მიშელ პლატინის ოფისში. ჟირესმა სალამი დამასწრო, მომიკითხა. მითხრა, თუ წავედი საქართველოში, ხომ წამოხვალო? თევზის ბიზნესი მქონდა. სულ დამავიწყდა თევზი. სამშობლო მეძახდა. ცრემლები ვერ შევიკავე, მარტო რომ დავრჩი. ავდექი და წამოვედი.

ახლა ხან საქართველოში ვარ, ხან – საფრანგეთში. გული არაფერზე მწყდება. ერთი იმას ვნანობ ყველაზე მეტად, ამხელა ნიჭი რომ დაიკარგა. ჩემი თაობა მართლაც ძალიან ნიჭიერი იყო – ლევან ბარათაშვილი, პატარა მიშა მესხი, გელა კეტაშვილი, გრიშა ცაავა...

ისე კი, ცუდი დროც იყო. საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და დიდი იზოლაცია იწყებოდა – ამასაც ვაბრალებ ბევრ რამეს...

## გამოვიდა ლავრენტი ბერიას თარგმანის მეორე ტომი




გამოვიდა მეორე ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

*ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და პოეტის ორი სათრეველა ეძღვნება ბანკ "თიბისის" მიერ დაწესებულ ლიტერატურულ პრემიას, რომელიც სამჯერ მიაკუთვნეს მწერლად წოდებულ ნაცების მესაყვირე ლაშა ბუღაძეს. თუნდაც აქედან გამომდინარე, თავადაც კარგად მიხვდებით, თუ რა შემოქმედებითი ღირებულება გააჩნია ამგვარ პრემიას!*

### „საბა"

საიდან სადაო, წმიდაო საბაო,
ამგვარი პრემიით, თან ასე სადავოდ,
ვინ რატომ ღადაობს, ან რატომ
ღადაობს?

### დაბმული მუზა

„ნაცი" თვალებს ეშხით ნაბავს,
როცა ჯილდოდ იღებს „საბას"!
სხვა რა უნდა „თიბისს", აბა?
„ნაცთან" ერთად სხვებსაც აბამს,
თან თამაშობს მამა აბრამს!

ალექსანდრე შენგელია

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ც-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge